

გაბრიელა მისტრალი

პოემები პროზად  
მოთხრობები

ესპანურიდან თარგმნა  
მანანა გიგინეიშივილი



გამომცემლობა  
„საქართველოს მაცნე“  
თბილისი 2008

**Gabriela Mistral**

**Poemas en Prosa  
Cuentos**

Traducido del español al georgiano  
por **Manana Guigineishvili**

© გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

© მანანა გიგინეიშვილი

---

ISBN 978-9941-406-45-4

*გარეკანზე გამოყენებულია პიკასოს ნახატი*

## მთარგმნელისაგან

გაბრიელა მისტრალს (1889-1957), დიდ ჩილელ პოეტს, ლათინური ამერიკის მწერალთაგან პირველს მიენიჭა ნობელის პრემია (1945 წ.).

იგი დაიბადა ჩილეში, მასწავლებლის ოჯახში. დედა ბასკური წარმომავლობისა იყო, მამა – ამერიკის ინდიელთა შთამომავალი. მისი ნამდვილი სახელი და გვარია ლუსილა გოდოი ალკაიაგა. 17 წლისა იყო, სოფლის მასწავლებლობა რომ დაიწყო. მას შემდეგ წლების განმავლობაში ასწავლიდა ჩილეს სხვადასხვა სოფლებისა და ქალაქების სკოლებში. მან დიდი კვალი დაამჩნია ჩილეს საგანმანათლებლო სისტემას, მონაწილეობდა მექსიკის განათლების სისტემის გარდაქმნაშიც; ესპანური ლიტერატურის კურსს კითხულობდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და პუერტო რიკოს უნივერსიტეტებში; საპატიო დოქტორი იყო ჩილეს, ამერიკის შეერთებული შტატების, ესპანეთის, იტალიის, კუბის მრავალი უნივერსიტეტისა; ეწეოდა დიპლომატიურ მოღვაწეობასაც: ჩილეს კონსული იყო ესპანეთსა და პორტუგალიაში.

ფსევდონიმად მან აირჩია თავისი საყვარელი პოეტების – გაბრიელე დ'ანუნიციოს\* და ფრედერიკ მისტრალის\* – სახელი და გვარი და თავისი პირველი პოეტური კრებული გაბრიელა მისტრალის ფსევდონიმით გააცნო მკითხველს. ეს იყო 1914 წელს გამოქვეყნებული *სიკვდილის სონეტები*, რომელსაც მისი პირადი ტრაგედია დაედო საფუძვლად: ლუსილას უყვარდა ახალგაზრდა რკინიგზელი მუშა, მაგრამ ისინი დასცილდნენ ერთმანეთს. დაშორებიდან ორიოდე წლის შემდეგ მისმა ყოფილმა სატრფომ თვითმკვლევლობით დაასრულა სიცოცხლე. გარდაცვლილს უბის ჯიბეში ლუსილას წერილი ჰქონდა. ამ ამბავმა უმძიმესი დარტყმა მიაყენა მომავალ პოეტს და დალი დაამჩნია მის ცხოვრებას. სწორედ ეს ტკივილი გადმოიღვარა

მის პირველ პოეტურ კრებულში და მისი პიროვნული განცდები უმშვენიერეს პოეზიად გარდაისახა. იგი არ გათხოვილა, უშვილძიროდ გადაეგო და თავის არსებაში ჩაკლული დედობის საოცარი ნყურვილი გამოხატა მხატვრულ სიტყვაში, შექმნა მსოფლიო მწერლობაში დედობის, დედაშვილობის თემისადმი მიძღვნილი უნიკალური ნაწარმოებები. გამაოგნებელი გულახდილობით გადმოგვიშალა ქალის სულიერი სამყარო, გაბედულად ისაუბრა უჩვეულო თემებზე, მსოფლიო ლიტერატურაში ნაკლებად დამუშავებულსა და საჩოთიროდ მიჩნეულზეც კი. დედაშვილობის თემას გაბრიელა მისტრალმა პროზაული პოემების რამდენიმე ციკლი უძღვნა. ამ პროზაულ პოემათა შესახებ თავად გაბრიელა მისტრალს ნათქვამი აქვს: „ეს პროზაული პოემები ესპანურ ენაზეა დაწერილი, მაგრამ ამასთანავე უნივერსალურ ქალურ ენაზეა აჟღერებული“. მარადქალურისა და მარადიული დედობის უღრმეს და უსათუთეს განცდას გვაზიარებს გაბრიელა მისტრალი. ამ პოემებით აღტაცებული პაბლო ნერუდა აღნიშნავდა: „მან დაწერა პოემები, დაწერა პროზით, – წმინდა, დახვეწილი, ცეცხლოვანი პროზით. გაბრიელა მისტრალის პროზა არის ყველაზე უფრო სულისშემძვრელი პოეზია. გაუთხოვარი ქალი თავის პოემებში საუბრობს ფეხმძიმობაზე, მშობიარობაზე, დედობრივ ზრუნვაზე“.

თავად გაბრიელა მისტრალი ამბობდა, რომ დედობრივის განცდა ყოველი ადამიანის ამამალლებელია, რომ „აკვნის სიმღერები“ უფროსებსაც სჭირდებათ, რათა მათ სულში სიმშვიდემ დაისადგუროსო.

გაბრიელა მისტრალს პირველმავე პოეტურმა კრებულმა გაუთქვა სახელი. ამას მოჰყვა სხვა პოეტური კრებულები: *მარტოობა* (1922), *სინაზე* (1924), *ტყის ქრა* (1938). პოეტი ბევრს მოგზაურობდა, მთელი ჩილე ფეხით ჰქონდა შემოვლილი, იმოგზაურა უამრავ ქვეყანაში, მოვლო კონტინენტები. დედამიწის სხვადასხვა კუთხის ბუნება, განსხვავებული გარემო

და ადათ-წესები გაბრიელა მისტრალს უადვილებდა სხვადასხვა ერთა სულის წვდომას, ფართო ასპარეზს უქმნიდა მის განცდებსა და შემეცნებით ინტერესებს, დიდ გასაქანს აძლევდა მის პოეტურ მისწრაფებებს. გაბრიელა მისტრალის ნაწარმოებები ქვეყნდებოდა სხვადასხვა ქვეყნების ესპანურენოვან ჟურნალ-გაზეთებში. მის მხატვრულ თხზულებათა თავმოყრა და სრული კრებულის გამოცემა მოხერხდა მხოლოდ მისი გარდაცვალებიდან ერთი წლის თავზე, 1958 წელს.

გაბრიელა მისტრალს ნერუდასთან და უიდობროსთან ერთად მიიჩნევენ ჩილეს თანამედროვე პოეზიის ფუძემდებლად. „ჩემს მოკრძალებულ შემოქმედებაში ცოცხლობს ჩილეს სული – დამუხტული, შეკავებული და მკაცრი“, – ეს მისი შეფასებაა საკუთარი შემოქმედებისა.

შვედეთის აკადემია განმარტავდა, რომ „გაბრიელა მისტრალს ნობელის პრემია ენიჭება ღრმა განცდებით შთაგონებული ლირიკული პოეზიისთვის, რომელმაც მისი სახელი აქცია მთელი ლათინური ამერიკის სულიერ მისწრაფებათა სიმბოლოდ“.

გაბრიელა მისტრალის ლექსებსა და პროზაულ პოემებში ადამიანის სულის უნაზესი მიმოხრა და უნატიფესი განცდებია გამოხატული. მას მიაჩნდა, რომ რაციონალიზმის ეპოქამ სასიკეთო ძვრებთან ერთად გამოიწვია სამყაროს უნივერსალური ჰარმონიისაგან ადამიანის გაუცხოება. ამ ჰარმონიის აღდგენას ემსახურებოდა გაბრიელა მისტრალი. მისი აზრით, სამყაროს რიტმს უნდა შეეწყოს ადამიანი. მის პოეტურ ქმნილებებში წრფელ ინტიმურ განცდებს საერთოსაკაცობრიო განზომილება ეძლევა.

გაბრიელა მისტრალი თავის ღრმა განცდებსა და ფიქრებს გვიზიარებს, მკითხველიც უნებურად ერთვება მის პოეტურ ხილვებში. მის შემოქმედებაში განცდათა სიღრმესა და სისათუთეს დიდი სევდაც ახლავს. „მომიტევონ იმ ადამიანებმა, რომელთათვის სიცოცხლე მხოლოდ სიამოვნებაა“, – ასე მიმართავს

იგი მკითხველს და თავისი შემოქმედებით გვიჩვენებს, რომ სიცოცხლე ღვთით ბოძებული სასნაულია, რომ ცხოვრების გზა უმიზნოდ არ უნდა გაილიოს, რომ ყველაფერი მნიშვნელოვანია ამქვეყნად: მშობლიური ქვეყნის სანახები თუ სხვათა ქვეყნების ხედები, საუკუნეებში ჩამოყალიბებული ზნე-ჩვეულებები თუ მომავლის სიახლენი. გაბრიელა მისტრალის ყურადღებას იპყრობდა ერთი შეხედვით სრულიად უმნიშვნელო საგნებიც კი. ყველაფერი ფეთქავს, ცოცხლობს, არაფერია ამქვეყნად შემთხვევითი და ყველაფრის მიღმა სულიერ, ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებს ხედავს პოეტი; მატერიალური და კონკრეტული ფაქტებიდან იგი მიგვიძღვება სულიერი სიღრმეებისკენ, ამაღლებული იდეალებისკენ. იგი პოეტური სიტყვით ქმნის გრანდიოზულ ჩანახატებს, მშობლიური ქვეყნის პეიზაჟებს ენაცვლება დედამიწის ზურგზე პოეტის მოგზაურობის შთაბეჭდილებები. იგი წერს სიყვარულზე, განსაცდელზე, მშვენიერებაზე, სიხარულზე და სევდაზე.

გაბრიელა მისტრალმა პროზაულ პოემათა ციკლი მიუძღვნა ხელოვნების დანიშნულებას. *ხელოვანის ათი მცნება* ერთგვარი კრედაა მშვენიერების ყველა მსახურისა. *სულისმარგებელ საკითხავთა* ციკლი ადამიანის უფაქიზეს მისწრაფებებს გადმოგვიშლის.

ახალგაზრდობის აღზრდას, ღირსეულ პიროვნებებად მათ ჩამოყალიბებას გაბრიელა მისტრალმა დიდი ენერგია შეაღია. ამ ღირსეულმა ღვანლმა თავისი გამოხატულება ჰპოვა მის მხატვრულ შემოქმედებაშიც. *მასწავლებლის ლოცვა-ვედრება* მთელ მსოფლიოში გავრცელდა და ახლობელი გახდა მრავალი პედაგოგისთვის; *მასწავლებლის ათმა მცნებამ* აღმზრდელის მოვალეობაზე დააფიქრა უამრავი პედაგოგი.

გაბრიელა მისტრალის შესახებ ფრთიან ფრაზად იქცა: „აღსარებასავით გულწრფელი გაბრიელა“, „ცეც-

ხლოვანი და ღვთისმოსავი გაბრიელა“, „ჩილეს მას-  
ნავლებელი გაბრიელა“.

გაბრიელა მისტრალი მშობლიური ენის მადლს აზიარებდა ესპანურენოვან მკითხველს, ენის გრძნობას უღრმავებდა და უფაქიზებდა. მისი ენა გამოირჩევა მდიდარი ლექსიკით, სასაუბრო ინტონაციას ზოგჯერ ბუნებრივად ენაცვლება არქაული იერით შეფერილი ფრაზა. იგი სულის უსათუთეს განცდებს საოცარი გულწრფელობით გამოხატავს და ამის შესაბამისია ენობრივი ქსოვილიც. ზოგჯერ სიტყვათა შორისაა ბევრი რამ საგრძნობი, უნაზეს გრძნობათა გამოხატვას ხშირად იგი ნათქვამზე უფრო უთქმელით ახერხებს.

გაბრიელა მისტრალის პროზაულ პოემებს ხშირად „ლოცვებს“ და „ეპისტოლეებს“ უწოდებენ.

ამ პატარა კრებულში გაბრიელა მისტრალის პრო-  
ზაულ პოემებთან ერთად წარმოდგენილია რამდენი-  
მე სხვა პროზაული ნიმუშიც, რომელთა საშუალებით  
ქართველი მკითხველი ეზიარება მის პოეტურ ხილვებს,  
შეიტკობს და შეიყვარებს მის მთრთოლარე პოეტურ  
სულს, წრფელსა და მართალს, გაითავისებს სამყაროს  
მისეულ ხედვას.

მანანა გიგინეიშვილი

## ველრება

უფალო, ნუ მიწყენ ამ ნაღვლიანი წიგნისთვის და მომიტევონ იმ ადამიანებმაც, ვისთვისაც სიცოცხლე მხოლოდ სიამოვნებაა.

ამ პოემებში სისხლად იწრიტება ჩემი მწარე წარსული და სიმღერებად იღვრება წვეთ-წვეთად, რათა დარდიან გულს მოუფონოს. წარსული უკან ჩამოვიტოვე ღრმა ხეობასავით და ახლა მშვენიერ ფერდობს აღმა მივუყვები სულის სავანისაკენ, სადაც დიადი ნათელი მოეფინება ჩემი ცხოვრების დღეებს, და გულმხურვალედ ვიმღერებ ადამიანთა სანუგეშებლად. ოცდაათი წლისამ დავწერე „ხელოვანის ათი მცნება“. მაშინ დავდე ეს ალექმაც.

უფალმა ღმერთმა ინებოს და ცხოვრებამ მაცალოს მისი აღსრულება გზაზე სავალად დარჩენილ ჩემს დღეებში.

*ვაჭიქია ქისტოლი*



## **ღელის პოემა**

### **გაპონა**

მაკოცა, მომიალერსა... და ახლა მე სხვა ვარ. სხვა ვარ, რადგანაც ორჯერ უფრო ძლიერად ჩქეფს სისხლი ძარღვებში. სხვა ვარ, რადგანაც მისი სუნთქვა შეეზავა ჩემსას.

ჩემი წიაღი ისევე წმინდაა, როგორც ჩემი გული.

მას აქეთ ყვავილების სურნელივითაა ჩემი ამოსუნთქვა. მიზეზი იგია, ვინც ჩამისახლდა სხეულში და მომეთვისა, ვით ნამი – ბალახს.

### **ნება როგორი იქნება იგი?**

ნეტა როგორი იქნება იგი? დიდხანს ვუმზერდი ვარდის კოკორს, თითებით მოვეუსინჯე ფურცლები. ნეტა ასეთი ფაფუკი ლოყები ექნებოდეს! მაყვლის აბურდულ ბუჩქს მივესიყვარულე. ნეტა ასეთი მუქი და ხვეული თმა ექნებოდეს! შავტუხა თუ იქნება? მეთუნეებს რომ წითელი თიხა მოსწონთ, აი, იმფერი თმა თუ ექნება? ანდა სწორი, შოთი თმა, ჩემს ცხოვრებასავით სადა? იყოს, რა უშავს?!

ნისლში ეხვევა მთის ორნოხები. ნისლის ფთილა პატარა გოგონას ჰგავს, საყვარელ ცუგრუმელას. იყოს გოგონა!

უფრო კი მინდა, მამის სილბო ჰქონდეს მზერაში და, რომ დამელაპარაკება, მინდა, მასავით ოდნავი თრთოლა ერიოს ხმაში. ვისაც მოველი, მასში მინდა იგი მიყვარდეს, ვინც მაკოცა, მომიალერსა.

### **სიბრძნე**

აგერ უკვე მეოცე ზაფხულის მზით ვივსები და ისევ მეძლევა ნება ვკრიფო მინდვრის ყვავილები. წელიწადის უმშვენიერეს დღეებში ნეტა რატომ იმე-

ტებს ჩემთვის ამ საოცარ საჩუქარს ჩახჩახა მზე და ლორთქო ბალახი?!

კვამლისფერ მტევანს რომ მზის თვალი ჩაუდგება, მეც ასევე სინაზითა და ნეტარებით მავსებს ნათლის სხივი. ჩემი არსების სიღრმეში ჩემივე ძარღვებიდან წვეთ-წვეთად იქმნება იგი და ღვინდება ჩემში.

და ასე ვივსები. ვინც ხორცს ისხამს ჩემს სხეულში, მისი წყალობით ჩემს მიწიერ ბუნებას ღვთაებრივი ნება მსჭვალავს. და როცა თრთოლით ამოვთქვამ ლექსს, ჩემი არსებიდან ჩაღდება გაუნელებელი ცეცხლი და გავარვარებული ნაკვერჩხალივით ვიღველვები.

## სინაზი

ჩემს წიაღში რომ თვლემს, იმ ბიჭუნას გამო ნაბიჯი უფრო ფრთხილი და მოზომილი გამიხდა. მას აქეთ, რაც დიად საიდუმლოს დავატარებ, გულმა ღვთისკენ გამინია.

ჩემი პატარას სიყვარულმა ხმა დამიტკბო და გამინაზა. ჯერ უნდა თვლემდეს და მეშინია, არ გამოვაფხიზლო. თანაგრძნობას ვაწყდები ყველგან, ჩემი გაფითრებული სახის დანახვაზე ყველანი ხვდებიან მიზეზს.

კრძალვით მოვსინჯავ ხოლმე შამბნარს, მწყრების საბუდარს. ფრთხილად, ფეხაკრეფით დავდივარ ნათესებში და ასე მგონია, ხეებსაც ჰყავთ თავ-თავიანთი ჩვილები, რომლებსაც თავს დაჰკანკალებენ, არწევენ და უნანავებენ.

## და

დღეს ერთი ქალი ვნახე. ხნავდა. სიყვარულს მისთვის თეძოები გაეგანიერებინა ჩემსავით და მიწაში მრუდედ ავლებდა ხნულს.

ნელზე მოვხვით ხელი. შინ წამოვიყვანე. მოუხდელი რძე ვასვი ჩემი ჭიქით და ჩემს ჭერქვეშ მოვასვენე. სიყვარულის ტვირთით იყო დამძიმებული. რძე ბლომად თუ არ ჩამიდგება, ჩემი ბიჭი მის ძუძუს მოჰკიდებს პირს.

## **ვერება**

არა, ღმერთი სიბერნეს როგორ არგუნებდა ჩემს წიაღს?! სწორედ უფალმა შემეღწია ნელი. ვგრძნობ, როგორ მეზრდება მკერდი, ზემოთ ინევს ნელა, როგორც წყალი პატარა ტბორში. ძუძუები მიფუფდება და ეს საიმედო დაპირებასავითაა ჩემი პატარასთვის.

ვინ იქნებოდა ამქვეყნად ჩემზე საცოდავი, ჩემი წიაღი რომ არ განაყოფიერებულიყო?!

ქალები ღამლამობით ჭურჭელს რომ გარეთ ტოვებენ ციური ნამის მოსაგროვებლად, ასე მივანდობ მამაზეციერს ჩემს მკერდს. მე უფალს ახალ სახელს ვუნოდებ – სისავსის მომნიჭებელს, და ვევედრები, ჭარბად მიბოძოს მაცოცხლებელი სითხე. ჩემი ბიჭი მონახავს და ხარბად დაენაფება ჩემს მკერდს.

## **უპარება**

უკვე აღარ მახარებს ტოლ-სწორებში მინდვრად ხეტიალი, ვშიშობ, არ ნავიფორხილო, არ ნავებორძიკდე. ნაყოფით ჩამომძიმებულ რტოს ვგავარ.

ისე ვარ გაფაქიზებული, ბალჩაში რომ ჩავალ, ვარდის სურნელი თავბრუს მახვევს; რაღაც მარტივი ჰანგი მოჰყვება წიაღს და გულს მიჩუყებს. ჩამავალი მზე რომ სულს ღაფავს და მწუხრის ზეცას სისხლის წვეთებს შეაშხეფებს, გული მიღონდება სევდით.

ღამლამობით ჩემი თანამეცხედრის შემოხედვამაც კი ღამის გამათავოს.

## მარალიული ტკივილი

როცა მას რალაც ანუხებს, მე ვფითრდები. ვინც ჩემშია და ვისაც ვერ ვხედავ, მისი ბიძგები მაკრთობს. მის ერთ შეტოკებაზეც კი შეიძლება გული გამიჩრდეს.

ნუ იფიქრებთ, რომ ტკივილი გასტანს, ვიდრე ჩემი სხეულით ვიფარავ პატარას, ტკივილი გამყვება მერეც, ლალად როცა გაუდგება ცხოვრების გზებს, ჩემგან შორს რომ იქნება, მაშინაც. მას რომ ქარი შეეხლება, ის ქარი მეც შემომეხეთქება, ძვალ-რბილში გაატანს და დამიფლეთს სხეულს. ჩემი შვილის ყვირილი ჩემი ხორხიდან ამოსკდება. ჩემი ცრემლიცა და ჩემი ღმილიც შენი სახიდან დაინყება, ჩემო ბიჭო!

## მისი გულისთვის

ნურაფერს მავნებთ მისი გულისთვის, ვინც ჩემში თვლემს ბალახებში მონანწკარე ნაკადულივით. ჯაფით ნუ მომქანცავთ. მომიტევეთ, კერძს რომ ვინუნებ, ხმაურს რომ ვერ ვიტან.

ოჯახის გასაჭირზე, სიღარიბესა და მძიმე შრომაზე მელაპარაკეთ მერე, როცა უკვე ჩვრებში მეყოლება გამოკრული ჩემი პატარა.

თავში თუ ჩამარტყამენ ან მკერდში თუ ჩამცხებენ, ის დაიკვნესებს, მას ეტკინება.

## სიმშვიდე

მიჭირს ხალხში გამოჩენა, გზაზე სიარული. მერიდება ამსისქე წელი და ამოღამებული თვალები რომ მაქვს. მომიტანეთ ქოთნებით ყვავილები, გვერდით დამიდგით! დაუკარით, დავტკბე მშვენიერებით!

მუცელზე ვიხუტებ ვარდებს. მომიძვენით ღვთაებრივი ლექსები!

ავიანზე საათობით ვეფიცხები მცხუნვარე მზეს.

მზის გულზე ნაყოფი რომ სიტკბოს ჩაიყენებს, მეც ასე უნდა მოვამნიფო ჩემს წიაღში ჩემი პანია. ფიჭვნარიდან შემოქროლილ სიოს ვაგებებ სახეს. ნათლის სხივმა და ნიავმა სისხლი დამინმინდა, გამიჯანსაღა. და მე აღარც სიძულვილი შემეძლია, აღარც ბუზღუნნი, – მხოლოდ და მხოლოდ სიყვარული! ამ სიჩუმეში, ამ სიმშვიდეში ვქსოვ მის სხეულს, სასწაულებრივ სხეულს. ვქსოვ ჩემი ძარღვებით, ჩემი სახით, ჩემი მზერით და წმინდა გულით.

### **მისი თეთრეული**

პანანინა წინდება ვქსოვ, ფაფუკ ჩვრებს ვკეცავ. ჩემი ხელით უნდა მოვუმზადო ყველაფერი.

დატოვებს ჩემს წიაღს და ყნოსვით მიცნობს.

ქუნქულა კრავო, ამ ზაფხულს გაგკრიჭეს ჩემი ბიჭისთვის! რვა თვეში მოგეზარდა ეგ მშვენიერი ბენვი, თანაც იანვრის მთვარემ გამოგითეთრა. მერე ბირკის ძგვიტები და მაყვლის ეკლები გამოვარიდე. ახლა მატყლის ფარტენა ფაფუკია, ჩემი სხეულივითაა, რომელშიც ბიჭი თვლემს.

ჩემი პანას ფითქინა თეთრეული... ჩვილი ჩემი თვალებით იხედება, უცქერს თეთრეულს და ილიმება, ბედნიერია, წინდანინვე მოსწონს, ამ საოცარ სისათუთეში რომ ჩალულუნდება.

### **დედამინის ნამდვილი საბი**

ადრე არასდროს მიხილავს დედამინის ნამდვილი საბი. არადა, დედამინა ჰგვანებია ქალს ხელში ატატე-ბული ჩვილით. მასაც თავის ვეება მკლავებში ჰყავს ჩახუტებული თავისი ქმნილებები.

თანდათან ვინყებ სამყაროს დედობრივი არსის შეცნობას. აგერ, მთა რომ გადმომყურებს, – დედაა. შელამებისას ნისლი ბალღით დასთამაშებს მის მხრებს და კალთებს.

ერთი პატარა ლელე მაგონდება, ჟღერტულით მიედინება ღრმა კალაპოტში. ღრანტეებიანი ნაპირები ჯაგებითაა დაფარული და წყალი არც კი ჩანს. მეც ასე ვარ. ვგრძნობ ჩემს სიღრმეში მორაკრაკე ნაკადულს და, ვიდრე სინათლეზე გამოაღწევდეს, იმ კლდოვანი ნაპირებივით ვიფარავ სხეულით.

### **ჩემს ქმარს**

ნუ მომეხვევი, ჩემო. შენგან გაიფურჩქნა ის ჩემს სიღრმეში, როგორც შრომანი – წყალში. მაცალე, ვიყო მდორე წყალივით.

მინდა გიყვარდე. მინდა გიყვარდე ახლა ცოტა უფრო მეტად. მე, ასე მფრთხალი, მეგზურს მოგივლენ ცხოვრების გზებზე; მე, ასე ღარიბი, გაჩუქებ სხვა თვალებს, სხვა ტუჩებს, სამყაროთი რომ უფრო გაიხარო; მე, ასე ნაზი და სათუთი, სიყვარულის ამფორასავით გავიბზარები, გადავიხსნები და მაცოცხლებელი ღვინო გადმოედინება ჩემგან.

მომიტევე, ნაბიჯი რომ დამიმძიმდა, მაპატიე, უცებ რომ ვერ მოგაწოდე სასმისი. შენგან ვარ ასეთი მოუქნელი, შენ გამო ვარ ასე გაზანტებული.

ადრინდელზე უფრო სათუთად მომეპყარი. სისხლს ნუ ამიფორიაქებ, სუნთქვას ნუ გამიხშირებ.

ახლა მე ერთი უნაზესი საბურველი ვარ. საბურველია მთელი ჩემი სხეული. მთვლემარე ჩვილია ამ საბურველში გახვეული.

### **დედა**

დედაჩემმა მომინახულა. გვერდით მომიჯდა. სიცოცხლეში პირველად ვიყავით დები და ვისაუბრეთ დიდ განსაცდელზე.

მუცელზე მომითათუნა ათრთოლებული ხელი და ფრთხილად გამიღელა მკერდი. მის შეხებაზე თითქოს

გაკვირტულ ხესავით გადავიფურჩქნე და ჩემი არსების სიღრმიდან დაიძრა მაცოცხლებელი სითხე.

შეცბუნებულმა და სახელენილმა ვახსენე ტკივილი და შიში ჩემი სხეულისა. მკერდზე მივეხუტე დედას, პატარა გოგონად ვიქეცი და სიცოცხლით შეშინებული ავქვითინდი მის მკლავებში.

### **მითხარი, ღეღა!**

დედა, მითხარი ყველაფერი მაშინდელ ტკივილზე. როგორ იბადება ბავშვი, დღის სინათლეზე როგორ გამოაღწევს ჩემთან ჭიპით მობმული მისი პატარა სხეული.

მითხარი, თავისით მონახავს ძუძუს, თუ მე უნდა მივანოდო და წავაქეზო.

დედა, მომეცი შენი ნიჭი სიყვარულისა. მასწავლე სხვაგვარი მოფერება, ნაზი ალერსი, ქმრის ალერსზე უნახესი.

როგორ დავბანო პანია თავი? ჩვრებში როგორ გავახვიო, რომ არაფერი დაუშავო?

დედა, მასწავლე ის იავნანა, მე რომ მარწევდი და დამღლიდინებდი. სხვა სიმღერებზე უფრო მშვიდად ის დააძინებს.

### **გამთენიისას**

მთელი ღამე წამებაში გავატარე, მთელ ღამეს ძაგძაგებდა და ბორგავდა ჩემი სხეული ჩემთვის საჩუქრის მოსართმევად. საფეთქლებზე ცივ ოფლს მასხამს, სიკვდილის პირას ვარ. მაგრამ სადაა სიკვდილი?! ეს სიცოცხლეა!

შენ მოგიხმობ, უფალო, მარადიულო ღმობიერებავ, სათუთად მომწყვიტე იგი!

დაიბადე, ჩემო პანია, რომ გამთენიისას გაისმას ჩემი შეკვივლება და ჩიტების გალობას შეერიოს!

## წილათაწმილა კანონი

მითხრეს, სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ გეტყობოდაო. თურმე ჩემი ძარღვებიდან, როგორც საწნახლიდან მოედინებოდა სისხლი. მე კი მკერდში მხოლოდ შვებას ვგრძნობ, თითქოს ამოვისუნთქე.

– ვინა ვარ? – ჩემს თავს ვეკითხები, – მაინც ვინა ვარ, რომ მუხლებზე მყავს დაგორებული ჩემი ბიჭუნა?!

პასუხიც თვითონვე ვიცი:

– ქალი ვარ, ქალი. მიყვარდა და სიყვარულმა აღერსთან ერთად მარადიულობას მაზიარა.

შვილი მყავს. და შემომხედოს დედამინამ, მაკურთხოს, რადგან წმინდა ვარ და ნაყოფიერი, როგორც ეს პალმები, როგორც ეს გადახნული მინა.





## ყველაზე სევდიანი დედის პოემა

### ბამოგაბული

მამაჩემმა თქვა, გავაგებო. დედაჩემს გასძახა ღრიალ-ღრიალით, – ამაღამვე გავაგებო სახლიდან.

ლამით სუსხი იცის. ვარსკვლავების შუქზე გავიკვლევ გზას მახლობელ სოფლამდე. მაგრამ სწორედ გზაში რომ მოუწიოს დაბადება? ჩემმა ქვითინმა რომ უხმოს? ეგებ სწორედ ჩემი ცრემლიანი სახის დანახვა ინდომოს? კი ჩავფუთნი, მაგრამ ამ სიცივეში მაინც აცახცახდება ჩემი პანია.

### რისთვის მოხვედი?

რისთვის მოხვედი? არავის ეყვარები, თუმცა მშვენიერი ხარ, ჩემო ბიჭუნავ. სახეზე ღიმილი დაგთამაშებს როგორც ყველა ჩვილს. ჩემი უმცროსი ძამია რომ დაიბადა, ასე იღიმოდა. ჩემს მეტი არავინ ჩაგიკრავს გულში. პანია თითებით სათამაშოს ეძებ, მაგრამ ჩემი მკერდისა და ჩემი ცრემლის მეტი სხვა სათამაშო შენ არ გექნება, ჩემო ბიჭო.

რისთვის მოხვედი? ვინც გამოგინვია, ხომ მანვე შეგიჯავრა, როგორც კი გიგრძნო ჩემს წიაღში?!

მაგრამ არა, შენ ჩემთვის მოხვედი, ჩემთვის. მე ხომ მარტო ვიყავი მაშინაც კი, როცა იმას ვყავდი ჩახუტებულნი.



## აკენის სიმღერები

### ჩემი მონღოლი

ჩემო თვალისჩინო, ჩემს წიაღში მოგამწიფე, ჩემო მცვივანა კრავო, იძინე ჩემზე მონდობილმა!

მწყერი გატრუნულა ბალახებში, ჩემს გულის ძგერას აყურადებს. ნუ გაკრთობს ჩემი სუნთქვა, იძინე ჩემზე მონდობილმა!

მთრთოლარე ბალახო, სიცოცხლით დამფრთხალო, ნუ მოსწყდები ჩემს მკერდს, იძინე ჩემზე მონდობილმა!

მე ხომ უდრტვინველად დავკარგე ყველაფერი ახლა კი ძილის წინ რა კანკალმა ამიტანა? ხელიდან ნუ მისხლტები, იძინე ჩემზე მონდობილმა!

### ალარ ვარ მარტო

მთებიდან ზღვის კიდემდე უკუნეთი ჩამონვა. მიუსაფარი ღამეა. მე კი შენ გარწევ და ალარ ვარ მარტო.

ქვეყანაც მიუსაფარია. ნაღვლიანია ყველა სულდგმული. გულში გიკრავ და ალარ ვარ მარტო.

### რწევა-რწევაში

ზღვა ზვიადად არწევს თავის ბროლნამსხვრევ ზვირთებს. ყურს ვუპყრობ ბობოქარ ზღვებს და ვარწევ ჩემს პატარას.

ქარი დათარეშობს ღამეში, აფორიაქებს ჯეჯილს. ყურს ვუპყრობ აშარ ქარებს და ვარწევ ჩემს პატარას.

უფალი ღმერთი ფერით უთვალავ სამყაროს უჩუმრად არწევს. უკუნეთ ბნელში უფლის ხელს ვგრძნობ და ვარწევ ჩემს პატარას.

## ღამე

რატომ გძინავს, ჩემო ბიჭო, ცის დასავალი აღარ ინვის, აღარ ბრიალებს. ცვარი ბზინავს მხოლოდ. ჩემს გაცრეცილ სახეზე უფრო ფერმკრთალია ცვარი.

რატომ გძინავს, ჩემო ბიჭო? გზაზე სიჩუმეა. მხოლოდ მდინარის დუდუნი ისმის. ირგვლივ არავინაა. ჩემი თავის ანაბარა ვარ.

ნისლი ჩამონვა ველზე. ლაჟვარდისფერმა ხვართ-ქლებმა დაკეცეს ფურცლები, დაიხუჭნენ. სიჩუმემ თითქოს ხელი წააფარა სამყაროს.

პატარას რომ ვარწევ, დედამინასაც ეძინება ჩემს ნანიანაზე...

## მე ზჳაჳარ

იძინე, ჩემო პატარავ, ოღონდ ძილში გაიღიმე. ვარსკვლავები გაჩაღებულან, ფერხული გაუმართავთ და შენ გარწევნ.

გაიხარე ნათლით და იყავ ბედნიერი. ყოველგვარი სიკეთე შენთანაა, რაკი მე გყავარ.

იძინე, ჩემო პატარავ, ოღონდ ძილში გაიღიმე. ეს... საყვარელი დედამინაა, შენ რომ გარწევს.

შეხედე ავარვარებულ წითელ ვარდს, შეეთვისე ქვეყნიერებას, მეც შემეთვისე.

იძინე, ჩემო პატარავ, ოღონდ ძილში გაიღიმე, შენ ხომ ღმერთი გარწევს, თავად კი ჩრდილს ეფარება.

## აღტასება

ეს ბავშვი ნამდვილი ბედნიერებაა, ნაზი სიოს მსგავსია. ზოგჯერ ვერც კი ვგრძნობ, რომ ძილშიაც ვანოვებ ძუძუს.

ამ მდინარეზე, ამ ბორცვზე უფრო ლამაზია ჩემი ბიჭი, თვით სამყაროზე უფრო მშვენიერია.

ცაზე და მიწაზე უფრო მდიდარია ჩემი პატარა, ყარყუმზე უფრო ძვირფასია ჩემი მკერდი. ჩემს სიძღვრებაში ხავერდია.

ჩემი ბიჭის პანია სხეული ქრთილის მარცვალის-თაა, ოცნებაზე მსუბუქია. ჩემო ბიჭო, არსად გამიქრე, იყავი ჩემთან.

### **სეპლიანი ღელა**

იძინე, იძინე, ჩემო ბატონო. იძინე მშვიდად, უდრტვინველად. იძინე, რადგან ფხიზლობს ჩემი სული, რადგან არ ვისვენებ მე.

იძინე, ჩემო, იძინე, იყავ ამ ღამეში ჩუმად, ბალახის ჩქამზე და აბრეშუმის შრიალზე უფრო ჩუმად.

შენს ძილში იძინებს ჩემი სხეული, ჩემი დარდი და ჩემი შფოთი, შენს ძილში იხუჭება ჩემი თვალები, შენს ძილში სძინავს ჩემს გულს.

### **სინაში**

შენ რომ გიმღერი, ამქვეყნად იკლებს ბოროტება, მტრობა და შუღლი. შენი საფეთქლებივით, შენი ქუთუ-თოებივით სათუთი ხდება ყოველივე.

შენ რომ გიმღერი, ქრება სისასტიკე, ყუჩდება და იტრუნება ნადირი: ლომი თუ ტურა.

### **ნაჰლიანი ნანინა**

მოდი, ვითამაშოთ, ჩემო ბიჭო, მეფედედოფლობანა ვითამაშოთ.

ეს მწვანე მინდორი შენია. აბა, ვისი უნდა იყოს? ამდენი იონჯა შენთვის თრთის და ღაღანებს.

ეს ჭალა მთლიანად შენია. აბა, ვისი უნდა იყოს? მოვიწიოთ მოსავალი. ვაშლის ბალებმა თაფლი ჩაიყენეს.

ეჰ, არ გჯერა და მიტომ ჭირვეულობ უზნეო ბავშვ-  
ვივით. რა იყო, ხომ არ გგონია, რომ დედაშენს ძუძუ  
უშრება დარდისაგან?

ბატკნები წამოიზარდნენ, მატყლი დასართავია.  
შენია ეს ფარა. აბა, ვისი უნდა იყოს?!

ეს რძე, ცურებიდან რომ იღვრება, ეს თავთუხის  
ხელეულები შენია. აბა, ვისი უნდა იყოს?

ეჰ, არ გჯერა და მიტომ ჭირვეულობ უზნეო ბავშვ-  
ვივით. რა იყო, ხომ არ გგონია, რომ დედაშენს ძუძუ  
უშრება დარდისაგან?

ჰო, ვითამაშოთ, ჩემო ბიჭო, მეფედედოფლობანა  
ვითამაშოთ!

## შიში

არ მინდა, ჩემი პატარა გოგო მერცხლად გადაიქცეს,  
ცაში აიჭრას და გვერდში აღარ მყავდეს აგერ, აქ, ამ ჩემს  
ჭილოფზე; არ მინდა, ბუდე გაიკეთოს აივნის კუთხეში,  
მალლა, ხელი რომ ვერ მივანვდინო მოსაფერებლად. არ  
მინდა, მერცხლად გადაიქცეს ჩემი პატარა გოგო.

არ მინდა, ჩემი პატარა გოგო უფლისწულს მისთ-  
ხოვდეს. ოქროს ქოშებით ხომ ვერ ითამაშებს მდე-  
ლოზე?! ღამით გვერდში არ მოვიწვინო? არ მინდა, ჩემი  
პატარა გოგო უფლისწულს მისთხოვდეს.

ძალიან, ძალიან არ მინდა, ერთ მშვენიერ დღეს  
დედოფლობა დაუპირონ, დასვან ტახტზე, სადაც მე  
არ მიმესვლება და, რომ დაღამდება, ვერ ვუნანავო. არ  
მინდა, ჩემს პატარა გოგოს დედოფლობა დაუპირონ.

## კრავი

ჩემო კრავო, ჩემო უნაზესო და უჩემარო! ჩემი  
მკერდი ლორთქო ბალახია, ჩემი მკერდი თავშესაფარი  
მღვიმეა შენთვის.

თეთრია შენი სხეული, მთვარის მკრთალი ნათელივით თეთრი! ყველაფერი მივიფინყე, რათა შენს აკვნად გადავქცეულიყავი.

მთელი სამყარო გულიდან გადამქარდა, ვგრძნობ მხოლოდ ჩემს სავსე მკერდს, რომელიც შენ გასაზრდოებს.

შენით გახარებამ, ჩემო ბიჭო, დამიჩრდილა ყველა სიხარული. მხოლოდ ისლა მახსოვს, რომ შენ გჭირდები.

### **ცვარ-ნამი**

ცვარ-ნამით გადავსებული ვარდი – ეს ხომ ჩემი მკერდია ჩემ ბიჭიანად.

ჩამოცვენილ ფოთლებს ვაგროვებ, ქვეშ რომ დაფუგო. ნიავს ვარიდებ ჩემს ბიჭუნას, მეშინია, სიომ არ შეაკრთოს, ძუძუს არ მოაცდინოს.

უკიდევანო ციდან ღამე ჩამონვა. სიყვარულმა შემატოვა ჩემი ბიჭის ნელი ფშვინვა.

ბედნიერებამ შემატოვა სიჩუმე... სიჩუმე და ვარდთა შორის ყველაზე სასწაულებრივი ვარდი.

ცვარ-ნამით გადავსებული ვარდი – ეს ხომ ჩემი მკერდია ჩემ ბიჭიანად.

### **პონა**

მინდორში წავანყდი ამ პატარას, მშვიდად ეძინა ბალახებში.

ვენახიდან ვბრუნდებოდი, ზვრები გადმოვიარე შემორჩენილი მტევნების მოსამცვრევად. ვაზის უღვაში მოვუცაცუნე ფაფუკ ლოყაზე პატარას.

მეშინია, მძინარე როგორ მივატოვო, ცვარი რომ შეაშრება ვაზს, ასე არ გაქრეს, არაფერი შეემთხვას...

## ჩემი სიმღერა

მიუსაფარი ბავშვებისთვის სიბრაღულით რომ ვმღეროდი, ის სიმღერა მიმღერე!

საცოდავ ბავშვებს რომ ვუნანავებდი მათზე დარდით გულგასენილი, ის სიმღერა მიმღერე!

კაშკაშა შუქმა თვალი მომჭრა, ხმაურმა გამაყრუა. პატარას რომ ვარწევდი, ის სიმღერა მიმღერე!

სიყვარულით რომ ვამწიფებდი ჩემს წიაღში, ნაზად, სათუთად რომ ვქსოვდი მის სხეულს, რა ვიცოდი, რომ ეს ბავშვი კი არა, ჩემივე სული იყო.



## ბავშვის თმა

რბილი თმა, მთელი სამყაროს სისათუთის მომცველი თმა. ეს თმები რომ არ მქონოდა კალთაში, სხვა რა მომანიჭებდა ასეთ სიხარულს?! ამ სინაზეში რატკბილად ჩათავდა დღევანდელი დღე. ნეტარება ვიგრძენი, თუმცა სულ მცირე ხანს ვუფათურებდი ხელებს ბავშვის თმას.

ლოყაზე მიმახუტებინეთ, ყვავილის ღეროებივით მუხლებზე შემომახვევინეთ ბავშვის თმა. დამანწვევინეთ, რომ დარდი გავინელო. ბნელი გამაფანტინეთ ამ თმების გამონაშუქით, ეგებ არ ჩაკვდეს ნათელი.

უფალი რომ მიიბარებს ჩემს სულს, ფრთებს კი არ მიბოძებს, ანგელოზის ფრთებს, ჩემი გულის ფეთქვის გამოსაცოცხლებლად, – უფალი ღმერთი ცის ლაჟვარდში გაშლის ბავშვის თმებს, ნიაფი წამოიქროლებს და უფალი სახეზე მომელაციცება ჩემი საყვარელი ბავშვის თმებით.





## ღელის ბასენება

დედა, შენი წიაღის მდუმარებაში გამოისახა ჩემი თვალები, ჩემი ტუჩები, ჩემი მკლავები... მაცოცხლებელი შენი სისხლით მასაზრდოებდი, წყალი რომ კვებავს მიწაში ჩაპნეული ყვავილის თესლს, სწორედ ისე. შენგან მომდგამს, შენი, შენგანი და შენმიერია ჩემი შეგრძნებები. შენი სხეულის ნაწილია ჩანწული ჩემს არსებაში. და ასე ვცხოვრობ ამქვეყნად. შენ დაილოცე. მადლობა სამყაროს ელვარე ფერებისთვის, რომელთაც შეეთვისა ჩემი სული.

დედა, შენს კალთაში ვიზრდებოდი, როგორც ნაყოფი – დახუძილულ რტოზე. შენს მუხლებს აქამდე შემორჩა ჩემი სხეულის ანაბეჭდი, მომდევნო შვილმაც ვერ გადაფარა. მიხუტებდი და მარწევდი. ბალის ბილიკებს ასკინკილათი რომ გავუყვებოდი, შენი კალთა როცა ვერ გრძნობდა ჩემი ტანის სიმძიმეს, მომინატრებდი და მელოდი სახლის ზღურბლთან. მე ვიცოდი ეს.

ამქვეყნად არ არსებობს მსოფლიოს უპირველესი მუსიკოსის ჰანგზე უფრო ტკბილი ჰანგი. ეს შენი ნანაა, დედა, და ჩემი სულის ყველაზე მთრთოლარე კვირტი მაშინ გამოინასკვა, შენ რომ ნაზად მიწანავებდი.

მარწევდი და თან სულ ლიღინებდი: ხან ჩუმად, ხან ხმაგაგონებით. ეს ხან ლექსი იყო, ხან სახუმარო და სააღერსო სიტყვები, ასე მღერა-მღერაში ახსენებდი, იმ სამყაროს საგნებსა და მოვლენებს, რომელსაც უნდა შევთვისებოდი: გორაკებს, ადამიანებს, ხეებს, ხილს, ქინქლას, მინდვრად მოფანცქალე პეპელას. გინდოდა, შენს გოგოს შინაურულად ეგრძნო თავი ამ გარემოში; ცდილობდი, მისთვის გაგეცნო დედამიწის ყველა სულდგმული – მომავალი დიდი ოჯახის წევრები.

ასე ნელ-ნელა შეგყავდი შენს მშვენიერ და სასტიკ სამყაროში. არ არის ამქვეყნად ისეთი სიტყვა, შენ რომ არ გეთქვა ჩემთვის.

მერე სხვები იმეორებდნენ იმ მშვენიერ სიტყვებს,

აცოცხლებდნენ იმ წარმოდგენებს, იმ აზრებს, რომლებიც შენგან უკვე მქონდა ნაჩუქარი და სულში შემოჭრილი.

დედა, შენ შემიძეხი ისეთი უბრალო საგნებისა და მოვლენების საუფლოში, რომლებიც ტკივილს არ მომაყენებდნენ. ეს იყო სამკურნალო ბალახები, ბაღია, სახლის წინკართან სუროს ფოთლები. სათუთად ვეხებოდი მათ და ცოცხალ მეგობრებს ვიძენდი.

ზოგჯერ სათამაშოსაც მიყიდდი ხოლმე, უფრო კი თვითონ მიკეთებდი ჩემსავით დიდთვალეზა დედოფალას, ანდა – პატარა სახლს, ჩემი ცელქობის წყალობით იოლადა რომ ინგრეოდა და იფუშებოდა. შენ, რა თქმა უნდა, გახსოვს, რომ არ მომწონდა სათამაშოები, სული არ ედგათ და იმიტომ. ყველაფერს მერჩივნა შენი ხელები, მათი შეხება.

გულჩათხრობილი და უკარება ბავშვი ვიყავი, ფარვანას ვგავდი, დღისით რომ ვერ მოჰკრავ თვალს; კიდევ – ხვლიკს, განაპირებით რომ იცის მზეს მიფიცხება. შეფიქრიანებული იყავი, შენი გოგო რომ არ თამაშობდა, რომ არ გაერეოდა ბავშვებში და არ დაკუნტრუშებდა. „ავად თუა“, – იტყოდი ხოლმე, მარტოს რომ მნახავდი დაბრეცილ ვაზთან ან ასხლეტილი მალხაზი ბიჭივით ტანაყრილ ნუშის ხესთან მოლაპარაკეს. ახლა შენი ქალიშვილი ხშირად გესაუბრება, მაგრამ შენგან პასუხს ვერ იღებს. მისი დანახვა რომ შეგეძლოს, ადრინდულად შუბლზე მიადებდი ხელს და ეტყოდი: „სიცხე გაქვს, ჩემო გოგო...“

ისე უბრალოდ შევიგრძნობ მშვენიერებას, თითქოს წყალს ვსვამდე. შენ მომმადლე ეს ნიჭი. შენგანვე მაქვს დარდის უნარიც. გულის სიღრმეში სათუთად ვინახავ ამ ფაქიზ განცდებს და კვლავაც შევინახავ.

მინდა მჯეროდეს, რომ გესმის ჩემი და თვალეზს ვხუჭავ, დღის სინათლეს ვარიდებ მზერას. შენ ხომ წყვიდადში ხარ ახლა. ყველაფერი რომ უკეთ გამოვხატო, დუმილს ვარჩევ, რადგან სიტყვა უძლურია, გრძნობას ვერ იტევს.

## ნეტარების პოეზია

### ახშირღი

შენ მითხარი, მიყვარხარო, და ავტირდი. შენ მითხარი, ხელში აგიტაცებ და მთელ ქვეყნიერებას შემოგატარებო.

თავს დამატეხე უეცარი ბედნიერება. ავადმყოფს რომ ყლუპ-ყლუპად ასმევენ წყალს, შეგეძლო ჩემთვისაც ასე წვეთ-წვეთად გამოგეზოგა ნეტარება. შენ კი კლდიდან ჩამოქცეული ჩანჩქერით მომიკალი წყურვილი.

მიწაზე დავემხობი, ცრემლად დავიღვრები, ჯერ სული ვერ შეთვისებია ამ ბედნიერებას. შენი ნათქვამი ისმინა ყურმა, გონებამ, გულმა, მაგრამ ჩემმა სულმა ვერ შეისმინა, ვერ შეეგუა.

ეს ღვთაებრივი დღეც დაღამდება. ათრთოლებული გავნევ შინისკენ. გზისპირა ხეებს მივეყრდნობი, ხიდან ხემდე მივცახცახდები. ნუთუ ეს ის გზაა, ამ დილას რომ გამოვიარე?! გაოგნებული ავხედავ ზეცას, გავხედავ ველებს, გლეხის კარ-მიდამოს და ეზო-ყურეს. ნეტა, რა ჰქვია ამ ველს, ამ სოფელს? მთელი ჩემი ცხოვრება გადამავინწყდა.

დილას, როგორც კი თვალს გავახელ, ვინმეს შევეხვევნები, დამიძახონ, გამაგონონ ჩემი სახელი, ეგებ ვირწმუნო, რომ ეს ცხადშია. და ისევ ავტირდები.

თავს დამატეხე უეცარი ბედნიერება.

### უფალი ღმერთი

ახლა კი ღმერთზე ვისაუბროთ. ყველაფერს გავიგებ.

ღმერთი არის სიმშვიდე შენი გამოხედვისა, როცა ჩვენი მზერა ერთმანეთს შეხვდება. ღმერთი არის უხმაუროდ, უსიტყვოდ ერთმანეთის გაგება, ჩვენი

მგზნებარე და წმინდა, ენით გამოუთქმელი ნდობა.

უფალს ჩვენსავით უყვარს განთიადი, შუადღე, შე-  
ღამება. იგი ეცხადება ქალ-ვაჟს, როცა სიყვარული იბა-  
დება. ერთადერთი საგალობელი, რომელიც ღმერთს  
შეშვენის, – ეს სიყვარულია. გალობაა შეყვარებულთა  
ჩასუნთქვაც, ამოსუნთქვაც, ქვითინიც... კვლავ ჩა-  
სუნთქვა...

ღმერთი არის სრულქმნილება გაფურჩქნილი ვარ-  
დისა, რომელსაც ჯერ ერთი ფურცელიც არ დაჰკ-  
ლებია.

ღმერთი არის დადასტურება იმისა, რომ სიკვდილი  
ტყუილია, რომ სიკვდილი არ არსებობს.

ჰო, ახლა ნამდვილად ვგრძნობ ღმერთს.

### სამყარო

– არა, ეგენი შეყვარებულები არ არიან, არ დაეძებენ,  
არ ეალერსებიან ერთმანეთს, დღემდე უბინოდ არიან. –  
ასე ამბობენ ჩვენზე. რა იციან, რომ ჩვენ, საკმარისია,  
ერთმანეთს შევხედოთ და... ერთნი ვხდებით.

შენ შრომობ ჩემგან მოშორებით. მე არ ვარ ჩაცუც-  
ქული შენს ფერხთით. და მაინც, განმარტოებით რომ  
ვსაქმიანობ, ვგრძნობ, ჩემი სიყვარული, ჩემი ფიქრები  
დაძახული მატყლის ნართივით მოემართება შენკენ  
და ბადეში გახვევს. და შენ იქ, შორს, ზიხარ საქმეში  
თავჩარგული, გრძნობ ჩემს მზერას და სინაზით გელევა  
გული.

ეს დღეც დაღამდება და ჩვენ ერთი წამით შევხვ-  
დებით ერთმანეთს. ტკბილი ტკივილი სიყვარულისა  
მომავალ შეხვედრამდე გაგყვება და გაგვადლებინებს.

რა იციან მათ, ვისთვისაც უცხოა სულთა ერთობის  
ნეტარება, – თუმც გვერდიგვერდ წვანან და ტკბობას  
ედლევიან, – რა იციან მათ, რომ ჩვენ, საკმარისია,  
ერთმანეთს შევხედოთ და... ცოლ-ქმარი ვართ.

## **შენზე მუზნაბიან**

ბევრ სიავეს მეუბნებიან შენზე, ჩირქს გცხებენ. ნეტა, ადამიანები რად არ ილღებიან უაზრო ავსიტყვაობით? თვალს ვხუჭავ, გულით გიმზერ და სუფთა ხარ, როგორც სარკმელზე ღამენათევი ჭირხლი გამთენიისას.

ბევრ საქებას მეუბნებიან შენზე, გადიდებენ. ნეტა ადამიანები რად არ ილღებიან სიტყვამრავლობით? ვდუმდები და ჩემი გულის სიღრმიდან წამოიმართება შენი უჩუმარი სადიდებელი, ზღვაზე განოლილი ნისლივით შუქჩამდგარი.

სხვა დროს შენ აღარ გახსენებენ, სხვათა მგზნებარე ქებას ამბობენ. უფერული, ჩემთვის არაფრისმთქმელი სახელების კორიანტელში მახვევენ და შენი სახელი, თუმც მას აღარ ახსენებენ, ფეთქავს გაზაფხულივით, რომელსაც ქების საგალობელი რომც არავინ უძღვნას, მაინც მოდის წელიწადის მთრთოლარე დროს და ქარგავს მინდორ-ველს.

## **შენს მოლოცვით**

ყანაში გელოდები. მზე ჩადის. ველზე ეშვება მნუხრი და, როგორც კი დაღამდება, ჩვეულებისამებრ, გამოემართები ჩემს შესახვედრად. იჩქარე, მინდა ვიხილო შენი სახე შებინდებისას!

რანელა მიახლოვდები! თითქოს ფეხი გეფლობოდეს აყალო მიწაში. თუ შეფერხდები, შიშით შემეჩერდება გულის ძგერა, გავფითრდები და გავშემდები.

სიმღერით მომამაშურე ველზე ჩამორაკრაკებულ მთის წყაროსავით. მოყურადებული ვარ.

იჩქარე! დღე ღამდება. დღეს სული ელევა, ისე უნდა ერთმანეთს მიხუტებულ ჩვენს სახეებზე ჩამოღამება.

## ღამმალე

ღამმალე, რომ ვერავინ მომაგნოს. ღამმალე ისე, ხე რომ მაღლავს თავის ქერქში სურნელოვან აშიფს. მიინდა, საღამო ჟამს აშიფის წვეთივით მეც სურნელებით გაგაბრუო და ამ სურნელმა სიღბო შეგმატოს. შენ და ჩემ გარდა არავის ეცოდინება, საიდან მოვიდა ეს სინაზე.

უშენოდ უმაქნისი ვარ, ადგილს ვერ ვპოულობ, თითქოს ამოძირკვეული მცენარე ვიყო, შიშველი ფესვებით მიწაზე დაგდებული.

რატომ არა ვარ ნაჭუჭში ჩამალული ნუშის გულივით პატარა?!

მომეცი ერთი წვეთი შენი სისხლისა და შენს ღანვს შევრჩები, ვით ვაზის ფოთოლს – ცვრის კამკამა წვეთი. კვლავ მაგრძნობინე შენი სუნთქვა, მკერდზე მოგეყრდნობი და, თითქოს ბადეში გავბმულიყავი, ისე დავივანებ შენს გულში. მერე ჰაერში ამოვფრთხილდები, კვლავ შენს გულში შემოვფრინდები და ამ თამაშში გავლევ სიცოცხლეს.

## ოთხურცელა ყვავილი

ერთ დროს ჩემი სული იყო აშოლტილი ხე, რომელზეც წითლად ღუოდა უამრავი ნაყოფი. მაშინ ჩემთვის თვალის ერთი შევლებაც კი სისავსის განცდას აღძრავდა. რტოებში შეხიზნული ჩიტუნების გალობა ხომ ნეტარება იყო!

მერე ჩირგვად ვიქეცი. ჩირგვს სულ რამდენიმე დაღრეკილი ტოტი ჰქონდა, მაგრამ მაინც უხვად დასდიოდა სურნელოვანი აშიფი.

ახლა ერთადერთი ყვავილი შემრჩა, ერთი პანანინა ოთხყურა ყვავილი. მის ერთ ფურცელს მშვენიერება ჰქვია, მეორეს – სიყვარული. ორივე გვერდივერდაა.

მესამეს მწუხარება ჰქვია, მეოთხეს – თანაგრძნობა. თითო-თითოდ იფურჩქნებიან ყვავილის ფურცლები და მეტი ფურცელი მას აღარ ექნება.

ყვავილის ოთხივე ფურცელს ძირში სისხლის თითო წვეთი ატყვია. ასეა, რადგან მშვენიერებამ მწუხარება მომგვარა, სიყვარულმა ტანჯვა მომიტანა, თანაგრძნობა კი ტანჯვისგან იშვა.

შენ მოხვედი, როცა ტანაყრილი რტომრავალი ხე ვიყავი. ახლა კი ჩემს საძებრად ასე გვიან, შეღამებულზე გამოსული ისე ჩამივლი, ველარც კი მიცნობ. მაღულად შემოგხედავ, სახეზე შეგატყობ, შეძლებ თუ არა მოიხიბლო უბრალო ყვავილით, ცრემლივით უცაბედით. შენს თვალებში ამპარტავნებას თუ დავინახავ, დაგაცილი სხვებთან წასვლას, სხვა ხეებთან, ნაყოფით დახუნძლულ ტანმაღალ ხეებთან.

ამ მინაში ჩემ გვერდით ვიგუებ მხოლოდ მას, ვინც იქნება თავმდაბალი, შეეღევა წამიერ ბრწყინვალეებას, დათმობს ამქვეყნიურ ამაოებას, რათა ჩემს მინაზე დადოს თავი და ტუჩებით დამეკონოს.

### **შეზინდებისას**

შეზინდებისას მინდორში გამოდი და ბალახებში ჩამიტოვე შენი ნაკვალევი, რომ შენს ნაფეხურებს გამოვყვე. დაადექი გათელილ ბილიკს, მიჰყევი ჩარიგებულ ალვებამდე. ოქროსფრად გაჩაღებული ალვებიდან გაემართე იისფერი სერებისკენ. ბუნებას შეეზავე, ხელი შეახე ხეებს, რათა შენი ალერსი დამიბრუნონ, როცა ჩავუვლი და ხელს მოვუფათურებ. გზადაგზა ნაკადულებში ჩაიხედე, მოლივლივე წყლები დამახვედრებენ შენი სახის ანარეკლს. ესლა დამრჩენია. ველარ გიხილავ დედამინაზე.

## სიკვდილი თუ მოვა

თუ დაიჭრები, არ შეგეშინდეს, დამიძახე, მიხმე. სულერთია, სად იქნები, თუნდაც ეს არ იყოს სახელოვანი სიკვდილი, მე შენთან გავჩნდები. ეკალბარდებით რომც იყოს დაფარული გზა შენამდე, მე მაინც მოვალ.

არ მინდა, ჩემ გარდა ვინმემ, თვით უფალმაც კი, ოფლი მოგწმინდოს საფეთქლებზე, სასთუმალი გაგისწოროს.

როცა მიიძინებ, წვიმისა და თოვლისაგან დაგიცავ, ჩემი სხეულით გადავემხობი შენს სამარეს. ხელს დაგაფარებ თვალებზე, რომ არ იხილო დიდი სიბნელე.





## სელოვნება

### მშვენიერება

სიმღერა არის ღია ჭრილობა სიყვარულისა. სიყვარულს კი ბევრი რამ გვიმხელს.

უბირო კაცო, შენ სისხლს გიჩქროლებს მხოლოდ ქალის სხეული, ხორციელი სურვილი. ჩვენ კი სულს შეგვიძრავს მთელი სამყაროს მშვენიერება. ვარსკვლავებით გაჩირაღდნებულ ზეცაში ისევია სიყვარული ჩალვრილი, როგორც ხორციელ ვნებაში.

სამყაროს მშვენიერებას ჩვენ სიმღერით შევეპასუხებით ხოლმე. სიმღერა ისე აგვანთებს და აგვათრთოლებს, როგორც შენ თრთი ხოლმე, ქალის მოშიშვლებულ უბეს რომ შეავლებ თვალს.

უბირო კაცო, მშვენიერების სინატიფემ სული გაგვიფაქიზა, სისხლშიც გაგვიფადა და ჩვენი ცხოვრების გზაზე მშვენიერებასთან უამრავი შეხმიანებით შენზე უფრო გულანთებულნიც ვართ და უფრო ნაცემ-ნაგვემნიც.

### სიმღერა

ქალი მიდის და მიიმღერის მინდვრად. ბინდდება. უკვე აღარ ჩანს ქალი, მაგრამ სიმღერა არემარეს ეფინება.

გალიცლიცებული თუნგი მიაქვს ღელისპირას. გულიც სავსე აქვს ამ თუნგივით, რომელსაც დროდადრო რიყის ქვებზე მიაჩხაკუნებს. სიმღერა ძალას იკრებს. შეგუბებული დარდი სიმღერას კილოს უცვლის, ანაღვლიანებს, სინაზესა და თან ძალას მატებს. ხმის მიმოხრაში თითქოს სისხლი წვეთ-წვეთად ჟონავს.

შელამებასთან ერთად მინდვრად ჩაკვდა ჩვეულები ხმები. წამში ჩაჩუმდა ჩიტი, მიწყდა მისი ნაგვიანევი გალობა. ქალის დაუცხრომელი გული კი...

ტკივილით მფეთქავი, ტანჯვით ცეცხლმოდებული გული, ჩაყურებულ ყველა ხმას თითქოს თავს უყრის სიმღერაში, ამჟამად კიდევ უფრო გამძაფრებულში, მაგრამ ადრინდელივით უტკბესსა და უნაზესში.

ხომ არ უმღერის ქმარს, რომელიც ეგებ უჩუმრად ყურს უპყრობს მას შელამების ბინდბუნდში. ეგებ შვილს უმღერის, შორიდან ამშვიდებს თავისი სიმღერით? ან ეგებ უმღერის საკუთარ გულს, ღამეში მარტო დარჩენილი ბავშვივით მიუსაფარს?

ღამდება. სიმღერა ღამეს ეგებება. და არის ღამეში ამ სიმღერისთვის რაღაც დედობრივი. ვარსკვლავები, რომლებიც ეს-ესაა დააჩნდნენ ზეცას, ადამიანურ სინაზეს გვაფრქვევენ. ვარსკვლავებით მოთვალული ცა ადამიანური სითბოთი დაჰყურებს დედამინას და ესმის მისი სატკივარი.

სიმღერა წმინდაა, როგორც შუქჩაღვრილი ანკარა ნყალი. სიმღერა ველ-მინდორსაც სინმინდეს მატებს, გაჯახილებულ-გაუკუღმართებულ დღესაც განბანს და ჩამოაცილებს ყველაფერს, რაც კაცთათვის საძრახისა. კვლავ მღერის ქალი. მისი სიმღერით ამოითქმება და ამოიზრდება განწმენდილი დღე და ვარსკვლავებამდე ამაღლდება.

## ოცნება

უფალმა მითხრა:

– ერთადერთი, რაც შენთვის დამრჩა, – ეს არის ლამპარი. ბნელს გაგინათებს. სხვებმა იჩქარეს, ტრფობა და სიამოვნება აირჩიეს. შენ კი ოცნების ლამპარი გერგო. იცხოვრებ მისი ნელი ნათების შუქზე.

სიყვარულით ანთებული გული არ ჩაგეფერფლოს, სიყვარული არ ჩაგელიოს ხელში ისე, სხვებს ლხინის დროს ხელში რომ ჩაეფშვნებათ ხოლმე სასმისი. გქონდეს სიმშვიდის მომგვრელი ეს ნათელი.

ბავშვებს თუ ასწავლი, ასწავლე ამ ლამპრის შუქზე და შენს გაკვეთილებს გაუგონარი სინაზე და სიმშვიდე

დაჰყვება. მატყლს ან სელს თუ დაართავ, მურგს დიდ შარავანდად შემოევლება ლამპრის ნათელი. დაილაპარაკებ და... ამ ლამპრის შუქზე წარმოთქმულ სიტყვებს ბევრად მეტი სილბო ექნება, ვიდრე დღის თვალისმომჭრელ სინათლეში ნათქვამს. ლამპარს შენი გულიდან ამოხეთქილი სისხლი გაანათებს. დროდადრო გული ტკივილით დაგენურება მიწაზე ჩამობერტყილი დაჭყლეტილი ნაყოფივით, რომელსაც წვენი ან ზეთი დასდის. მაგრამ, რას იზამ, არა უშავს!

შენს მზერას სიმშვიდეს შესძენს ლამპრის მცხრალი ნათელი. ლოთობითა და ვნებათაღელვით მზერაამღვრეული ადამიანები იკითხავენ: „რა ალი აქვს ამ ლამპარს, რომ არც პარპალებს და არც ქრება?“

არ ეყვარები ბევრს. ბეჩავად მიგიჩნევენ, ბევრს შესაბრალისიც ეგონები. სინამდვილეში კი შენ იქნები მათი შემნე და ქომაგი. მათ გვერდით იცხოვრებ და აბორგებულ გულებს შენი მზერიოც კი დაუოკებ მათ.

ამ ლამპრის შუქზე წაიკითხავ მგზნებარე ლექსებს, კაცთა მოდგმის მიერ ტანჯვაში გამოტარებულ ლექსებს, და საოცარ სიღრმეს დაინახავ მათში. ვიოლინოს ჰანგს მიაპყრობ ყურს და, სხვა მსმენელთა სახეებსაც თუ შეათვალაიერებ, მიხვდები, რომ უფრო იტანჯები, ვიდრე ისინი, და უფრო მეტადაც ხარობ. რწმენით შემთვრალი მღვდელი საუბარს თუ დაგიპირებს, შენს თვალებში იხილავს ღვთის სასოებით მოგვრილ ზეციურ სიმშვიდეს. და გეტყვის: – ღმერთი შენთანაა მარად, მე კი მხოლოდ ნეტარების წამებში ვარ მისით მოცული.

კაცობრიობის დიდი კატასტროფების დროს, როცა ადამიანები კარგავენ ოქრო-ვერცხლს, მეუღლეს, სატრფოს, – ყველაფერს, რაც მათთვის ლამპარია, – მხოლოდ მაშინ მიხვდებიან, რომ მართლა მდიდარი ხარ შენ, მხოლოდ შენ, რადგან ლამპრის შუქით სახედანმენდილს, მაგრამ ხელცარიელსა და ჯიბეგაფხეკილს, გიხილავენ შენს ღარიბულ სახლში. და შერცხვებათ, რომ მოწყალებასავით გთავაზობდნენ იმას, რაც ბედნიერება ეგონათ თვითონ.

## ხელოვანის ათი მსწავლა

1. შეიყვარე მშვენიერება. იგია სამყაროში განფენილი ჩრდილი ღვთისა.

2. უღმერთოდ არ არსებობს ხელოვნება. ღმერთი რომც არ აღიარო, ის მაინც გნამს, რაკი შენც შემოქმედი ხარ მის მსგავსად.

3. მშვენიერება არ არის გრძნობებისთვის სატყუარა, იგი საზრდოა სულისათვის.

4. ავხორცობას ერიდე, ნურც ფუჭ დიდებას დახარბდები. ეცადე, ღვთაებრივი ღვანლი აღასრულო.

5. მშვენიერებას ნუ ეძიებ ზეიმსა და ლხინში, შენს ქმნილებებსაც ნუ მიუძღვნი მათ. მშვენიერება უბინოა და ის, რაც ზეიმი და ლხინია, არ არის მშვენიერება.

6. მთელი გულით მიენდე შენს სიმღერას და უზენაესის მიერ განიწმინდე.

7. შენი მშვენიერება კაცთათვის იქნება გულმონყალეც, რადგან იგი ნუგეშს მოჰგვრის ადამიანთა გულებს.

8. შენი პირმშო რომ შეიქმნა, ისე შექმენი შენი ნანარმოები: საკუთარი სისხლი ჩატოვე შიგ.

9. მშვენიერებამ ჰაშიშვით კი არ გაგაბრუოს, დიდებულ ღვინოსავით უნდა აგანთოს და აგამოქმედოს. მაშინ არც კაცი იქნები, არც ქალი, – იქნები ხელოვანი.

10. შენს ყოველ ქმნილებას კრძალვით შეეგებე, რადგან იგი ნაკლებია შენს ოცნებაზე. ოცნება არის ღვთაებრივი უბრალოება.



## სულიპარგებელი საკითხავები

### სიუჟნოვე

შენ არ შეგიცვნიას უშნო არსებათა საიდუმლო და არ იცი, მშვენიერი შრომანის გვერდით უფალი ღმერთი რატომ ასულდგმულებს მინდვრად გველს და ჭაში – გომბეშოს, რატომ აძლევს მათ ნამიან ხავსში ფათურის ნებას.

სიუჟნოვე – ეს არის ტირილი მატერიისა. მომისმენია მე ეს ქვითინი, მომისმენია მე ეს ოხვრა. შეიგრძენ და შეიყვარე ეს ნუხილი, ეს სევდა. გიყვარდეს ობობაც და ნეხვის ხოჭოც. ორივე დარდიანია, რადგან უსაშველოდ სწყურიათ სრულყოფილება. სილამაზის მონატრებაა მათი არსი. ისინი შენს გარდასულ დღეებს ჰგვანან, შენდა უნებურად ამოდ ჩავლილსა და გაჯახირებულს. გიყვარდეს ისინი, თუმც მალალ ღმერთს არ მოგაგონებენ და არც სიხარულით გაგიციკროვნებენ სახეს.

გებრალეზოდეს ისინი, რადგან დანატრებულნი არიან სილამაზეს და უმისოდ საშინლად იტანჯებიან. მუცელგაბერილი ობობა უნაზესი და უფაქიზესი ქსელით გვიმხელს თავის ოცნებას იდეალზე. ნეხვის ხოჭო კი შავ ზურგზე შეიტოვებს ნამის წვეთს, რათა ერთხანს იბზინოს და იციმციმოს.

### სალაუნ-სახვევი

დედამინის სილამაზე სალბუნად და სახვევად ნაადგება შენს ჭრილობას. უფალმა ღმერთმა ეს სილამაზე ისე გადაგიშალა თვალწინ, თითქოს აფერადებული ტილო გაზაფხულს სწორედ შენთვის გადმოეფინოს მინდორ-ველზე.

მიწა გეფერება. თეთრი ყვავილები და ნაირფერი ქვები მისი სასიყვარულო სიტყვებია. დაინახე ეს. მთელი ეს მშვენიერება ღვთის წყალობაა.

მოლლილ და ნაჯაფარ ხელში ხიჭვები კი გაქვს შესობილი, მაგრამ ისიც ხომ ღვთითაა, რომ მეორე ხელს შენსას ებოძა დიდი სიმსუბუქე, რამაც სიხარული და ღიმილი მოგიტანა. ნუ იტყვი, რომ ეს სასტიკი თამაშია. შენ რა იცი საქმენი უფლისანი! შენ რა იცი, რისთვისაა საჭირო ამდენი ცრემლი?!

ახედე ზეცას, იგრძენი, რომ ცა ც სალბუნ-სახვევია შენი ჭრილობებისთვის. ცა უკიდევანო, ვეებერთელა რიდეა, ზევიდან ჩამოშვებული, რათა სათუთად შეგეხოს, მოგიალერსოს და დაგიმდოვროს ამღვრეული გულის ფორიაქი. ვინც ჭრილობა მოგაყენა, წავიდა, თვალს მიეფარა, მაგრამ სავალი გზის გაყოლებაზე სალბუნ-სახვევად დაგიტოვა რიდის ნაფლეთები.

დილაუთენია აივანზე რომ გახვალ, თვალი შეავლე ამომავალ მზეს და იგრძენი, რომ ესეც ჯადოსნური სალბუნი და სახვევია, ხვალინდელი დღე რომ მოგიტანს, იმ ტკივილისგან შენს დასაცავად ადრიანად ამონათებული.

## მთხვეულს

ყოველთვის, როცა მარცვალს მოაბნევ და არც კი გახედავ, მიწაში როგორ ჩაცვივდა თესლი, სხვათა სახეებზე თუ მოინდომებ რჩევის ამოკითხვას, დაილუპები. შენი მზერა პასუხს მოითხოვს მათგან და ეგონებათ, რომ შექებას ელი. შენს სიკეთეს და სიმართლეს დაინახავენ, მაგრამ არ დაგიმადლებენ გულზვიადობის გამო. თქვი შენი სათქმელი და მშვიდად, უკან მოუხედავად განაგრძე გზა. შორს რომ დაგიგულევენ, ადამიანები აკრეფენ შენს სიტყვებს და გულში ჩაიტოვებენ.

შენს რჩევა-დარიგებებს თუ დააფუძნებ შენ მიერვე შელამაზებულ შენს პატივსა და ღირსებაზე, – ეს მოგიტანს თავკერძა ადამიანთა მოჩვენებით სიყვარულს. თავკერძობა ხომ კაცთა მოდგმის თვისებაა.

შენს მოძმეთ მიმართე შელამების მრუმე ნათელში, რათა დაიჩრდილოს შენი ხატება. ისე ისაუბრე, რომ შენი ხმა სხვათა ხმას მიემგვანოს. დაივინყე შენი თავი, დაივინყე... ემსგავსე გაკრეფილ რტოს, რომელსაც ნაყოფის ნასახიც კი არ შერჩენია.

ყველაზე საქმიანი ადამიანები მაინცდამაინც არ გამოირჩევიან საინტერესო ოცნებებით, მაგრამ მათაც მშვენივრად იციან ოცნების ფასი, ოღონდ ცდილობენ, თავიანთი ნაოცნებარი ნაადრევად არ მიიჩნიონ ფრთა-შესხმულად და თავი არ დაიმშვიდონ.

ემსგავსე კაცს, რომელმაც მტერს ნაასნრო შვილის ფერებისას და ყველაფერი აპატია. შენს ოცნებებში წარმოიდგინე, რომ მტერი გკოცნის და სინანულით გთხოვს შენდობას. უსიტყვოდ შეხედე და ღიმილი შეაგებე...

იკმარე დიადი აზრით მოგვრილი ზეციური სიხარული და უსაზღვრო ნეტარება. ეს ღვთაებრივი საიდუმლოა, რომლის მონაწილენი არიან უფალი ღმერთი და შენი სული. ნუთუ ვერ შეიტკობო ამ დიად თანხმობას?! უფალმა უწყის, უფალი ხედავს, უფალი არაფერს ივინყებს.

ღმერთი მოცულია იდუმალი მდუმარებით, რადგან წმინდაა იგი. ჩუმად, ბალახის ზრდის ჩქამზე უფრო ჩუმად, შექმნა უფალმა სიმრავლე არსთა და სილამაზე მიმოაფრქვია მთებსა და ველებზე. დაიარებიან მისთა ნაქმნართა მოყვარული ადამიანები, უმზერენ, ხელს უფათურებენ, პირისახით ეხებიან ამ სილამაზეს და ეხვევათ თავბრუ. თვით უფალ ღმერთს არც ახსენებენ. ის კი დუმს, მარად დუმს და იღიმება...

### **ღვთაებრივი ქნარი**

პირველ მემუსიკეს, დავითი\* რომ ერქვა, შემოქმედივით ხელთ ეპყრა ქნარი. ვეებაა უფლის ქნარი, მას ადამიანთა გულები აქვს სიმებად. ქნარი არასდროს დუმდება, მემუსიკემაც არ იცის დალლა.

ავხორცი ადამიანის გული მოგუდულ ხმას გამოსცემს; საშოვარს გადაგებული ადამიანისა – ნადირის ყმუილივით როყიოსა და მოუხეშავს; ძუნწის გულის ხმა ძლივს მოისმის; ალალ-მართალთა გული ბროლივით წკრიალებს; სევდით დადაგული გულის ხმიანობა ზღვაზე ქარის შემოქროლებას ჰგავს, დიდი მიმოხრა აქვს: გულსაკლავი ქვითინიც მოისმის და სანყალობელი ოხვრაც. მემუსიკე შეყოვნდება ხოლმე, ამ სიმებს რომ შეახებს ხელს.

კაენის სული როცა ხმიანობს, თითქოს შუშის ჭურჭელივით იმსხვრევა ზეცა. ბოოსის გალობის სიტკბო ლენვის დროს თავთავის შრიალს ჰგავს, კალოდან მოღწეულს. იობის სული რომ გალობს, ადამიანივით ცახცახს იწყებენ ვარსკვლავები და იობი შთაგონებით ყურს უპყრობს განსაცდელთა მორევს, მისთვის სიკეთედ და სილამაზედ შემობრუნებულს.

უფალი ყურს უპყრობს თავის მიერ შექმნილ სულებს, უსმენს სევდით, უსმენს სიხარულით. ხან კეთილსა და მშვენიერს მიაყურადებს, ხან – უკეთურს, ხან იღიმება, ხან კი მისი ცრემლი სიმს ეწვეთება.

ქნარი არ დუმდება, მემუსიკე არ იღლება. არ იღლება ზეცაც, რომელიც ყოველივეს ყურს უგდებს.

ოფლით გახვითქული გლეხი ბელტს რომ ამოაბრუნებს, ვერც კი ამჩნევს, რომ უფალი ღმერთი ფეთქავს მის გულში, ღმერთი, რომელსაც ზოგჯერ იგი ივინყებს კიდეც. უფალს რომ აბარებს შვილის სულს, დედა ვერ ამჩნევს, მისი კივილი რომ სერავს ცის ლაჟვარდს. ამ დროს დედის სიმს სისხლი ემხეფება.

მხოლოდ იდუმალთმეტყველმა იცის ეს ყოველივე. და ღვთაებრივი ქნარი რომ უკეთ გაგვაგონოს, ხელით ეხება თავის ჭრილობებს, რათა მისმა სიმმა მეტი ძალით იხმიანოს ზეციურ სივრცეებში.



## ილუსტრაცია

არავის გამოუძევებიხარ! მინა, გადამწვანებული მინა, გართხმულია შენს ფერხთით, ზევიდან დაგყურებს უძირო ზეცა. გენატრება გზად მიმავალი ადამიანის დანახვა. აგერ, გზის პირას, ტანაშოლტილი ვერხვი თრთოლას აუტანია. შენი ჩრდილი მიუერთე მის ჩრდილს, სულის მოსათქმელად შეჩერდი, შენ შემოგჩერებია ყველაფერი.

არავის გამოუძევებიხარ! ღრუბლის ქულა მოგეფათურა სახეზე, – დიდი, ქუნქულა, შუქიანი ქულა. ღრუბლის ფთილა ყელზე გეხვევა ნაზად, სათუთად, რომ არ შეგაკრთოს, არ შეგაცბუნოს. ცრემლის წვეთიც შეგატოვა ღანვზე. ეს ღრუბლის ამბორია.

არა, ვინა თქვა შენი გამოძევება!



## მასწავლებლის ლოცვა-ვედრება

უფალო, შენ, რომელიც გემოდღვრავ და გვასწავლი, მომიტევე, მეც რომ მოძღვრად და მასწავლებლად ვინოდები, როგორც შენ მოგმართავდნენ ხოლმე დედამინაზე.

გევედრები, დიდი სიყვარულით შემაყვარე ჩემი სკოლა. სილამაზე რომც დაჭკნეს და ჩაიფერფლოს, მაშინაც ნუ წამერთმევა სინაზე და სისათუთე.

უფალო, მიბოძე სულგრძელობა და მაშორე სულმოკლეობა. აღმოფხვერი ბილნი სურვილი შურისგებისა, ჯერ კიდევ რომ ბუდობს ჩემს გულში. ჭრილობას რომ მომაყენებენ, სამაგიეროს მიზღვის სურვილი თუ შემომეპარება, მისგანაც დამიფარე. შემენიე, რომ არ გავწყრე, როცა ვერ გამიგებენ, და არ დავლონდე, ჩემი მონაფეები თუ დამივიწყებენ.

მომმაღლე ნიჭი სიყვარულისა, შემაძლებინე, რომ დედისა მჯობ დედად გავუხდე, დედასავით შევითვისო და დავიცვა ისინი, ვინც არ არის ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი ჩემი. მიბოძე ძალა, რომ ჩემი ლექსივით დავხვეწო და სრულვყო რომელიმე გოგონა ჩემს მონაფეთაგან. და, როცა ჩემი ბაგეები ვეღარ შეიძლებენ გალობას, იმ დროისათვის მის სულში ჩამატოვებინე ჩემი ყველაზე უფრო სულისშემძვრელი ჰანგი.

უფალო, დამანახვე, რომ ჩემს დროშიც ცოცხლობს შენი სახარება, რათა ყოველდღე, ყოველ წამს შეუხვეწებლივ ვიბრძოლო მის დასამკვიდრებლად.

შენ გაუმარჯვე ჩემს სახალხო სკოლას, რათა მისმა ბრწყინვალეებამ გზა გაუნათოს შენი ლატაკი, ფეხშიშველა ბავშვების გუნდს.

მე, სუსტ და ღარიბ ქალს, შემაძლებინე, რომ განვერიდო ყოველგვარ ძალმოსილებას, უწმინდური გზით მონიჭებულს; მიბოძე ძალა, რომ არ გავიკარო ძალაუფლება, რომელიც შენი ცხოველმყოფელი ნებით არ გადმოვა ჩემზე.

უფალო, იყავ ჩემი მეგზური და ჩემი საყრდენი.

ვიცი, ბევრჯერ დავრჩები მხოლოდ და მხოლოდ შენს ანაბარა. როცა უფრო დავხვეწ, რასაც ვასწავლი, როცა ჩემი სიმართლე უფრო მწველი გახდება, ვიცი, ყველანი შემომეცლებიან. მაშინ შენ ჩამიკრავ გულში: შენმა გულმა იცის მარტოობისა და მიუსაფრობის სიმწარე. მხოლოდ შენს მზერაში ვიპოვი სითბოს და მხარდაჭერას.

მიბოძე უბრალოება და მიბოძე სიღრმე. დამეხმარე, რომ ჩემი ყოველდღიური გაკვეთილები არც რთული იყოს, არც ერთფეროვანი.

ყოველ დღით, როცა ჩემი სკოლის კარს შევადებ, შემადღებინე, დავივიწყო ჭრილობები, მკერდზე რომ მატყვია; შემადღებინე, რომ სამუშაო მაგიდასთან არ მიმყვებს ჩემი სადღეხვალის საზრუნავი, გაუთავებელი ნვრილმანი სატკივარი.

უფალო, სიმსუბუქე მიანიჭე ჩემს ხელს, როცა ბავშვს ვსჯი, და სინაზე შეჰმატე, როცა ვეფერები. შემრისხე კიდევ, ტკივილი მომგვარე, უსიყვარულოდ თუ დავტუქსავ.

შენ შემეწიე, უფალო, რომ ქვით ნაშენები ეგ ჩემი სკოლა სულიერად აშენდეს და აღორძინდეს; ჩემმა თავდაუზოგავმა შემართებამ მოიცვას მისი უბრალო დერეფნები და სადა საკლასო ოთახები; შემეწიე, რომ ჩემი გული დედაბოძად შეუდგეს სკოლის შენობას და ჩემი თავდადება მდიდრული სკოლების მოოქრულ სვეტებზე უფრო ძლიერი ბურჯი და ჭეშმარიტი განძი გახდეს ჩემი სკოლისთვის.

ბოლოს კი, ველასკესის\* ერთი ფერგაცრეცილი ტილოს მეოხებით შემახსენე, რომ ამქვეყნად დიდი სიყვარულით ასწავლიდე, – ეს იგივეა, ჯვარცმული მაცხოვრისთვის ლონგინოზ ასისტავის\* მიერ ნაძგერები შუბით დაჭრილი და სიყვარულით ანთებული გულით მიატანო განკითხვის დღემდე.

## მასწავლებლის ათი მსწავლა

1. გიყვარდეს მთელი გულითა და სულით. თუ სიყვარული არ შეგიძლია, ნუ ასწავლი ბავშვებს.
2. ასწავლე სადად, უბრალოდ, ისე რომ მთავარი არ გაგეფანტოს.
3. გაიმეორე, როგორც ბუნება იმეორებს, ვიდრე არ მიაღწევს სრულყოფილებას.
4. ასწავლე ისე, რომ გახსოვდეს მშვენიერება, რადგან იგი დედაა ყოველივესი.
5. იყავი გულანთებული. ლამპრები რომ აანთო, ცეცხლი უნდა გქონდეს გულში.
6. სული შთაბერე გაკვეთილს. ყოველ გაკვეთილს სული უნდა ედგას ცოცხალ არსებასავით.
7. იზრუნე შენი სულის ამაღლებაზე. რომ გასცე, უნდა გქონდეს.
8. გახსოვდეს, შენი პროფესია ხელობა კი არა, – ღვთისმსახურებაა.
9. ყოველდღე, გაკვეთილის დაწყებამდე, საკუთარ სულში ჩაიხედე, წმინდა თუ გაქვს გული.
10. იფიქრე იმაზე, რომ ღმერთმა შენ დაგაკისრა ხვალინდელი დღის შექმნა.



# სასკოლო მოთხოვნები

## რატომ აქვს ლერწამს ღრუ?

### I

ერთხელ მცენარეთა უწყინარ სამყაროში სოციალური რევოლუცია მომხდარა. ამბობენ, მოთავეები იყვნენო გადიდგულელებული ლერწმები. ამბობებულთა წინამძღოლი, ქარი, თურმე ჯგუფ-ჯგუფად ამოქუჩქუჩებულ მცენარეებთან ქაქანებდა, პროპაგანდას ენეოდა. დაბურული ტყეები დახუნძლულ ბაღებს შეკავშირებინან თანასწორობისთვის წამოწყებულ ჯანყში.

თანასწორობა... კი, მაგრამ როგორი, რანაირი თანასწორობა? რითი უნდა გაუთანასწორდნენ ერთმანეთს? მერქნის სიმკვრივით? კეთილი ნაყოფით თუ ნყალთან სიახლოვით?

არა, უბრალოდ... გადაუწყვეტიათ, გათანასწორებულებიყვნენ მხოლოდ და მხოლოდ სიმაღლეში! და იდეალად ქცეულა სიმაღლეში გათანაბრება. სიმინდს აზრადაც არ მოსვლია ძალ-ღონით მუხას გატოლებოდა; აინონა, აინონა და მუხის სიმაღლეზე ააშრიალა თავისი ქოჩორი. ვარდი არ ცდილა კაუჩუკის ხესავით გამოსადეგი გამხდარიყო. სიმაღლეში წამოენია მას, ბალიშით ამობურცა თავისი ვარჯი და ზედ ისე მიმოფანტა კოკრები, თითქოს სასთუმალზე მიესვენებინოს წასაძინებლად.

ამაოება ამაოთა და ყოველივე ამაო! განდიდების გიჟური სურვილი! ეს ბუნების კანონის საპირისპიროც არის და არსთა ჭეშმარიტი პირველსახის დაცინვაც! გონიერი ყვავილები – მორცხვი იები და თეთრი დუმიფარები – ამაოდ იშველიებდნენ ღვთაებრივ განჩინებას, ამაოდ კიცხავდნენ ამბობებულებს გადამეტებული ქედმაღლობისთვის. მათი ნათქვამი დახრონცილი ბებრის სიჩერჩეტედ მიაჩნდათ.

ერთი მოხუცი გრძელწვერა პოეტი მშვენიერებას გამოეყომაგა, დაგმო მოჯანყეთა მიზნები და ბრძნულად ისაუბრა სამყაროს წესთან შეუთავსებელი ერთფეროვნების შესახებ.

## II

როგორ შეიძლებაოდა მათი აყოლა?! გაუგონარ რალაცას ითხოვდნენ! ჰოდა, მინის სულელები აფუსფუსებულან მცენარეთა ფესვებთან, გაუკულმართებული სიცოცხლისუნარიანობა მიუნიჭებიათ მათთვის და საზარლადაც დაუმახინჯებიათ.

მარცვლეულთა ჯიშები და ჩირგენარი ერთ ღამეში რამდენიმე ათეული მეტრით წაგრძელებულა სიმაღლეში, ვარსკვლავთა მბრძანებლურ შეძახილს დამორჩილება თითქოს.

მეორე დღეს თავ-თავიანთი ქოხებიდან გამოფენილ გლეხებს გული შეჰლონებიათ, სამყურა ბალახი საკათედრო ტაძრის სიმაღლეზე აზიდული რომ დახვედრიათ და პურის ყანები ოქროსფრად მოშრიალე ტროპიკულ ტყეებს რომ დამსგავსებია.

ჟამი სიშმაგისა დამდგარიყო. საქონელი ბლაოდა, გზა ვერ გაეგნო ჩამობურულ საძოვრებში. სათვალთვალო კომპის სიმაღლეზე აზიდულ ბუდეებში ჭყიოდნენ საქციელწამხდარი ჩიტები, ველარ ახერხებდნენ ასე მაღლიდან მარცვლის ასაკენკად ჩამოფრენას. აღარსად ჩანდა მზით გაჩახჩახებული კორდი და რბილ ხალიჩად დაფენილი ხასხასა მოლი.

მეცხვარეები გაოგნებულეები მდგარან იალაღების პირას, ქუნქულა თეთრი ცხვრები თურმე ფრთხებოდნენ და ვერ შედიოდნენ ამ რალაც ჩამობურულსა და ბნელში, შთანთქმით რომ ემუქრებოდა მათ.

წარმატებით გაყოყოჩებული ლერწმები თურმე ხითხითებდნენ და ფოთლებს გამეტებით უფართხუნებდნენ ეკვალიპტის მოლურჯო კენწეროებს.

### III

ამბობენ, ერთ თვეს გასტანაო ამან. მერე კი დაწყებულა დაცემის ხანა. ეს კი ასე და ამგვარად მომხდარა: ჩრდილის მოყვარული იები ჩამომჭკნარან თავკარა მზეში.

– რა მოხდა მერე, მაინც არაფრის მაქნისნი იყვნენ!  
– იმავე წამს წამოუძახიათ ლერწმებს.

სულის საუფლოში კი დიდი ნუხილი მოჰყოლია ამას.

დუმფარებს გადამტვრევიათ ოცდაათ მეტრამდე წაგრძელებული ღეროები და თურმე ძირს ცვიოდნენ სიკვდილმისჯილ დედოფალთა მოკვეთილი თავებივით.

ლერწმები თავისას არ იშლიდნენ, კვლავ ქილიკობდნენ. ტყეებიდან გამორბოდნენ ყვავილების საცოდაობით აცრემლებული ნიმფები.

ცად აზიდულ ლიმონის ხეებს მოძალადე ქარმა შემოაძარცვა ყვავილები. მშვიდობით, მოსავალო!

– რა მოხდა მერე! დიდი ამბავი! ისედაც მუავე ნაყოფი ჰქონდათ! – ბობოქრობდნენ ლერწმები.

სამყურას ბრაზი მოერია, ცეცხლში ჩაგდებული ძონძივით მოემჩვარა ყლორტები. თავთავებს გადაებრიცათ უსაშველოდ წაგრძელებული ღეროები, წანვნენ და მათი წველები გამოუსადეგარი რელსებივით ეყარა მიწაზე.

ტანმორჩილმა, ნაგალა ხეებმა სიმაღლეში კი გაინიეს, მაგრამ ნაყოფი დაუჩიავდათ, ვაშლის თესლის-ტოლა გაუხდათ.

ლერწმები უკვე აღარ ქილიკობდნენ, მოიღუშნენ.

არცერთ ყვავილს აღარ გამოუტანია ნაყოფი: არც მინდვრის ყვავილებს, არც ბუჩქნარს, – მწერები ვერ ეკარებოდნენ თურმე და იმიტომ, ფრთები ეტრუსებოდათ.

იმასაც ამბობენ, ხალხი დარჩენილა ულუკმაპუროდ, უჭირნახულოდ. არც პირუტყვისთვის ჰქონიათ თივა. ყოფილა შიმშილი. ყოფილა გასაჭირი.

იმჟამად მხოლოდ ტანმაღალი ხეები გადარჩენილან უვნებლად. იდგნენ თურმე, ადრინდელივით ლალად აშოლტილები. ბრალი არ მიუძღოდათ და იმიტომ.

ლერნმები ნაქცეულან ბოლოს, სულ ბოლოს, და ამით ნათელი გამხდარა გათანაბრების მოძღვრების მარცხი. ლერნმებს ფესვები ჩალპობიათ ნესტში, თურმე ფოთლებიც ვერ შეუშრიათ.

ადვილი შესამჩნევი ყოფილა, რომ სავსე ღერო გამოსცარიელებიათ. ლერნმებმა თავი გამოიჭამეს თითქოს და ძირიდან წვერომდე გამოფუტუროებულან, ხის კაცუნებს ან რეზინის სასაცილო თოჯინებს დამგვანებთან.

ყველაფერი ცხადი გამხდარა. აღარავინ ცდილა ამ მოძღვრების დაცვას. აგერ უკვე ათასი წელია, ამ ამბის გახსენებაც არავის სურს.

მარადი განახლების შემძლე ბუნებამ ექვს თვეში გამოაკეთა ნამხდარი საქმე. მოარჯულა შერეკილი მცენარეები.

გამოხდა კარგა ხანი და ერთმა წვეროშვებულმა პოეტმა დიდი აღმაფრენით უმღერა ახალ ეპოქას, თქვა, რომ მშვენიერია პატარა ია, რომ ლიმონის ხეც მშვენიერია, მშვენიერია ყველაფერი ისე და იმგვარად, როგორც შექმნა უფალმა ღმერთმა! მშვენიერია ლონიერი მუხაც და ქერის სუსტი თაველიც.

დედამინა ისევ დამშვენდა. ნახირმა ფერდები შეივსო. ადამიანებს სარჩო გაუჩნდათ.

თავქარიან ლერნმებს კი სამუდამოდ დარჩათ დალი – გამოცარიელებული ღერო.

### **რატომაა პარდი ეპლიანი?**

მან ჩაუარა ვარდებს. ადრე ვარდი უბრალო ყვავილი ყოფილა და ათასგვარ ბალახბულახთან ერთად თურმე ყველგან იყო მოდებული.

დღეს ვინ წარმოიდგენს, რომ ვარდები – უმშვენიერესი ფურცლებით მორთულ-მოკაზმული დედოფ-



ლები – გზისპირებში ხარობდნენ და ბილიკების მოსალამაზებლად იყვნენ გაჩენილნი. არადა, ასე იყო.

ერთ მზიან დღეს მლოცველად გადაცმულმა უფალმა ღმერთმა დედამინა მოიარა და, უკან რომ დაბრუნდა, ზეციდან მოისმა:

„გაპარტახებულია ამ სანყალი დედამინის გზები. თაკარა მზეში გზებზე ვიხილე გახვითქული მგზავრები და დასიცხული საქონელი. პირუტყვი ბლაოდა, ადამიანები თავ-ბედს იწყევლიდნენ. გზები ჩალეხებულია, გზისპირებში შემონყობილი ყორეებიც მონგრეულია. გზა ხომ ღვთაებრივი სინმინდეა! გზა დაშორიშორებულ სოფლებს აკავშირებს ერთმანეთთან. სიცოცხლის წყურვილით ატანილი ადამიანები დაიარებიან გზებზე: ვაჭარს იმედი დაატარებს, მლოცველს – ანთებული სული. გადასაჩრდილებელი ლამაზი ფანჩატურები კარგი იქნებოდა ამ გზებზე, თვალსაც გაახარებდა და გულსაც“.

და უფალმა ღმერთმა შექმნა მტირალი ტირიფები, რომლებიც ჩამოშვებული მკლავებით ლოცვა-კურთხევას აფრქვევდნენ თითქოს; შექმნა ტანაყრილი ალვები, რომელთა ჩრდილი შორ მანძილზე განოლილიყო; ხვიარა ვარდებით დაამშვენა ჩამოჟამული რუხი ყორეები.

მაშინ ვარდები ამაყად ყელყელობდნენ ყველგან. მათი გამოყვანა და გახარება გაძნელდა და დღეს ეს ყვავილი გაიშვიათდა.

„სოვდაგრები და მომლოცველები ღმირით ჩაუვლიან ქალწულთა გუნდით ჩარიგებულ ალვებს, ტირიფის ჩრდილქვეშ მტვერს ჩამოიფერთხავენ თავიანთი ხამლიდან“. – გაიფიქრა უფალმა და გაელიმა, რომ წარმოიდგინა მწვანით მოფარდაგული გზისპირა ყორეები და ზედ წითელი, თეთრი, ყვითელი სურნელოვანი ყვავილები: – „პირუტყვი გალადდება, აყროყინდება, აჭიხვინდება. მგზავრული უნდა გაისმას და სოფლის მყუდროება უნდა დაარღვიოს უცნაური იდუმალებით განმსჭვალულმა ღვთაებრივმა სიმღერებმა“.

მაგრამ სიცოცხლის ხალისით ატანილი და სიამეს დახარბებული ადამიანი ახლაც უხეშად ჩაერია მოვლენათა მდინარებაში.

სიმაღლემ იხსნა ალევები. ტირიფის შემქმნარ რტოებს აღარ შერჩათ სილამაზე. ვარდები, მართალია, მშვენიერნიც იყვნენ და აღმოსავლური ნელსაცხებელივით სურნელოვანნიც, მაგრამ მიუვალ მთებში უმნეოდ დარჩენილ პატარა გოგონასავით დაუცველნი აღმოჩნდნენ.

გზისპირებში ცხოვრებამ ვარდის ბუჩქები სულ ერთ თვეში საშინლად დააუშნოვა: სამი-ოთხი ვარდი ყოველთვის აკლდათ.

ვარდები ენას არ აჩერებდნენ ქალებივით, ტანჯვანამების გამო სულ ნუნუნებდნენ. ერთხელაც უფალს შესჩივლეს. ნუხდნენ, ცახცახებდნენ, ყაყაჩოზე უფრო ნამონითლებულიყვნენ:

– უფალო, შენი წყალობის ღირსნი არ არიან უმადური ადამიანები! შენგან მოვევლინეთ ქვეყანას ასე უმანკონი და მშვენიერი. გვინდა, სიამოვნება მივანიჭოთ ადამიანებს და სასნაული მოვუვლინოთ. გულს გავიღეღავთ ხოლმე, გვირგვინს გადავიფურჩქნით, მძაფრი სურნელი რომ ვაფრქვიოთ. გვინდა, სიცინცხალე შემოგვრჩეს და ისეთი ძალით ვისრუტავთ მინის წვენს, რომ ყლორტები გვეძაბება და გველლება. მაგრამ ჩვენმა სილამაზემ უბედურება მოგვიტანა.

მწყემსმა ჩამოიარა. ფეხდაფეხ რაღაც ფაფუკი ფთილები რომ მოჰყვებოდა, იმის დანახვა მოგვინდა და გადავიხარეთ. „აღისფრად ლაღანებენ, შეხე, მოგვესალმნენ, ზღაპრული მზეთუნახავებივით დადრიკეს თავი!“ – თქვა მწყემსმა და მოგვწყვიტა მაღალღეროიანი ორი კოკორი.

მერე ერთი გლეხი მოვიდა. გაოცებისგან თვალები დაჭყიტა და წამოიძახა: „სასნაულია! გზის კიდეს ფერადი წამოსასხამი მოუბურავს. ეს ნაღდი ძველებური

დღესასწაულია!“ – შემდეგ კი თქვა: „ესეც... ანუკასთვის საჩუქრად“. – და ერთი ხელის მოსმით ექვსი ყვავილი, მთელი ტოტი ჩამოგვაცხა.

მერე ჩაიარა ერთმა მოხუცმა მლოცველმა. საოცარი მზერა ჰქონდა, შუბლზე ნათელი გადასდიოდა, თვალებში სხივი ედგა. წამოიძახა: „დიდება შენდა, ღმერთო! შენდა სადიდებლად ქებას აღავლენენ შენი უბრალო ქმნილებანიც კი! უფალო, შენ გადიდებს ყოველი არსი!“ – თქვა და თან გაიყოლა ჩვენი ყველაზე ლამაზი დაია.

ვიღაც შარახვეტიამაც ჩამოგვიარა: „რა კარგია, ყვავილები ზედ გზის პირას!“ დაგვტაცა ხელი და მღერა-მღერით გაუყვა ბილიკს.

უფალო, ასე ცხოვრება აღარ შეიძლება. ცოტა ხანში გადავშენდებით და უწინდელივით მოშიშველებული დარჩება ყორე.

– რას ითხოვთ?

– დაგვიფარე! კაცთა მოდგმა ბალ-ბოსტანს ძეძვითა და მაყვლოვანით იცავს. რალაც ამდაგვარი მოგვიხერხე ჩვენც.

მონყალე ღმერთმა, არსთა გამრიგემ, სევდიანად გაიღიმა, რადგან სურდა, მშვენიერება კაცთათვის გასახარელი ყოფილიყო, მაგრამ ადვილად მოსახელთებელი – არა.

– დაე, იყოს ასე! ვხედავ, სხვა დროსაც ასე მომიწევს. ადამიანები მაიძულებენ გავატლანქო და გავაუხეშო ჩემნი შექმნილნი.

ჰოდა, ვარდის ბუჩქებს ქერქი დაუსკდათ, ნახეთ-ქებიდან წამოიწია წამახულმა ძგვიტებმა. ეს იყო ეკლები.

და ამის შემდეგ ადამიანმა, მარად უსამართლო ადამიანმა, ბრძანა, რომ უფალმა ღმერთმა შელახა კეთილი ხატი თვისთა შექმნილთა.

## პარღის ფესვი

მინის ქვეშ ისევე ფეთქავს სიცოცხლე, როგორც მინის ზევით. უთვალავი არსებანი ფუთფუთებენ, შრომობენ, იბრძვიან, უყვართ, სძულთ.

მინაში ცხოვრობენ მცენარეთა ფესვები, რომლებიც მუქ მატლებს ან რუხ ზონრებს ჰგვანან, და კიდევ – მინისქვეშა წყლები, სელის ღეროებივით ნაგრძელებული მთრთოლარე, ლიკლიკა ნაკადულები.

ამბობენ, მინაში კიდევ სხვაც ბევრიაო. ესენი არიან ჯუჯები – გრძელწვერა ონავრები, ვაციწვერას ნბილას რომ არ ასცილებიან სიმაღლეში.

ერთ მშვენიერ დღეს სწორედ იქ შეხვდნენ და ერთმანეთს გამოელაპარაკნენ მონანწკარე წყალი და ვარდის ფესვი.

– ფესვო, ჩემო მეზობელო, ჩემს თვალებს არასდროს უხილავთ შენნაირი სიმახინჯე. შენზე ამბობენ, მაიმუნმა მინაში ღრმად ჩაფლა თავისი კუდი და შიგ ჩატოვაო. მგონი, ჭიაცელას ბაძავ, მაგრამ მასავით რომ ვერ იკლაკნები?! კარგად კი გისწავლია ჩემი მოცისფრო რძის შესრუტვა. თუ ჩაგიარე და შეგეხე, გამანახვერებ ხოლმე. ის მაინც მითხარი, რას უშვები ამდენ წყალს?!

ფესვმა კრძალვითა და რიდით მიუგო.

– ძმაო, ჩემო ძმაო, მონანწკარე წყალო! უშნოდ და უღაზათოდ მიგაჩნივარ და ნამდვილად ვარ შეუხედავი. მინაში დიდხანს ყოფნამ ჩამაშავა. მუშას რომ ნაჯაფარი ხელები ებრიცება, მეც ასე დამღრიკა გაუსაძლისმა ჯაფამ. მეც ხომ ერთი მუშა ვარ, ჩემი სხეულის ზედა ნაწილისთვის ვშრომობ, იმ ნაწილისთვის, მზეს რომ შეჰყურებს. შენგან რომ მოცისფრო რძეს შევიწოვ, მერე იმას ვანვდი, რათა გაიხაროს. როცა თავს დაგვიძვირებ, შორს დავეძებ სასიცოცხლო წვენს. ძმაო, მონანწკარე წყალო, აბა, ერთი ახედე მინისზედა მცენარეებს! ნახე, რა მშვენიერი ვარ მინის ზევით!

წყალი დაეჭვდა, მაგრამ დუმილი არჩია, ლოდინის მეტი რა დარჩენოდა?!

როცა წყლის ქავლმა იმატა, იძალა და ჩხრიალით გააღწია სინათლეზე, მისი მთავარი საფიქრალი იყო, ფესვმა რომ ახსენა, ის რაღაც წაგრძელება ენახა.

და, ეჰა, ღმერთო, ეს რა იხილეს მისმა თვალებმა!

გაზაფხული გამობრწყინებულიყო. და... სწორედ იმ ადგილას, ფესვის გასწვრივ, რაღაც მონითალო უნაზესი საოცრება ამშვენებდა მიწას.

ყლორტები დადრეკილიყვნენ, დაღლილიყვნენ პანია გვირგვინის ტვირთვით. ჰაერში სურნელება და იდუმალი ნეტარება იფრქვეოდა.

ნაკადული შეფიქრიანებული გაუყვა ყვავილებით მოჩითულ ველს და ჩაიდუღუნა:

– ეჰა, უფალო ღმერთო! ეგ უბადრუკი რუხი ძონძი როგორ აქციე უცხოფერ აბრეშუმად! ამ მშვენიერების გაგრძელება რანაირად არის ის სიმახინჯე!..

## ნარშავა

ერთხელ ერთ მშვენიერ ბაღნარში შროშანმა ყვავილებს ჰკითხა, ქრისტეს შესახებ რაიმე თუ გსმენიათო. ჩვენმა მებაღემ რომ ჩამიარა, ახალგაფურჩქნილი ყვავილი შემიქო და თან რატომღაც ქრისტე ახსენაო.

ალისფერმა ვარდმა უთხრა, – არ ვიცნობ ქრისტეს, ერთი უბირი გლეხი იქნება, დიდგვაროვნები ყველანი ნანახი მყვანანო.

– არც მე მინახავს, მაგრამ ჯერ არცერთ კეთილსულიერს ისე არ ჩაუვლია, რომ არ დაეყნოსა ჩემი პანანინა ყვავილები, – თქვა იასამნის სურნელოვანმა ბუჩქმა.

– არც მე მინახავს, – მიუგო კამელიამ, ნაზმა და ნატიფმა. – ვინმე ბოგანო იქნება, შეძლებული კაცები და წარჩინებული ლამაზი ქალები მკერდზე იბნევენ ჩემს ყვავილებს.

შროშანმა განაგრძო:

– როგორც ჩანს, ჩამომგავს. აბა, მე რომ შემომხედა, რალა მაშინ გაახსენდა ქრისტე ჩვენს პატრონს?!

შემდეგ იამ თქვა:

– რომელიმე ჩვენგანს უთუოდ ეყოლება ნანახი. ეგებ ჩვენს სანყალ ძამია ნარშავას ენახოს? გზის პირას ხარობს, ვილას არ ჩაუვლია მის გვერდით! ყველას ესალმება და თავის მტვრიან თავს უქნევს. მტვერში კია ამოქვარქნილი, მაგრამ ისეთი ნაზია და სათნო, გეგონება, ჩემსავით ლამაზი ყვავილები ჰქონდეს.

– სწორი ხარ, – შეეხმიანა შროშანი, – ნარშავას ნამდვილად ნანახი ეყოლება ქრისტე. მაგრამ „ჩვენს ძამიად“ რამ გახსენებინა?! რა ჩვენი ძმაა ნარშავა! ეკლები ასხია, უშნოა, თანაც ავაზაკს ჰგავს. ფარას რომ ჩაატარებენ, ძგვიტებიან ბირკებს შეატოვებს ხოლმე ბატკნებს.

შროშანი ბილიკისკენ გადაიხარა, დამტკბარი და მინაზებული ხმით თვალთმაქცურად გასძახა ნარშავას:

– ძმაო ნარშავავ, ჩვენო საცოდავო ძმაო! მე, შროშანი, გეკითხები: გინახავს ქრისტე?

ქარმა მოიყოლა რალაც ხრინნის ხმა, – ნარშავა ღეროში გადამტყდარიყოს თითქოს.

– კი, ჩაიარა ამ გზაზე, მის კვართსაც შევხებივარ მე, ერთი ბეჩავი ნარშავა.

– მართლა ჩამომგავს?

– ოდნავ... მხოლოდ მაშინ, მთვარის შუქზე სევდიანი რომ ჩანხარ. შენ მუდამ თავაღერილი ხარ. ქრისტე კი ოდნავ თავდადრეკილი დაიარებოდა. ფართო იყო მისი კვართი, შროშანების კონას ჰგავდა. ბედნიერი ხარ! მე, მტვრიან ნარშავას, ვინ მიმამსგავსებს ქრისტეს!

– ნარშავავ, თვალები?.. როგორი თვალები აქვს ქრისტეს?

იქვე ტოტზე გაიფურჩქნა ლურჯი ყვავილი.

– მკერდი როგორი აქვს, მითხარი.

ნარშავამ ნითელი ყვავილი გადაფურჩქნა.

– ასეთია მისი მკერდი.  
– ო, ეს ჭყეტელა ფერია! – თქვა შროშანმა.  
– გაზაფხულზე რომელი ყვავილნის გვირგვინი უმკობდა შუბლს?

ნარშავამ ეკლები აბურძგნა.

– ეგ ხომ საზარელი გვირგვინია! – თქვა კამელიამ.  
– ვარდს უწუნებენ ეკლებს, მაგრამ მისი მომცრო ეკლები რა სახსენებელია ქრისტეს გვირგვინის ეკლებთან. კაქტუსის ძგვიტებივით იყო, ტრამალებში ამოზრდილი კაქტუსის ძგვიტებივით!

– სიყვარული თუ იცის ქრისტემ? – განაგრძო აფორიაქებულმა შროშანმა, – როგორი სიყვარული იცის ქრისტემ?

– აი, ასე უყვარს ქრისტეს! – წამოიძახა ნარშავამ და თავისი გვირგვინის ბუსუსები მიმოფანტა, ერთიანად ქარს გაატანა.

– და მაინც... მინდა მისი ნახვა! როგორ მოვახერხო, ძამია ნარშავავ?

მან კი მიუგო:

– მის სახილველად, მისი მზერის მოსახელთებლად ნარშავები გზისპირებში ვართ ჩარიგებულნი. ის მუდამ ბილიკებს მიუყვება შეუსვენებლივ. გვერდით რომ ჩამიარა, მითხრა: „კურთხეულ იყავ შენ, რადგან ყვავილობ მტვერში და გახარებს გზად მიმავალთა ანთებული მზერა. დიდხანს ვერ შემორჩები ნარჩინებულთა სურნელოვან ყვავილნარს: ქარი შემოგიქროლებს და გაგთქვამს, სხვა სურნელს გაიყოლებს – კაცთა ტანჯვისა და ჭრილობათაგან ანასხლეტს“.

მაგრამ არც შროშანმა, რომელსაც ქრისტეს მოძმედ მიიჩნევენ\*, – არც ვარდებმა, რომლებიც ბავშვობაში გორაკებზე თვით ქრისტეს მოუწყვეტია, – არც ხვიარა ჯიქამ არ ისურვეს გზისპირა ნარშავას ხვედრი. არ შეუდგნენ უფალს არც დიდგვაროვანი დედანი და მამანი, გადახრუკულ ველებზე არ გაჰყვნენ მას. ჰოდა, მათ ვერ შეიცნეს ქრისტე.

## ქერიის პოეზია

### ლამპარი

დაილოცოს ჩემი ლამპარი! მზესავით არ დაგსიცხავს, არ შეგანუხებს, თანაც შეხედავ და... ნაღდ სიღბოსა და სიტყბობას ასხივებს.

ჩემი ოთახის შუაში, შიგ შუაგულში ანთია. მისი ნაზი შუქი ამიციმციმებს ხოლმე თვალზე მომდგარ ცრემლს და მკერდზე აღარ ჩამომეღვრება, შევიკავებ ხოლმე კურცხალს.

გულმა მომთხოვა და შუშა შევუცვალე. ასე ვარჩიე. ახლა ლურჯად, ბინდისფრად აშუქებს და ჩემი ოთახი ღრმა ხევს დაემსგავსა, მით უფრო, რომ ამ ბოლო ხანს ხევხუვში ველარ დავეხეტები და უფალს ვერ ვევედრები ბუნების წიაღში. დარდი რომ მომეძალება, იისფერ შუშას მოვარგებ ხოლმე. მაშინ კი ლამპარი ნაღდად ჩემსავით გრძნობს ყველაფერს.

ჩემი ცხოვრების შესახებ ლამპარმა მეტი იცის, ვიდრე იმ ადამიანებმა, მე რომ ადრე გულს ვუხსნიდი. სევდიან ღამეებში სათუთად ეხება ჩემს გულს და ამით ხარობს. სულიერ ტკივილს ნელი ალით მიაგებს და რბილად ანათებს, რომ მშვიდად ენთოს დიდხანს.

გარდაცვლილები, თვალისჩინი ჩამქრალი რომ აქვთ, ლამპრიდან შემოგვყურებენ. ვინ უნდა იყოს ის მიცვალებული? ნეტა, ვინ შემომცქერის ასეთი სინაზით?

ლამპარი რომ ადამიანი იყოს, დაინვებოდა ჩემი დარდით, დაიდაგებოდა ჩემი ტანჯვით. ბედი თუ ნყალობით გადმომხედავდა, ჩემთან ყოფნით გაიხარებდა. ეს ლამაზი ლამპარი ნამდვილი სრულყოფილებია!

ერთი შეხედვით ვერაფერს შეატყობ და მტრებს ჰგონიათ, მარტო ვარ. ასეთი პატარა, ასეთი ღვთაებრივი ჩემთანაა ყოველგვარ განსაცდელში, უჩვეულო



შუქს ასხივებს და მიცავს, რომ ბედნიერებამ არ მიმატოვოს.

სულში მინთია ის ძალა, ლამპარს რომ შარავანდად ადგას. მის პარპალში ვხედავ დედაჩემის ხატებას და გადაშლილ წიგნს. ნეტა შემრჩეს მხოლოდ ის, რასაც ლამპრის შუქი სწვდება, დანარჩენი ყველაფერი თუნდაც წარიტაცონ.

უფალო, გვეედრები, დარდიან კაცს ნუ მოაკლებ ლამპრის ნელ ნათებას, რომ მის თვალზეც იკლოს ცრემლის ციმციმმა.

## ბუხარი

ნაირფერი ქვებითაა მოპირკეთებული ჩემი ბუხარი. ეს ღარიბთათვის სატყუარაა. შეჰყურებ და პატიოსანი თვალების პატრონი გგონია თავი.

გავაჩაღებ, მივეფიცხები და მთელ ღამეს ვტკბები ბუხრის ღადღადით. ჯერ ნაკვერჩხალი: შიშველი, როგორც ღია ჭრილობა; მერე – ღადარი, ალისფერი ვარდის სითბოთი რომ გავსებს. ასე მიიღევა ღამე, გასისხამდება და რძეჩაღვრილი შუქი უნაზეს საბურველში გაგხვევს.

შენი ალის თვალმიდევნებაში ოცნებები მენწვევა და მოგონებები წამომეშლება ხოლმე, ერთხანს შენი მუგუზალივით ელვარებენ, მერე ქრებიან.

მყუდრო ხარ და შინაური. უშენოდ სახლი კი არსებობს, მაგრამ მშობლიური კერა – არა.

შენ მასწავლე, რომ ყველაფერი, რაც იწვის, თავის გარშემო იკრებს ადამიანებს. ბავშვობაში გიყურებდი და შენი ცეცხლის ენებივით მიფართხალებდა გული, ჩემ ირგვლივ ბიჭუნები იყრიდნენ თავს.

ხელს ჩავჭიდებდით ერთმანეთს. ბედი როცა გვილიმის, მაშინაც უნდა გვახსოვდეს ეს ჩაკიდებული ხელები.

უკეთ რომ გიგრძნო, ცხაურს არ ჩამოგაფარებ, მინდა, დიდხანს გიყურო როგორ გიზგიზებ.

ბრინჯაოს სალტე რომ გაქვს შემოვლებული, ბრწყინვალებას და ლაზათს გმატებს.

ჩემი დიდებები შენს ღველფში ყრიდნენ ჯადოსნურ ბალახებს, მათი კვამლი ავ სულელებს განასხამდა. ახლა კი, რაკი შენ კარგად გახსოვს ჩემი მოხუცები, დავაქუცმაცებ სურნელოვან ბალახებს, რათა შენს ღველფში იტკაცუნონ და კოცნის ხმა გამოსცენ.

გიყურებ, ჩემო ბუხარო, გიყურებ და ვამბობ:

– დაე, ყველა ლატაკმა გაგაჩალოს ამ ღამეს და დარდიან ადამიანთა ხელები სიყვარულით შეერთდნენ შენ სიახლოვეს.

## ლოქი

თიხისა ხარ, ჩემი ღანვივით მუქი ხარ და მშვენივრად მიკლავ წყურვილს. ერთადერთი, ვინც შენ გჯობს, – ესაა წყარო, ხევში რომ ამოჩქეფს. მაგრამ წყარო შორსაა, ზაფხულის ამ ჩახუთულ ღამეს იქ რა წამიყვანს?!

ყოველ დილას გავსებ. წყალი ჯერ მღერა-მღერით ჩაგედინება, მერე, პირამდე რომ მოგადგება, გაიტრუნება, იმიტომ რომ ათრთოლებულ ტუჩს გიკოცნის, მადლს გწირავს.

გამძლეც ხარ და მოხდენილიც, ჩემო ღოქო! გლეხის ქალის მკერდს მაგონებ. დედაჩემს რომ ძუძუ გაუშრა, ის ქალი მანოვებდა. დღეს აღარაა ცოცხალი. მის ძუძუსავით ხარ გამობურცული. შენ რომ გიყურებ, სწორედ ის ქალი მახსენდება. ძალიან ვუყვარდი.

ხომ ხედავ ჩემს გამშრალ ტუჩებს, ჩემს ბაგეებს დიდი წყურვილი ტანჯავს. ესაა წყურვილი ღვთისა, წყურვილი მშვენიერებისა, წყურვილი სიყვარულისა. სულის წყურვილის მოოხება ძნელია. ამათგან არცერთს არ შეეძრება ის წყურვილი, რომელსაც შენ ასე იოლად მიკლავ.

იმ სამი წყურვილით მაქვს ტუჩები დამაშრული.

ღამ-ღამობით გარეთ გაგდგამ, ღია ცის ქვეშ: ეგებ ციდან ცვარი ჩამოგეშხეფოს ყელში, ეგებ შენც

გწყურია. ჩემი არ იყოს, ეგებ შენც სხვათა დასანახავად ხარ ყელამდე სავსე, თორემ სინამდვილეში კარგა ხანია დაცლილი ხარ.

პირდაპირ შენი ტუჩიდან ვსვამ, სიყვარულით ნა-გაშველებ ხოლმე ხელს. შენ თუ იდუმალად ოცნებობ, რომ ვინმემ ჩაგიხუტოს, იცოდე, ეს მე ვარ, მე მყავხარ გულში ჩაკრული.

თუ გრძნობ, რა დიდი სიყვარულია ამ ნათქვამში?!

ზაფხულობით ნოტიო ოქროსფერ ქვიშაზე გდგამ ხოლმე, რომ არ დასკდე სიცხისგან. გახსოვს, ერთხელ გვერდი გქონდა გახეთქილი და ფრთხილად ამოგილესე ნედლი თიხით?

გაჯახილებულმა ცხოვრებამ გამატლანქა და გამაუხეშა, თორემ სულ მინდოდა ვყოფილიყავი ნაზი არსება, სათნო დიასახლისი, რომელიც ნივთებსაც კი სათუთად და ფაქიზად ეკიდება, რადგან მიაჩნია, რომ იმათაც ესმით, ისინიც განიცდიან.

დილას მინდორში გავალ, პიტნას დავკრეფ, მობართმევ და შენს წყალში ჩავანყობ. ჩემს ხელებს გამოყოლილი ნიავსურნელი გაგრძნობინებს ველ-მინდვრების სილამაზეს.

დოქო, თიხის დოქო, მე შენ უფრო კეთილი მგონიხარ, ვიდრე ყველა ის, ვინც სიკეთეს იჩემებს.

მინდა, შუადღის ამ სულისშემხუთველ სიცხეში ყველა ლატაკს ჩემსავით ჰქონდეს გრილი დოქი, რომელსაც მოიყუდებს და დაენაფება სიმწრით გამშრალი ტუჩებით.



## ვნების მოტივები

### გათისხილის ხეები

ბრბო რომ გაიკრიფა და სიბნელეში გაუჩინარდა, ზეთისხილის ხეები ალაპარაკდნენ:

- ბალში რომ შემოდოდა, მაშინ დავინახეთ.
- მე ტოტი მალა ავნიე, რომ არ წამოვდებოდი.
- მე კი რტოები დაბლა დავხარე, მას რომ შეეხებოდი.

- ყველანი თრთოლით შევცქეროდით.

- აგერ, აქვე, ჩემს სიახლოვეს, მოციქულებს რომ ესაუბრებოდა, მაშინ შევიტყვე, რა ყოფილა ადამიანის ხმის სიტკბო. თაფლივით ჩამელვარა და მთელ ტანში დამიარა.

- ანგელოზი მოფრინავდა, თასი მოჰქონდა. ფოთლები ჩამოვაშვავეთ, რომ როგორმე შეგვეფერხებინა, როგორმე არ შეესვა.

- თასი რომ დაცალა, იესოს ბაგეთაგან სიმწარე გადმოეცა ჩვენს ფოთლებს, აჰყვა ჩვენს ტანს მალა, კენერომდე. ამიერიდან არანაირი ჩიტი აღარ ჩაუნისკარტებს ჩვენს მწარე ფოთლებს, დაფნის ფოთლებზე უფრო მწარეს.

- მისი შუბლიდან გამონაჟონი სისხლის ნაწვეთალით იკლავდნენ წყურვილს ჩვენი ფესვები. უკვე მთლად შესვეს, მთლად შეისრუტეს.

- მე კი ერთი ფოთოლი ჩამოვიწყვიტე და სახეში ვესროლე ჩაძინებულ პეტრეს. ძლივს გამოფხიზლდა. ეეჰ, ძმებო, მაშინ დავრწმუნდი, რომ ადამიანებს არ შესძლებიათ სიყვარული! ძალიანაც რომ მოინდომონ, მაინც უჭირთ სიყვარული.

- იუდამ რომ აკოცა, მთვარე ღრუბლებში მიიმალა, არ უნდოდა, რომ ხეებს დაგვენახა.

- ჩემმა ერთმა ტოტმა თვალი მოჰკრა და სირცხვილით დაინვა კიდევ.

- ჩვენ ყველას სული შეგვიგუბდა, როცა აკოცა.
- აქამდე არ გვენახა. მხოლოდ შროშანები, გორაკებზე აღლანებული შროშანები ხედავდნენ, მათ გვერდით რომ ჩაივლიდა ხოლმე შუადღის ხვატში, ნეტა ერთხელ მაინც საგრილად ჩამომჯდარიყო ჩვენს ჩეროში.
- თუნდაც ერთხელ რომ გვყოლოდა ნანახი, ახლა სიკვდილი გვექნებოდა სანატრელი.
- საით წავიდა? ნეტა სად არის ახლა?
- ვილაც ჯარისკაცმა თქვა, ხვალ ჯვარს აცვამენო მთის თხემზე.
- თავი რომ დახარა, მომაკვდავს ჰგავდა. ახლა ბარში დაიარება, თავის საყვარელ ველზეა და მისი ყოვლისმომცველი მზერა ჩვენც გვწვდება.
- ეგებ ნაჭრილობევი აქვს, ეგებ ახლა, ამნუთას, ჩვენ რომ დახეთქილი გვაქვს ქერქი, ისიც ასეა ჭრილობებით დასერილი.
- ხვალვე გარდამოხსნიან და დაასაფლავებენო.
- დაე, ჩვენს ნაყოფთაგან მთლად ჩამოიწრიტოს ზეთი, ჩვენს ფესვებში ჩაიღვაროს და მიწისქვეშა ნაკადად დაიძრას მის ჭრილობათა მოსაშუშებლად.
- თენდება. ფოთლები გვიფერმკრთალდება!

## ქონა

ღამით ბაღში იუდას წასთვლიმა და იესო იხილა სიზმრად. იუდა სულ იმათზე ფიქრით იყო მოცული, ვისაც უყვარდა იესო და – იმათზეც, ვინც ჯვარს აცვა იგი.

იესომ უთხრა:

- რატომ მკოცნი? ხომ შეგეძლო მახვილის ძვერებით გენიშნებინა ჩემზე. უცებ დავიცვლებოდი სისხლისაგან, ბაგეებთან მიტანილი სასმისი რომ იცვლება, ისე. არ გავექცეოდი სიკვდილს. შენი სახის გამოჩენას ველოდი იქ, რტოებს შორის.

რატომ მკოცნი? შენი კოცნის მერე დედა აღარ ინდომებს შვილის კოცნას. ამქვეყნად ყველა, ვინც კოცნაში აქსოვს სიყვარულს, თვით მზე და ფოთლებიც კი, ამიერიდან მოიძულეებენ ამ სულისშემძვრელ ალერსს. როგორ წარხოცოს ნათლის სხივმა შენი კოცნა, რათა არ დაჭკნენ და არ გაიცრიცონ ამ გაზაფხულზე შროშანები?! შენ უღალატე სამარადისო ნდობას, სამარადისო ერთგულებას.

რატომ მკოცნი? აგერ ხელს იბანენ ისინი, ვინც კლავენ მარწუხებით, მახვილით... და უკვე განწმენდილნიც არიან.

როგორ იცხოვრებ ამიერიდან? ხეს ქერქი უსკდება და უახლდება. შენ კი სხვას როგორღა აკოცებ მაგ ბაგეებით? არადა, სად გაქვს სხვა ბაგეები? დედაშენს აკოცებ და... წამსვე გაჭალარავდება. შენს დანახვაზე ზეთისხილის ხეები გაფითრდებიან და გაშეშდებიან.

იუდა, იუდა, ვინ გასწავლა ეს კოცნა?

–მეძაჲმა, – იყო პასუხი. სული შეეხუთა, ტანზე ცივმა ოფლმა დაასხა, სისხლის ოფლმა. ტუჩი მოიკვნიტა, თითქოს უნდა მოეცილებინა, ხე რომ ჩამოიშორებს ხოლმე გამხმარ ქერქს, სწორედ ისე.

ეზმანა, რომ დედამისმა ქვა ესროლა: სურდა როგორმე მოეკუმა მისთვის პირი. იუდას თავის ქალას მინაშიც შერჩა გაპობილი ბაგეები, კოცნას განაგრძობდა თითქოს. მატლი ღრღნიდა და ვერ ანადგურებდა, წვიმა ასველებდა და ვერ ალპობდა მის ტუჩებს.

კოცნა გრძელდებოდა მიწისქვეშეთში.



## სახელი

### *ცეცხლი ძლიერია, შმაგია და სხარტი.*

ცეცხლი ელვარე სამკაულებით ცეკვავს ტყეში და თან ფეხებში უღიტინებს ხეებს. ცეცხლი ვეფხვის სწრაფი ნახტომით ეძგერება ხეებს, თავისი ოქროსფერი მახვილით ძირში ცელავს მათ და ალაგ-ალაგ სიცარიელეს ტოვებს. ცეცხლი ნამჯის ნანვერალს ნვავს არაუკის\* ბორცვებზე. ცეცხლის ენები ლოკავენ მინას და ჯიქის ტყავივით დანიწკლულ გორაკებს ვეება შავი ვარდებითა და კეთროვანის თეთრი ფუფხით ფარავენ თითქოს. და ბორცვი ხელს ემსგავსება, სას-ნაულმოქმედის ხელს, მოსეს მარჯვენას.

ცეცხლი ძლიერია, შმაგია და სხარტი.

ცეცხლი ფურჩქნის დედამინაზე ერთადერთ ჭემ-მარიტ ყვავილს, რომლის უამრავი ფურცელი თრთის, ფანცქალებს, თითქოს გავარვარებული ჰაერიდან წვე-ნი უნდა შეისრუტოს.

ცეცხლს გარინდებიდან გამოჰყავს ლითონები. ხალისით ადნობს ვერცხლს და მოუთმენლად მოელის, რომ დაინახავს უცნაური ოფლის მძიმე წვეთებს, მაგნოლიას ყვავილივით თეთრ ჩამონალვენთს. ცეცხლი ადნობს ოქროს, რათა იხილოს მისი წვეთი – იდუმალი ღმერთების სისხლის ნაშხეფი.

ცეცხლი გამუდმებულ ჯაფაშია. ქარხნების ყოველ კუთხე-კუნჭულშია მიმალული, იდუმალ სიტყვასავით ფარულია. ცეცხლს თუ ხელით შეეხე, დაგღრეკს და დაგფერფლავს.

ცეცხლი ძლიერია, შმაგია და სხარტი.

სიყვარულის ცეცხლი ენას ამოგადგმევინებს და ძილს დაგაკარგვინებს, თანაც ასტამიც რომ არ გაქვს, რომ დროზე ნაუჩინჩხო ცეცხლს?! ტრფობის ალისგან გამჭვირვალე ხდება ადამიანი და ჩანს, რომ შიგ გულში ცეცხლოვანი სალამანდრა ჩასახლებია.

სიძულვილის ცეცხლი გადაულახავ ზღუდეს აღმართავს და დახრონცილი ბებრის სახსრებივით ჭრიალებს. სიძულვილის ცეცხლს ეშმა აღვივებს, სწორედ იგია ცეცხლის მოყურიადე ღამის ნკვარამში.

ცეცხლი ძლიერია, შმაგია და თანაც – მშვენიერი.

ჩვენში, ადამიანებში რომ ცეცხლი გიზგიზებს, – ეს ქრთილის მარცვალივით ციცქნა ნაპერწკალია; დაქრის ჩვენს სისხლში, გვაცოცხლებს და ცეცხლს შემოგვინთებს, როგორც უდაბნოს ნარცეცხლა – არაბულ კანჯარს. ძერას თვალებში მშვიდი, უძრავი ცეცხლი კიაფობს, იაგუარის თვალებიდან ცეცხლი მწვანე შუქად იფრქვევა; თრობის ცეცხლი საშველს არ აძლევს ბევრს. ცეცხლია, სიმღერაში რომ სითბოს ჩაღვრის, ფრინველსაც ის აძლევს ძალას, რომ ცაში აიჭრას.

ცეცხლი ძლიერია, შმაგია და თანაც – მშვენიერი.

განსაცდელის ცეცხლი თავის ალში აწრთობს ყველაფერს ნაღდს, დანარჩენს კი დაბრეცს, დაღრეკს შეტრუსული ტყავივით. ცეცხლი განკითხვის დღისა გამოაწრთობს მართალთ, რომელნიც ცხონდებიან და საყრდენ ბოძებად გამოადგებიან სამყაროს.

ცეცხლი სულიწმიდისა – თეთრად მოგიზგიზე ორი მუგუზალი – მტრედის ორი ფრთა! ცეცხლი, პავლეზე რომ გადმოვიდა და განმსჭვალა იგი თხემით ტერფამდე!

ცეცხლი ზეციდან მოვიდა ჩვენთან და ზეცაშივე დაბრუნდება, როცა აღასრულებს მისთვის ნამცნებ საქმეთ. ცეცხლი დაამარცხებს წყალს და ორთქლიდან გაფურჩქნის მშვენიერ ყვავილს, მაგრამ ბოლოს ფურცლები დასცივა მასაც. ცეცხლი მიწასაც დაჯაბნის, ჯერ ალისფერ ყვავილად აქცევს, მერე დააჩიავებს, ფერფლის ყვავილად გადააქცევს.

ცეცხლი დიდი ნაბიჯებით დაიარება მთვლემარე დედამიწაზე, დაიარება წინასწარმეტყველივით, რომელიც მუდამ ფხიზლობს.

ცეცხლი ძლიერია, შმაგია და სხარტი.



## ფერფლი

### *ფერფლი მჩატეა და ჩუმი.*

ფერფლი ელვარე ცეცხლის ქვრივია. იგი არ ბორგავს, არ დახტის ათეულობით ნითელი ფეხით. ცეცხლი კენტავრივითაა და ყოველთვის იმარჯვებს თავისი ყოვლისმომსრველი შუბის ძგერებით. მაგრამ თვითონაც კვდება, თვითონაც იღუპება. ფერფლი არაა მგზნებარე და ხალისიანი, მცხრალია და მწუხარე, ინდოელი ქვრივი ქალივითაა.

ფერფლი სიტყვაა, სიტყვა უძალო, მკერდიდან ვერგამოღწეული. ფერფლი ნაცრისფერია და ხმაგაკმენდილი. ფერფლი უქონელ-უყოლეელი კაცის სიკვდილს ჰგავს.

ფერფლი ჩაღველფილ ნაკვერჩხლებს დედასავით ნაეფარება, განელებისგან იცავს მუგუზალს.

მოთეთრო ფერფლი, რომელსაც ტოვებს რბილი ხე, უწყინარი საყვედურივითაა, ნაოჭსა ჰგავს მოხუცი დედის ყელზე; მოჩვარულია მომაკვდავი ჩიტივით, რომელიც ველარც იძვრის, ველარც გატოკდება.

მაგარი ჯიშის ხეების ფერფლს სიმწარე დაჰკრავს, გემოს გასინჯვა არ მოგინდება. სინმინდის მძაფრი სურვილი ანიჭებს ხეებს სიმწკლარტეს.

ფერფლი, რომელიც ანოყიერებს მიწას, უშვილძირო ქალსა ჰგავს, სხვის შვილს რომ თავს ევლებს.

ფერფლი მჩატეა და ჩუმი.

პატიოსანი ფერფლი მიცვალებულისა, უმსუბუქესი ფიმფლებია, რომელთაც ველარაფერი ხელყოფს. ფერფლი მლილისგან იცავს ხორცს.



## ქება წყლისა

### *ჩქარია წყალი და სათავისოდ არაფერი უნდა.*

წყალი მუხლმოდრეკილი მიედინება, ალბათ ანგელოზებიც ასევე მოწინებით მიისწრაფვიან, ოღონდ მალლა, უფლისაკენ.

წყალი მიექანება ბუნების წიაღში და ზედ ეტყობა ყველაფერი, რასაც ჩაუვლის, თითქოს ემონმება ყოველივეს. ბუნების ხედებით დახუნძლულს სულაც არ უმძიმს ტვირთი და ისე მიიჩქარის, არაფერს იმჩნევს.

წყალი ერთიანია. მას არ სჭირდება და არცა აქვს სახსრები. ჰაერიც ხომ ასეა. არც მაჯა აქვს, არც მყესები სხვა არსებებზე. გადმოედინება და არც იმტვრევა, არც სტკივა, ასე ალბათ ზეცაში ანგელოზები დაქრიან მხოლოდ.

ჩქარია წყალი და სათავისოდ არაფერი უნდა.

შადრევნების წყალი მალლა აწვდილი გრძელი მკლავებით – ზევით ატყორცნილი ჩქერებით – ბალებს ამშვენებს, ხვენავს და ათასობით სატრფოსავით დილიდან დაღამებამდე ისე ეხვევა და ეფერება ბაღს, რომ ქალი ვერ შეძლებდა ვაჟს ასე მიაღერებოდა.

წყაროს წყალი თავის თავშია ჩალრმავებული და თავის თავს არის მიყურადებული. ნაკურთხი წყალი ალესილი მახვილის პირზე უფრო ძლიერია. ერთმა წყარომ თვალი მომწყვიტა, სწორედ იმ წყარომ გამაგონა სიტყვა, რომლითაც სიკვდილი შემოიჭრა ჩემში და აღარ მიმატოვა.

ჩქარია წყალი და სათავისოდ არაფერი უნდა.

არხების წყალი – კაცთა ნახელავ სადინარებში ნავალი წყალი – ქალაქის უბნებს ისე შემოირბენს, არაფერი გააოცებს. ეს ისეა, კლეოპატრას სიცოცხლე რომ არ გაენირა სიყვარულისთვის და სიბერემდე რომ მიედღნია.

ჩქარია წყალი და სათავისოდ არაფერი უნდა.

ზღვის წყლის ბორგვა არ არის ნაუცბათევი და ნაჩქარევი. ზღვა დინჯად მრისხანებს ფსალმუნთა ღმერთის რისხვის დარად. ზეციური მეუფის სიყვარულით ზღვას ცასავით ლურჯი აქვს მკერდი. ზღვის წყალს სურს ერთიანად მოიცვას მიწის ზურგი, რათა დედამიწამ ზეცაში თევზივით ისხმარტალოს.

ზღვის წყალი მიქცევისას ზურგს კი შეგვაქცევს, მაგრამ თვალი მაინც აქეთ უჭირავს. თვალის უპესავით მომრგვალებულ უბეში ტალღებს ადგაფუნებს და ლოფორთქინებს ნაპირისკენ ისე ისვრის, თითქოს მალიმალ აფახულებდეს ნამნამებს.

ზღვისწყლისგან გვაქვს სისხლში მარილი და ჩვენივე სისხლით დატკბება ზღვა. ეს ნამდვილად მოხდება, მაგრამ არა უადრეს ჟამთა აღსასრულისა.



## ქება ქვიშისა

ქვიშა უკვალოდ შლის ჩვენს ნაფეხურებს, იმ ნაკვალევსაც კი ნაშლის ხოლმე, რომლის დაკარგვაც არ გვინდოდა. სადღაა ჩემი ხალისიანი ნაბიჯები? სადღაა დინჯი თუ გაფრენილი ნაბიჯები? სადღაა, სად? ნეტა შემძლებოდა თავი მომეყარა ქვეყნის ოთხივე კიდეში გაფანტული ჩემი ნაბიჯებისთვის, შუაში ჩავმდგარიყავი, მათ კი ფერხული გაეჩაღებინათ ჩემ ირგვლივ! მე ახლა უიმათოდ ბორბლის უმაქნის ღერძს ვგავარ. ქვიშამ გადაფარა ისინი. ქვიშა არც ერთ ნაბიჯს არ გვიბრუნებს, რადგან სამარადუამოდ ივინწყებს მათ.

ქვიშა არაა სანდო, იმიტომ რომ არაა მყარი. ისევე არაა სანდო, როგორც ქარი, როგორც თოვლი, როგორც ნყალი.

ქვიშა უნაყოფოა, ბერნია. „არ მინდხარო“, – უთხრა ბალახს. ფერთა სიჭრელე დაუნუნა ყვავილებს და მიტოვებულ სატროფოსავით მიახალა: „არ მინდხარ!“ და კიდეც, მუჰამედის ფიჭვის გარდა, ყველა სხვა ხეს უთხრა: „არ მინდხარ!“

სალამოობით ქვიშა შეთბება და ზღვის პირას მოხეტიალე უსახლკარონი ქვიშაში წვებიან ღამის გასათევად. ქვიშა მათ უნილადებს ოჯახურ სითბოს, ურომლისოდაც უთავბოლოდ დაყიალებენ რა ხანია. ვინ რა იცის ქვიშის საიდუმლო?!

ქვიშის ნყალობით რბილი და დამყოლი ხდება დედამიწის ზურგი. ქვიშა შეიყოლიებს ხოლმე ზღვის ნაპირ-ნაპირ მოსიარულეთ და სიმლაშეს ასუნთქინებს. სანაპიროს ქვიშიან ბორცვებზე გამოტილი, ჭერის მონატრული მანანნალები და შარახვეტიები სტვენა-სტვენაში წაიმღერებენ კიდეც. მათ სიმღერებში დედამიწას ადამიანის თვისებები აქვს, იმიტომ რომ ეს ბორცვები მამის მხარბეჭს აგონებთ.

ბავშვებს ქვიშაში ეკარგებათ უსაშველოდ ლურჯი, უსაშველოდ წითელი, უსაშველოდ ყვითელი სა-

თამაშობი. ქვიშა საგულდაგულოდ მაღავს მათ და, ყველანი რომ გაიკრიფებიან, გამოაჩენს. მე თვითონ ვარ ამის შემსწრე და გაჩაღებული ვარსკვლავების შუქზე ქვიშა თავს მარტო იქცევს დროგადასული ბედმომცდარი ქალივით.

ქვიშა ღარიბებს მიუნილადებს ხოლმე ბედნიერებას, რომელიც მდიდრებს ოქრო-ვერცხლითა და პატიოსანი ქვებით ეძლევათ. ლატაკები ქვიშით იშენებენ სახლს და უმაღვე თავზე ექცევათ, ქვიშაზევე აგებენ აუხდენელი ოცნების კოშკებს. ამიტომაც ხანმოკლეა მათი ბედნიერება.

ქვიშაზე დაწერა იესო ქრისტემ თავისი ერთადერთი მსჯავრი, რათა წამსვე წაშლილიყო, მისი აზრი არ შეეცვალათ მსაჯულებს და არ აბორგებულყვნენ.

მშრალ ქვიშას არა აქვს წარმოსახვა, რადგან გემო ვერ გაუგო გამონაგონს, სიცრუეს. მის გვერდით უკიდევანო ზღვაა, თვალთმაქცი და თაღლითი ზღვა. ქვიშა ამრეზილად და დამცინავად გაჰყურებს ზღვის ბობოქარი ტალღებისა და ქაფიანი ჩქერის შეთამაშებას. ქვიშას ერთადერთი გარდასახვა შეუძლია: ღიმილის ნაოჭს დაიმჩნევს, გრძლად განოლილს, ტალღოვანს, და ასე დასცინის ყველაფერს, რაც არაა ქვიშა.

წყარო მირაკრაკებს და მირეცხავს ქვიშას. წყაროში ქვიშას სულაც არ ენალვლება, თუ გაიფანტება. და... ასე ჩაედინება წყალწაღებული, ასე იფანტება ნაკვალევიც. ქვიშას ღობეზე გადახტომა სულაც არ სჭირდება, ისე გააღწევს იქით. ღამლამობით დაფრინავს, ეკლესიებშიც შეიქროლებს და სახლებშიც. მაინცდამაინც არ ვნებს ჩვენს სხეულს, მაგრამ, თვალში თუ ჩაგივარდა, აგაცრემლვებს.

სოლომონის\* ქვიშამ და თომა კემპიელის\* ქვიშამაც იციან იმ სამი მოგვი მეფის\* სახელები. მაგრამ არც გამხელის სურვილი აქვთ და არც – ხელები, რომ დაწერონ და ამით რაიმეში წაადგნენ ზღვას, რომელსაც შლეგი ტალღებით დიდი ძვრები მოაქვს ქვიშისთვის.

## ქვა ქვისა

ზოგი ქვა ადგილს ინაცვლებს, ზოგმა ჩაიმუხლა, ზოგს ძვრა არ ძალუძს დაძაბუნებული გულივით.

სხვა ქვები დახოცილი მეომრებივით ზურგზე წვანან. მათ შემზარავ ჭრილობებს დოლბანდის ნაცვლად სამარისებური სიჩუმე ბურავს.

სხვანი ანცი ბაშვებივით გაიფანტნენ, სადღაც მთებში მათი წარბებია, აგერ, აქვე მათი კოჭებია.

ქვებს ახსოვთ ერთიანნი რომ იყვნენ, და სწყურიათ ჭეშმარიტი სახის დაბრუნება, იმედი აქვთ, რომ თანდათან თავს მოიყრიან.

ქვები, ძილით გაბრუებული ქვები, სიზმრებით დახუნძლულან, როგორც პილპილი – თავისი სიცხარითა და სურნელით. ქვები ძილით ჩამომძიმებულან, ერთ ადგილას ხეებივით ჩასთესლებიან მიწას და მაგრად ჩაუბლუჯავთ ძილში მოძიებული განძი.

ზოგი ქვა ადგილს ინაცვლებს, ზოგმა ჩაიმუხლა, ზოგი წამოიმართა, ზოგს ძვრა აღარ ძალუძს, დაძაბუნებული გულივით.

ქვა, იაკობს\* რომ სასთუმლად ჰქონდა, თავისი განიერი მხარბეჭი რომ ედო ზედ, გადალეული ბრტყელი ქვა! მან არ იცის დილის ნამი, არც დილის ძილბურანი.

შემორკალული დიდი ქვა, ბებერი მათუსალას\* წამწამებგაცვენილი ქუთუთოს მსგავსი... იდუმალი ანდების ჭიუხებით შემოჯარული მწვერვალი, რომელიც ალს ჰგავს, ოღონდ არ პარპალებს, ან კიდევ – ლოთის გაქვავებულ ცოლს\* გვაგონებს. ეს მწვერვალი არც ბავშვობაში მიპასუხებდა კითხვებზე, არც ახლა მცემს ხმას.

ქვები, რომელთა სხეულში შეაღწია ოქრომ და ვერცხლმა... ქვები, რომელთაც იგემეს უეცარი და უმწარესი ტკივილი, როცა სპილენძი ნემსებივით შეესოთ... ქვები, რომელთაც საქციელი წაუხდათ, როცა

შიგ გულისგულში უხილავი მახვილივით ჩაეჭედათ მეტალის ბირთვი...

ზოგმა ქვამ ჩაიმუხლა, ზოგი წამოიმართა, ზოგნი თითო-თითოდ გარბიან, ან ერთმანეთში არეულ-და-რეულები უგზო-უკვლოდ მიექანებიან.

ქვებს, მდინარეში ჩანოლილ ლოდებს, წყლტუ, სლიკინა ფერდები აქვთ და გაგუდულებს ჰგვანან. ლორწოიანი წყალმცენარეები ისე სთრევთ, როგორც დამხრჩვალ ადამიანებს – თმები. ეს ქვები ისე შეგეხება გადაყვლეფილ კანზე, რომ არ გატკენს, პირიქით, თითქოს დედასავით ფრთხილად დაგიაშებს ტკივილს.

ქვები, მდინარის წვრილ-წვრილი ქვები, ნაირფერი კენჭები, ყვავილებივით ფერად-ფერადი ქვები! ჰო, მღერიან ეს ქვები. ხუთი წლის რომ ვიყავი, ბალიშის ქვეშ ამოვიდე კენჭები და ჩემს სასთუმალთან ბავშვებივით გააჰქონდათ ჟრიაშული. ჭყლოპინებდნენ, ფერხულიც კი გააჩაღეს; შუა ძილში რომ ვიყავი, რაც მოეპრიანებოდათ, იმას სჩადიოდნენ; ბავშვობის ქვებმა ჩემს საწოლში მოინდომეს თამაში.

ქვების ნაწილმა თავის საბოლოო ადგილად არც საფლავი ინდომა და არც შადრევანი. არ უნდოდათ, რომ მათთვის გულზე რაღაც წარწერა, რაღაც უცხო რამ ამოეკვეთათ, იმიტომ რომ ოდესმე ხომ მოესურვებათ თავიანთ ენაზე რაღაც მნიშვნელოვანის თქმა და თავიანთ ნებაზე მოქცევა?!

ქვები დუმან, რადგან გული შეტბორებული აქვთ უსაზღვრო ვნებით. არ იძვრიან მხოლოდ იმიტომ, რომ ეშინიათ არ გამოაფხიზლონ მათ გულისგულში მთვლემარე ბობოქარი ძალა.



## სამეფო პალმა

სამეფო პალმას მზისკენ ატყორცნილი ყველაზე სწორი ტანი აქვს ამქვეყნად. არცერთ მცენარეს არ შეუძლია ამონათებული მზით მისნაირად ტკობა. პალმის შიშველ ტანს უხვად აფრქვევს მნათობი სხივებს. შუადღისას, მზეს როცა გააქვს ბრიალი, გეგონება, პალმა კი არა, ვეებერთელა ბუტკო იყოს, უნაბისფერი მტვრიანათი დაფარული.

მზის შუქში ჩამდგარი პალმა ვენეციურ სასმისს მოგაგონებთ, მაღალფეხიანს, წვრილ-წვრილი კუნუბებით დამშვენებულს. მაღლა, სულ ზევით, პალმის ფოთლები პირფართო თასს ჰგავს, უზადოს, დახვენილს. დროდადრო გაისმის რალაც ხმები, თითქოს მარილიანი დაბერილი აფრების ფათქუნი იყოს. ქარი რომ შემოიქროლებს, სიცილი და ტკრციალი იწყება, უეცრად ყველაფერი აჩურჩულდება, აბუბუნდება, ყბადაუყენებელი ქალების ყაყანისა და ჩოჩქოლის მსგავსად.

ქარის ქროლვა და ფეთება რომ ჩანყნარდება, ყველაფერი ჩაყურდება და პალმა ისე ირხევა, თითქოს დედა არწევდეს ჩვილს. პალმის ტოტები ქალის ფართო ქვედატანის კალთებს მაგონებს.

მცენარეები რალაცნაირად ჩამოჰგვანან ადამიანებს. ალვა მოუთმენლობისგან ათრთოლებული საჩვენებელი თითია თითქოს; კოპიტი და მუხა დარბაისელ მღვდელმთავრებს ჰგვანან. ესენი მცენარეთა ბოოსი და აბრაამი\* არიან, უამრავ შტოდ განტოტილან და სწორედ მათი ამონაყარი ყლორტებია მცენარეთა ნაირ-ნაირი ვიშები.

სამეფო პალმას მართლაც რომ შეშვენის თავისი სახელი. იგია ყველაზე წმინდა, ყველაზე ნათელი ხატი მცენარეულ სამყაროში. ეს პალმა შესანიშნავად იხატება ყოველნაირ პეიზაჟში.

ლურჯზე ულურჯესი ტროპიკული ცა თითქოს



იმიტომ გადმოგვეხოვია თავზე, რომ მის ფონზე უკეთ გამოჩნდეს ამ მადლიანის მშვენება. ცა თითქოს მხოლოდ იმისთვის არსებობს, რომ უკეთ გამოაჩინოს პალმის უზადო სილამაზე.

ამ პალმის სიახლოვეს არ უნდა ხარობდნენ სხვა ხეები. ფიჭვების თვალტანადობაც კი იჩრდილება მის გვერდით; ღვთაებრივი არაუჟარიაც კი იჩაგრება. ჩირგვნარიც არ უნდა იყოს მის ახლომახლო, იმიტომ რომ გვიფარავს, ვერ ვხედავთ, მინას როგორ სწყდება, ზეცაში როგორ აიჭრება, რა დიდებულთა პალმის აღმასვლა!

უბირი ადამიანები სამეფო პალმას მომცრო კორდზე ან ფერდობზე რგავენ. ის კი გაშლილ ვაკეზე უნდა ხარობდეს, რათა აღმატებული იყოს მთელ გარემოზე, ნეტარებდეს მზის სხივებში, მზეს ეფიცებოდეს ყელმოღერებული.

მოდით, ჯერ ნურაფერს ვიტყვით მის ნაყოფზე. პალმა გვჩუქნის სილურჯეში თავის უნატიფვეს მონახაზს. ჭემარიტად ღვთაებრივია ეგ დალოცვილი! სივრცისა და წყლისთვის მადლს იმით იხდის, რომ მის ჩრდილში სულის მოსათქმელად თუ ჩამოსხდებით, მაღლიდან მოგესმებათ ნეტარების ოხვრა და პალმის ფოთლების მიღმა დაინახავთ, როგორ მკრთალდება მწუხრის ცა. მთავარი კი სხვაა: ბოლოს და ბოლოს, ამ პალმამ, როგორც იქნა, გაგვაგებინა, რომ თურმე სწორი ხაზი შეიძლება ისეთივე ნაზი და მოქნილი იყოს, როგორც რკალი.

თავისი მოხაზულობით სწორედ სამეფო პალმამ გამოხატა უფლისადმი ჩვენი სწრაფვაც და ჩვენი სასოებაც. ასე სრულყოფილად ამას ვერ შეიძლება ვერც მთა და ვერც ზეცისკენ აღპყრობილი ჩვენი ხელები.

ზოგს მიაჩნია, რომ ზღვა არის ყველაზე შესაფერი ხატი სულიერებისა. ზოგი ფიქრობს, რომ უკეთესი ხატია მთა, რომელსაც ცისთვის აქვს მიბჯენილი მწვერვალი. ნუთუ მთრთოლარე პალმას, დახვეწილს,

შუქჩალვრილს, არა აქვს მთასა და ზღვაზე მეტი უფლება, იყოს ნიშანი სულიერებისა?!

პალმა მთაზე უფრო სხარტად, ერთი ნახტომით თავისუფლდება მიწის მორჩილებისაგან და თანაც თავის თავსაც არაფერს ვნებს ამით. ზოგჯერ სწორედ პალმა ანაზებს და აკეთილშობილებს პირქუმ ბუნებას. პალმა აწყნარებს თავისი ფოთლების უთავბოლო ფორიაქს, ერთობას და წონასწორობას ამკვიდრებს. ჯაგებით, ძეძვნარით, დაბრეცილ-დაღრეცილი ჩირგვებით მოფენილი მიწა მშვენიდება პალმის ნატიფი მონახაზით.

სამეფო პალმის ღირსება და დიდებულება მისი დახვეწილობაა. განა ნეტარების მომგვრელი არაა პროპორციათა ის სრულყოფილება, რასაც ბუნებამ მიაღწია ამ საოცრების შექმნით? ვუმზერთ და ისვენებს სხვა ხეების ფოთოლმრავლობით გადაღლილი თვალი. ვიდრე აღტაცებით შევყურებთ ამ მშვენიერებას, პალმა ჭეშმარიტი რწმენის გზაზე გვაყენებს და შთავგაგონებს, დავემორჩილოთ ერთადერთ სურვილს, ერთადერთ მისწრაფებას და გაფრენილი ისარივით ჩვენც აგვიტანოს სიცოცხლის უზენაესი საფეხურისკენ სწრაფვამ.

სამეფო პალმა უსიცოცხლო და უღიმღამო იქნებოდა მოშრიალე-მოღიღინე მწვანე ქოჩორი რომ არ ამკობდეს. ეს რა ხალისი მოჩქეფს მისი მწვანე ვარჯიდან და გადმოედინება საოცრად ძლიერ ტანზე! პალმა ეს იყვარულება ფოთლებში გახლართულ ნიავს. ეგებ ეს პალმა თავად არის აზრი, რომელიც უნდა გაიშალოს, მაღლა აიჭრას და გაინავარდოს, ან ეგებ ეს პალმა დიდი ხნის შეკავებული სიყვარულია, ბოლოს რომ იფეთქა და გადმოსკდა სიტყვების ზვავად!

მექსიკისა და კუბის პალმის ტევრები!.. ამ ქვეყნების რამდენმა პოეტმა უმღერა მათ! ეს ამოღტილი მცენარეები ტოტების ნელი რხევით ანუგეშებდნენ გატანჯულ მონებს: ინდიელებსა და ზანგებს; თავიანთი გაუთავებელი ოხვრით ახშობდნენ გაუბედურებულ

ადამიანთა კვნესას, რათა არ გამწყრალიყვნენ მათი გულქვა ბატონები.

მექსიკელ ინდიელს უყვარს პალმა და გვადალახარაში\* თავისი დოქის ყელზე ხატავს. ინდიელის არსებობასთანაა შენივთებული პალმა, არის მის სხეულში რალაც პალმის მსგავსი. ეგებ სწორედ პალმის მაცოცხლებელ ჩრდილში ინდიელზე წყალობად გადმოვიდა საოცარი სიმშვიდე. ეგებ სწორედ ამ ძველთაძველი პალმისგან მოსდგამს ინდიელს უჩვეულო მიზანსწრაფვა.

ქოქოსის პალმას, ქალღმერთ ათენასავით ბრძენს, დიდი სიკეთე მოაქვს თავისი რუხი მრგვალი ნაყოფით. ქოქოსის კაკლიდან მოისმის ცხოველმყოფელი სითხის ფეთქვა. კაკალი ზეთს ჩაიყენებს ხოლმე. ამიტომ პალმა ისეთივე წმინდაა, როგორც ზეთისხილის ხე. და კიდევ, პალმას ზროში თაფლიც ჩაუდგება ხოლმე. სქელი არაა, მსუბუქია მისი თაფლი.

ახლა ფინიკის პალმა, მტევნებად რომ დაუსხამს უდაბნოსფერი ბნელყვითელი ნაყოფი?! ამ ნაყოფში მზის შუქია შედედებული. და პალმა ჩრდილში ჩათვლემილ ბედუნს ბალღური მიამიტობით აპნევს სახეზე თავის ნაყოფს. ამერიკული პალმა ინდიელთა ღვთაებად აღიარების ღირსია! ფინიკის პალმა ხომ იქცა არაბთა მფარველად! ჩვენი პალმა ქალღმერთი რომ იყოს, მირონცხება შეეძლებოდა, მისი თითებიდან ჩამოიღვენთებოდა წყლულის დამაამებელი ზეთი. მკერდი კი თაფლით ისე ექნებოდა გადავსებული, როგორც ბაგე – სასიყვარულო სიტყვების შეგუბებული ნიაღვრით.

ვინც დედამინის ზურგი მოიარა, სიკვდილის წინ შეუძლია თქვას: „ვიხილე სამყაროს უკეთილშობილესი ქმნილება; ერთხელ სახეზე მომადგა სამეფო პალმის ჩრდილი და შევეხე მის მოღერებულ ყელს, რომელიც ჟამთა სვლას არ ეპყება“.

## მაგუეი – ამერიკული აბაჟა

მინის ოხშივარი, მინის ღრმა ამოხვნეშა მგონია მაგუეი. შესახედავად უბრალოა და ტლანქი, გადახნული მინის ბელტსა ჰგავს. წანვეტებულ ფოთლებში დაგროვილი აქვს თვით მისივე შემქმნელი შეუპოვარი ძალა.

უკვე კარგა ხანია, დედამინის გრძნობების გამომხატველად მიმაჩნია მცენარეები.

ზიზილები დედამინის გაუბედავი ოცნებაა უბინოებაზე, ვარდი სრულყოფილების მძაფრი სურვილია; მაგუეი კი – ესაა დედამინის ლექსი გმირობაზე, მაგუეი სამამაცო ლექსის ტაეპია.

იბადება და ხარობს ზედ მინის ზედაპირზე, ლოყა ბელტისთვის მიუდვია. მექსიკური კაქტუსივით ნელში გამართული არაა, ოდნავ წახრილია კორდისკენ – თავისი დედისკენ, რათა შვილივით მიესიყვარულოს.

მაგუეის არა აქვს ღერო, რომელიც სულს უდგამს ყოველ მცენარეს, და მინიდან ამოზრდილი კი არა, ჰაერიდან შექმნილი გგონია. ყვავილი სწორედ ღეროს გამოა ყელმალალა ქალივით მომხიბვლელი. მაგუეი სასმისივითაა და ერთ ღამეში მთელ მინდორში ჩამოცვარულ წამს იტევს.

ხვატი ვერ აჭკნობს მის ღონიერ ფოთლებს, რომელთაც მინდვრის ბალახის სიღბო და სინაზე დაჰყვებათ.

მაგუეი კვამლისფერ-იისფერია, საღამოსკენ ჩამუქდება ხოლმე. მექსიკის ბუნებაში ჭარბობს მაგუეის მუქი იისფერი ნათესები და შორი მთები სურნელოვანი იებით მოფენილი გეგონებათ.

ინდიელისთვის მაგუეი იგივეა, რაც არაბისთვის პალმა. იგი წყაროა, საგანძურია უხვი საუნჯისა. მისი ვეებერთელა ფოთლებით სახლებს ხურავენ, მისი ბოჭკოსგან გრეხენ გამძლე კანაფს და წნავენ თაფლისფერ ბადეებს. ეს ბადეები ინდიელებს ზურგზე

აქვთ ხოლმე მოგდებული. და კიდევ: მისგან ართავენ ხელოვნური აბრეშუმის უნაზეს შულოს.

მაგუეის თუ კაკალ გულში აძგერებ დანას, ნექტარი გადმოიღვრება და შესქელდება თეთრი შაქარივით. პასკალს უთქვამს:

*„თავდავინცება სჭირდებათ კაცთაც,  
დარდსა და ნალველს აქარვებს გაცლა“.*

ჰოდა, ინდიელსაც უსწავლია „გაცლა“. ეს უბრალო სითხე ეშმაკეულ სასმელად მოევლინა ინდიელს და შესთავაზა მას მოჩვენებითი სიხარული, გახელება, ბინიერი სიყვარული და სიკვდილის ცრუ მგზნებარება.

მექსიკურო მაგუეი, შენს გულში ჩაბუდეული თრობის ბურანისაგან დაიცავი თავგზააბნეული უბედური ინდიელი, აცტეკთა და მაიას დიადი მოდგმის ნაშიერი! უმჯობესია, ასიოდე შენს ფურცელს თუ მისცემ სხვენისთვის. მიეცი ბაგირი და აბრეშუმი იალქნიანი ნავისთვის! დაე, შორს გაიტანოს თავისი მინის ნაყოფი და გამდიდრდეს!

და ვიდრე უცხო ხალხი ახალი ბაზრების დასაპყრობად მოცურავს წყნარი ოკეანის ნაპირებისკენ, შენი აბრეშუმით ნაზი ალერსი უნილადე ინდიელ ქალს. დაე, თავისი ხელით მოიქსოვოს საქორწინო საკაბე! ინდიელის სახეს გადაჰყარე ნალველი, ჩამოაცილე ტუჩებთან სიმწრის ღარები, წარხოცე ხანგრძლივი მონობის ნაკვალევი!



## მექსიკური კაქტუსი ორგანო

ეს კაქტუსი გამომშრალი მიწის ქვითინსა ჰგავს. ეს კაქტუსი წყურვილით დაოსებული და გვალვით დახეთქილი მიწის დაშაშრული ენაა.

ლადარივით ცხელი მტვრით დაფუფქულმა კაქტუსმა მაშინაც კი არ იცის რაა სიხარული, როცა სარწყავ მინაზე ხარობს. მის გულგრილობასა და სიჯიუტეში დიდი ტკივილი იმალება.

ცვილის კელაპტარს ნააგავს, ან კიდეც – მაღლა აშვერილ ხელს. ამიტომ არის მასში რაღაც ადამიანური.

უკაცრიელ ადგილას განმარტოებული კაქტუსი ორგანო ფიქრებშიწასულ, მარტოდმარტო დაყუდებულ გაძვალტყავებულ ბერს ჰგავს.

მას არ ხიბლავს ბამბუკისა თუ ალვის ბედნიერება. მათი ფოთლების ცახცახი ხომ მიწის ხარხარს ჰგავს. მას არ განუცდია ფოთლების ხალისიანი თრთოლით მოგვრილი სიხარული. რტოებიც რომ არა აქვს, ტოტის უბეში გაზაფხულზე ბუდე რომ გამართონ ჩიტებმა?!

ჩამუქებულია მისი სიმწვანე, მაგრამ დიდმა სიცხეებმა ოდნავ გაუხუნა წვერო.

განდეგის ჰგავს და განდეგილივით არ დაგიდევთ თავის გარეგნობას. მშვიდი, უშფოთველი სიძულვილით სძულს ზეცის სილამაზე და ღრუბლების შეთამაშება.

ოთხი სიგრძივი განასერი აქვს და გამოჭედილს, უროთი გამოკვერილსა ჰგავს.

კაქტუსი ორგანო როცა განმარტოებით დგას, ღირსებითაა სავსე. მაგრამ როგორღაც კნინდება, როცა ჩამდგარია ღობის ბიჯგებივით ჩარიგებულ თანამოძმეთა გრძელ მწკრივში. აქ იგი ტყვეა, დარღინა და შარაგზის მტვრითაა გაჭაღარავებული.

რა ერთგულად ემსახურება ადამიანებს! ამას რომ გავიფიქრებ, მაღლიერებით ვივსები. კაქტუსი ორგანო დარაჯად უდგას ინდიელთა ბოსტნებს, მათ ხომ სხვა

აღარაფერი შერჩათ ძველ აცტეკთა სიმდიდრიდან. ეს კაქტუსები მკვიდრ ზღუდედ აღმართულან ლატაკი გლახის პატარა ოთხკუთხა ნაკვეთის დასაცავად. მისი წინაპრები შორეულ წარსულში მზერამიუნვდომელ სივრცეს ფლობდნენ. გლახს ლამის ყველაფერი წარტაცეს. ვერ წაართვეს მზე – მისი უწინდელი ღვთაება და კიდევ ვერ წაართვეს ქარის ქროლვა და ხეთქება – კეცალკოატლის\* სუნთქვა.

ერთგულო კაქტუსებო, მამაცო კაქტუსებო, დაიცავით თქვენი ღვიძლი ძმა – ინდიელი. იგი ისეთი უწყინარია, რომ საკუთარ მტერსაც კი არას ვნებს. კაქტუსებო, ინდიელი ისევე მიუსაფარია, როგორც კორდზე განმარტოებული ერთი თქვენგანი.



## ანანასი

მინაში ისე ზის, თითქოს მისი ბატონ-პატრონი იყოს. არ გეგონოთ, ჩაქარვებული გულაბივით სუსტი ყუნწი ჰქონდეს, ექვს კვირაში მოლონიერდება და დატკბება ხოლმე.

თავს უმშვენებს მუზარადის ჯილის მსგავსი ხშირი ფაფარი. ნაომარსა ჰგავს. ამორძალის მკერდივით მთლად დაფარულია ნაჭრილობევით. ჯაჭვ-ჯავშნის შიგნით საოცრება დაგხვდებათ. მისი სურნელება თვალუნვდენელი მინდვრისთვის იკმარებს ნიავსურნელად.

დროდადრო იტყვის: „ნუთუ მეც ილიადასავით ვარ, უამრავი სისასტიკე და სიმუხთლე ნეტარებად რომ იღვრება ელადელის ლექსიდან“.





## ბირიში

მე რომ დარდიანი ვარ, – ეს გულჩვილი ადამიანების მოგონილია. ალვა თუ ცისკენ მიილტვის, მე წყლისკენ მიმიწევს გული! მომწონს წყალი, სიცოცხლით ჩქეფს, თითქოს ანგელოზივით დაქროდეს და გრძელი რიდე სთრევდეს. და კიდევ: ტბორს თბილი გული აქვს.

წყლისკენ ვხრი რტოებს, თითის წვერებით ვეხები წყალს და ყურს ვუპყრობ მის ბუტბუტს.

გვედრებით, ნუ გამსხლავთ, ნუ ჩამომაკვეცთ წყალში ჩაშვებულ რტოებს. ეგ იგივეა, ვინმეს კოცნიდე და ზურგი შეგაქციოს.

პალმას მალლა აქვს ატყორცნილი ხალისით გაშლილი ხელები და ჰაერით ტკბება, მე კი წყლით ვნეტარებ. მიედინება, მიედინება და მაინც სულ ჩემთანაა.

პირმოც მყავს, ესაა ნორჩი ტირიფი, ჩემი ამონაყარი. ოღონდ ჩეროშია და ხეირიანად ვერც ვხედავ. დროდადრო სევდიანად ირწევა და იისფრად ელვარებს.

ოდნავ დამდრიკეთ, დაბლა დამწიეთ, კიდევ, კიდევ, აი ასე, რომ უკეთ დავინახო. როგორ მიშლის ჩემი კენწერო! ჰაერიც მიშლის! მოქნილი ბალახივით რომ შემეძლოს წყლის ზედაპირზე წაწოლა, ნიმფასავით ლოყას შევახებდი წყალს. რა ბედნიერი ვიქნებოდი!



## სომალები

ადამიანებმა შექმნეს სომალები, მაგრამ როგორც კი იმათ წყალში იგულვეს თავი, გაყოყორდნენ და აღარ ინდომეს კაცთ დამორჩილებოდნენ.

ვთქვათ, მეზღვაურებს აღარ მოუნდეთ სადმე გამგზავრება (ხომ შეიძლება ასეც მოხდეს?), მაშინ სომალები ჩაჭრიან ბაგირებს, თავისუფლები და ბედნიერები უიმათოდ გავლენ ზღვაში.

მეზღვაურებს ალაღად სჯერათ, რომ ყველა ნავი, ყველა სომალდი მათ ემორჩილება. არადა, თვითონ ემორჩილებიან სომალებს.

სწორედ სომალები შეუყენებენ წრიალს და აფორიაქებენ სანაპიროზე სულის მოსათქმელად გამოსულ ადამიანებს და ბოლოს კიდევ აიძულებენ, გავიდნენ ზღვაში.

სომალები ნაპირისკენ მიიჩქარიან, რომ დაიღვივრონ სურნელოვანი ნაყოფით: ანანასით, ფინიკით, ოქროსფერი ბანანით. ზღვა თავკერძა სატროფოსავით მოუთმენლად ელის, როდის მიართმევენ მინის ცინცხალ კეთილსურნელებას, რომელსაც ხარბად ჩაისუნთქავენ ყალყზე შემდგარი ტალღები.

მას აქვთ, რაც წყალს გაუშინაურდნენ, სომალდთა სულებში ურჩობამ იძალა. სომალდებს უყვართ მეზღვაურთა მოტყუება. თავი ისე უჭირავთ, თითქოს ემორჩილებოდნენ კაპიტნებს, არადა, თვითნებურად ცდილობენ იქით გაცურონ, სადაც ტრიტონები წამომართულან შემზარავ ბნელმწვანე ზღუდედ.

კაპიტნებს არ შეუძლიათ ზუსტად განსაზღვრონ გემი როდის შევა ნავსადგურში, უთუოდ რაღაც შეეშლებათ გათვლებში. სინამდვილეში ეს მათი შეცდომაა კი არაა, სირინოზებთან სომალდთა შეთამაშებისა და ლალობის გამო ხდება ასე.

სომალებს ბაგირის ხშირი ფაფარი აქვთ, იალქნები მათი მკვრივი მკერდია, მარილით გაჟღენთილი მერ-

ქანი მათი განიერი თეძოებია. გრძელტუნიკიანი მოცეკვავეებივით დაასრიალებენ ფეხებს წყალქვეშ.

ხომალდებს ზღვაში გაჰყავდათ ახალ მინათა აღმომჩენნი. და სანამ მოგზაურებს ეძინათ, ხომალდები დასცინოდნენ მათს საზღვაო რუკებს. ყველა ხომალდი კაცთათვის გაუგებრად და იდუმალად ეხმიანება კუნძულებს. ნახევარკუნძულები კი ყელს წაიგრძელებენ ხოლმე და ადამიანთათვის ვერგასაგონად გაყვირიან, თავისკენ უხმობენ ხომალდებს.

ტყუილად ფიქრობენ, რომ ხომალდებს მორჩილად გადაჰყავთ ადამიანები, რომელთაც თავიანთი მაუდის გაყიდვა სურთ. ხომალდები ზღვაში იმიტომ გადიან, რომ საკუთარი თავისუფლებით გაიხარონ.

ერთ მშვენიერ დღეს ადამიანებმა რომ აღარ მოინდომონ ზღვაში გასვლა, ხომალდები თვითონ შეცურდებიან წყალში. ნაპირზე ადამიანები აყაყანდებიან, ბოლოს და ბოლოს მიხვდებიან, რომ მათ არასდროს არ ემორჩილებოდნენ ხომალდები, რადგან ისინი, სირინოზების არ იყოს, ზღვის თავისუფალი სტიქიის ასულები არიან.



## კაკაუშვილას მღვიმე

ეს მღვიმე ძალიან ღრმაა. რომელიღაც გეოგრაფიულ ცნობარში წერია, მისი სიღრმე ათას ხუთას მეტრს აღწევსო. მღვიმის ფსკერზე გამაოგნებელი სიჩუმეა, თითქოს დედამიწის ძირისძირამდე ჩაგელწიოს. პირველივე ნუთებიდან შეგზარავს მდუმარება. ამის ატანა თურმე უფრო ძნელი ყოფილა, ვიდრე გაძლება ვერაფრის დანახვისა. ჩამიჩუმი არ ისმის. თუმცა, ისმის ჩვენი ფეხის ხმა და კიდევ – წვეთების ნელი ვარდნა, თითქოს თვით მღვიმის მინელებული გულის ფეთქვა იყოს.

გგონია, რომ სამყარო ამოტრიალდა. იქ, ზევით, დედამიწას ირგვლივ შემოგრაგნია ცა – ეს რაღაც გამოუთქმელი, მოუხელთებელი და ლურჯი.

აქ კი თავს გადმოგვემხობია მყარი ცა და ნაირგვარ ფორმებად გაქვავებულია. რა საოცარი ცა დაგვყურებს მღვიმეში! იქ, ზევით, ყველაფერი იცვლება, ღრუბლები მიდიან, მოდიან, ქრებიან... მღვიმის ცა წყლის ახირებაა და წყლისგანაა გამყარებული. ყვავილწნულები, ვეებერთელა კოკრები, აყირავებული ციხე-კოშკები!

კირქვის ქანებში გამონაჟონ წყალს მიწისქვეშეთის გამოცარიელებულ გულში ჩაუსახლება თავისი ქმნილებანი. ასე შეიქმნა ეს შეშლილი და გახელებული ჯადოსნური ლაბირინთი. წარმოიდგინეთ, საუკუნეები მოანდომა ბუნებამ ამ საოცრების შეთხზვას.

მღვიმის ძირიც ცის თალსა ჰგავს („მაღლა იგივეა, რაც დაბლა“, – უბრძანებია სვედენბორგს\*). უცნაური არსებანი ქვევით მიიწევენ, ერთმანეთს ეხებიან, უერთდებიან ზევითკენ ასხლეტილ ფორმებს. ასეა ლოცვის დროსაც: „ღვთისმოსავის სულსაც ხომ ასე სწყურია ღმერთთან შეერთება“, – ვფიქრობ ამის შემყურე.

მღვიმე სასწაულებრივი ტაძარია, ოღონდ საკურთხეველი აქ ყველგანაა. გვერდით ადამიანები არიან,

აქვეა რალაც ნაგებობა. სტალაქტიტებში, რომლებიც ზეცისკენ მიისწრაფვიან, მოხელთებულა ადამიანთა უამრავი მოძრაობა, მიმოხრა: აგერ პირქვე ჩამხოზილ ადამიანებს მთლად დაუფარავთ მღვიმის ფსკერი. იქით კი გაჯავრებულ კაცებს ბრაზით მალლა აუშვერიათ მუშტები. რალაც საბედისწერო იგრძნობა ყოველივე ამაში. აქა-იქ თითქოს ზღვიდან ამოზიდულან მალალი კლდეები, ტალღების ორომტრიალიდან ნამონეულან და ჰაერში გამოკიდულან, თითქოს ქარს შეუჩერებია ისინი.

იოსაფატის\* ველი მაგონდება. წმინდა წერილი ცოცხლდება თითქოს. აგერ ჩვენკენ მოემართება ვილაც კაცი, უზარმაზარია და ძლიერი. ვინ იცის, ეგებ მოსე წინასწარმეტყველია? მის უკან ერთმანეთში გადახლართული რალაც ფორმებია. შემოვტრიალდი და ვილაცის შეშფოთებული მზერა ვიგრძენი. ოიდიპოსია თუ მეფე ლირი? ქარბუქში თმა აბურდვია. მოლრეცილ-მოზრეცილი პირიდან თითქოს ვერ გამოუღწევია ყვირილს. ახლა კი დაჟინებით მაკვირდება ვილაცის თვალები. სახე არსად ჩანს, მხოლოდ თვალებია, დანარჩენი უნდა იგულისხმო.

ვაგრძელებთ გზას...

ახლა მღვიმე ნადირობის ეპიზოდებს გვაგონებს ჯადოსნური ზღაპრიდან, ფლობერს რომ აქვს აღწერილი *მწირთა შემფარებელი წმინდა ჟიულენის ლეგენდაში\**, – ისეთს. ყალყზე შემდგარი კამეჩი ირქინება, გამანადგურებელი ნახტომისთვისაა გამზადებული. დამფრთხალი შვლები გარბიან, იქით ხარირმები ერთმანეთს შეხლიან ბოჯოჯლი რქებით; ჯიქები ჩასაფრებულან და გალურსულან... ჩვენს ფერხთით გველები დასარსალბენ, ზოგი შეგრაგნილია. ეს ხომ აფრიკული ტროპიკული ტყის საოცარი ბარელიეფია!

ამ ნაირგვარ ხატებათა ორომტრიალში ადამსაც ნახავთ. სამოთხეში ცოდვით დაცემის შემდეგ მხეცები შემოსჯარვიან, ანთებული თვალები უელავთ და სადაცაა გაგლეჯენ ამ უბედურს...

ალაგ-ალაგ დახვეწილი, ნათელი ფორმები ჭარბობს. და მღვიმე მაშინ უკვე მძვინვარე მხეცთა სამყოფელს კი არა, უწყინარ და ნატიფ მცენარეთა სამყაროს ემსგავსება: მოშრიალე გვიმრები, ტანაშოლტილი ფიჭვები და კვიპაროსები, გახელებით რომ მიილტვიან შეუცნობელი სიმაღლეებისკენ. მათ ქვეშ აშლილი ბალახი და ჩირგვნარია. თითქოს ეს ყველაფერი ნამქერითაა ნაქირსლული, თითქოს დიდხანს ეთოვოს და ფოთლებს სქლად დაჰფენოდეს ფანტელი. ამ გარინდულ გარემოში რომ ვარ, დათოვლილ ტყეში მგონია თავი. სული მეხუთება, მინდა ფეთიანი ელდაქარი ამოქანდეს, ახვეტოს თოვლი, ნამქერად აქციოს და მიხსნას უცნაურ ხილვათაგან, რომელთაც ეს სითეთრე და სიჩუმე იწვევს.

აქ ბოტორო ჰაერია, შესქელებული, როგორც ტროპიკულ ტევრში.

ნინ მივიწვევთ და თითქოს სიზმრის გაუხშობულ ჰაერში შევაბიჯეთ. ზევიტკენ მიმართული ეს ფორმები დროდადრო ნააგავს ათას ხელს, ღვთისთვის შესანიშნის მისართმევად მაღლა აწვდილს. ჰო, ესაა ვეებერთელა სამსხვერპლო რომელიდაც გულცივი ღვთაებისა: ლარნაკები, ამფორები, კვერთხები – ყველაფერი, რითაც ღვთის წყალობის მოპოვებას ლამობენ. ვინ იცის, ეგებ ამ ადამიანებს, მთელ ქალაქს ღვთის რისხვა დაატყდამიუტევებელი ცოდვებისთვის... განწირულება და სასონარკვეთა იგრძნობა ზეცისკენ ამაოდ აწვდილ ხელებში. მოელი, რომ ვილაც ნაიქცევა, ვილაც დაეცემა, განადგურდება.

სრული სიჩუმეა, მაგრამ სიკვდილის მდუმარება მაინც სხვაა. მღვიმეში ყოველი არსება სისხლსავსეა, მაგრამ სხვაგვარია, განსხვავებულია ჩვენი სამყაროსგან. უნებურად გახსენდება შვიდი მძინარე ჭაბუკის ლეგენდა. მთამ შვიდივე ქვეშ მოიყოლა ისე, რომ არაფერი დაუშავებია მათთვის, თითქოს მსუბუქი რიდე წაეფარებინოს. გამოხდა საუკუნეები და გათხრების წყალობით გამოჩნდა შვიდი მიძინებულის

სხეული, საოცრად თეთრი და საღი შვიდი სხეული! ძილით გაბრუებული ჭაბუკები ძლივს შესამჩნევად სუნთქავდნენ. სიკვდილი არ შეხებია მათ. ისინი მზის ამბორმა, მზის სითბომ გამოაფხიზლა. ამ უტყვ სტა-ლაქტიტებშიც იგრძნობა შეგუბებული ძალა, შეკა-ვებული ძლიერი სუნთქვა. უკანმოუხედავად ჩავიარეთ ყველა დარბაზი და გვეგონია, რომ ჩვენს ზურგს უკან ეს გაქვავებული არსებანი ცოცხლდებიან, იმ-მუშნებიან... შორიდან თითქოს მოისმის, შვებით როგორ ამოისუნთქეს.

მღვიმეში რომ მარტო მოვსულიყავი (ადამიანი ხომ თავის თავთან უფრო გულახდილია), ასე არ ავჩქარდებოდი და აღტაცებით გაცისკროვნებულ ჩემს თვალებს რომ იხილავდა, მღვიმე გაცოცხლებას მოინდომებდა. ჩავჯდებოდი ამ მშვენიერი ფერხულის შუაგულში, რომ ჩუმად მემზირა მათთვის, მემზირა საათობით, დღეობით, სანამ არ დაირღვეოდა ეს შეუვალი მდუმარება... და მაშინ ჩემი ანთებული მზერით გამთბარი ხეები უეცრად გამოერკვეოდნენ გაოგნებისგან; ცხოველები ხტუნვას მოჰყვებოდნენ და ბოლოს მათი ხახიდან ვეება მძიმე წვეთივით გამოაღწევდა დიდი ხნის შეკავებული სიტყვა; მთვარიდან თითქოს იაკობის კიბით\* ჩამოვიდოდნენ იქაური მკვიდრნი და დატრიალდებოდნენ ჩემ ირგვლივ. უფრო კივიოცნებები, მღვიმის სიღრმეში ვყოფილიყავი, რომ მესმინა სრული სიჩუმე, რომელსაც არ არღვევს წვეთების ხმა. წვეთები ხომ კაპუნით ადასტურებენ საოცრებას სრული სიჩუმისას. დამენმინდებოდა და გამიმახვილდებოდა ყურთასმენა, აწენილი სამყაროს ფორიაქმა და აზრმიუტანელმა სიხარბემ რომ დამიხშო. ეს ისეთი სიჩუმე იქნებოდა, რომ სრულიად ვერაფერს გავიგონებდი, თითქოს დოლბანდი ასკეცად მქონოდეს თავზე შემოხვეული. არა, უფრო სრული სიჩუმე იქნებო-და, სიჩუმე სიკვდილისა, რომელსაც ცოცხლები ისმენენ.

ეს ყოვლისმომცველი მდუმარება თუ დამამძიმებდა, აი ისე, ზღვის წყალი რომ სიმძიმედ აწვება ფსკერისკენ დაძრულ მყვინთავს, მაშინ მუსიკით შევატბორებდი

მღვიმის სიღრმეს. სიმფონიის ენაზე შეიძლება საოცარ ფორმათა ამ სამყაროს გადატანა: აი, ეს კოშკები ცივ და მაღალ ბგერებს გამოსცემენ, ეს გუმბათი მკაცრი და ტევადი აკორდია, ერთმანეთში გადახლართული ბალახბულახი მუსიკალური ტონების შეთამაშებაა. ეჰ, რომ არაფერი მაფერხებდეს, დაუბრკოლებლივ რომ შემეძლოს ამ ღვთაებრივი სიჩუმით ტკბობა, სულაც არ დავიღლებოდი, ისე გარდავექმნიდი მუსიკალურ ჰარმონიად ამ უსიერ ტევრს.

ვუმზერ და ვუმზერ ამ საკვირველ არსებათა მოყვანილობას. მიწის ზევით არსებულ ფორმათაგან თუა რომელიმე აქ დავინწყებულნი? არცერთი! წყალმა, რომელსაც თითქოს შექსპირის შემოქმედებითი ნიჭი აქვს მიმადლებული, გამოაქანდაკა ყოველი მათგანი! ხან ბუნებას მიბაძა, ხან კაცთა ნახელავს მიამსგავსა. აი, დიდგვაროვანთა ძველებური სავარძელი, ოდნავ იქით რაღაც არის მაღალი ციხე-დარბაზის მსგავსი.

აქ, ამ მღვიმეში გავიგე, რა ყოფილა ბუნების წარმოსახვა.

მღვიმე დაბრმავებული მილტონივითაა\*. მღვიმე ოცნებობდა მშვიდობაზე მზისქვეშეთში და გახლებული ქმნიდა ყველაფერს, რისი ჩასახვაც მოინდომა წყალმა მიწის წიაღში. ქვის არსებათა ამ სიმრავლეში, სადაც ყველა და ყველაფერი შეიძლება შეგვხვდეს, მგონია, იმათაც ვნახავ, ვინც კარგახანია სულის საუფლოშია. კიდევ რამდენიმე საათს რომ დავრჩენილიყავი, აგერ, ამ ჩაბნელებული კუთხიდან გამოვიდოდა ჩემი გარდაცვლილი დედა. ამ შეუძვრელ კედლებს თუ ავაცოლებდი მზერას, საკუთარ სახესაც ვიხილავდი! და ასე მგონია, ჯერ კიდევ სრულად ფრთა არ შეუსხამს მღვიმის ყველა ოცნებას, ჯერ არ დასრულებულა ყველაფერი, ქმნადობა გრძელდება! წვეთავს წყალი და ქმნის რაღაცას. დავიარებით და დაგვყვება მძიმე წვეთების შენელებული ხმა. არა, უკან მოგვდევს გესლიანი ქილიკით.

ელექტროშუქი მეტისმეტად მკვეთრად, უხეშად ანათებს სტალაქტიტებს. მთვარემ რომ იცოდეს მღვიმის



ამბავი, ძალიან მოუნდებოდა მიწისქვეშეთის განათება თავისი ლურჯვერცხლა შუქით, არა, ოქროვერცხლა თუ თეთრვერცხლა შუქით.

უსიცოცხლო სიფითრე ამ მიწისქვეშა ხედებს უბინო სიმკაცრის იერს ანიჭებს. სითეთრე და სინაცურისფრეა ირგვლივ. და თითქოს რომელიღაც სხვა პლანეტის სანახებით მონუსხულები დავბორიალობთ. გზადაგზა ერთმანეთს გადაფულაპარაკებთ ხოლმე, შევეძრახებით, ხმას გავაგონებთ, რომ არ შევიშალოთ ამ სასწაულისგან.

ოდესმე ამ მღვიმის შორიახლოს ქალაქი წამოიმართება. უამრავი დიდებული ტაძარი რომც ააგონ იმ ქალაქში, მღვიმეში მაინც მოვლენ მოუსვენარი ადამიანები, ჩავლენ თეთრად გაქვავებულ წიაღში, რათა ცხადად იგრძნონ სიკვდილის სუნთქვა. ღვთისკენ აღვლენილ ლოცვათა შორის მათი ლოცვა იქნება ყველაზე უფრო ამაღლებული, ყველაზე მეტი სინანულით აღსავსე. ღვთის სადიდებელი ყველაზე დიადი საგალობელი ეგებ სწორედ ამ სტალაქტიტიტიან საკურთხეველთან იშვას, ეგებ სწორედ აქ ამოთქვას იგი კაცთა ბაგეებმა. ადრე ღმერთს ვგრძნობდი მხოლოდ მაშინ, როცა ვარსკვლავებით მოჭედნილ უძირო ცას შევყურებდი. ახლა კი აგერ სხვა სიღრმეა, რომელმაც შეიძლება ცნობა დაგაკარგვინოს.

ბავშვობაში დედას ვკითხავდი ხოლმე, რა არის-მეთქი მიწის ქვეშ. ის კი მიპასუხებდა: „იქ ბნელა, იქ საშიშია“. ჰოდა, დედაჩემო, როგორც იქნა, ვიხილე დედამიწის წიაღი: იგი საშოსავითაა, უზარმაზარი ყვავილთაა ამოვსებული, მასში ნაირ-ნაირი ფორმებია დახვავებული. და ამ სულისშემძვრელ სილამაზეში მივაბიჯებ სუნთქვაშეკრული.

მღვიმიდან გამოვედით... სახეზე მოგვეფათურა შუადღის ცის სილურჯე. თვალებს უნებურად ვჭუტავთ, ნაავადმყოფართ ვგავართ, თითქოს გამომჯობინებისკენ გვექნას პირი.

## სოტა რამ კერუას შესახებ

პერუს ცენტრალური ქედის ღრანტეებიან კალთებზე, აკიბულ კლდეებში, სადაც გახსნილი ციდან იღვრება ანდების გამჭვირვალე შუქი, დიდი ხნის წინათ ცხოვრობდა კაცობრიობის ყველაზე გამოუცნობი, ყველაზე იდუმალი ხალხი – კეჩუა. ეს ხალხი ინკების გულისგული იყო. სწავლულთა ხანგრძლივი და რთული კვლევა-ძიების მიუხედავად, დღესაც ძალიან ცოტა რამ ვიცით კეჩუას წარმოშობის შესახებ. დღემდე ვერ გაურკვევიათ, თავისი ათასწლიანი ისტორიის მანძილზე როგორ მოახერხა ამ ხალხმა მწყობრი სახელმწიფო სტრუქტურის ჩამოყალიბება, როგორ შექმნა ის, რასაც ინკების იმპერიის სასწაულს უწოდებენ.

ინკა გარსილასოს ან პრესკოტას რომ კითხულობ, გჯერა და არც გჯერა, ორჭოფობ: ნამდვილად ისტორიული დოკუმენტებია, ინდურ-ამერიკული სინამდვილის მეცნიერული გააზრებაა, თუ ესაა საოცარი ჯადოსნური ზღაპარი ოქროს ხანისა.

ეს ხალხი – ბრძენი და ბავშვით მიამიტი, თვითმყოფადი და თანაც ტექნიკური ნიჭით გამორჩეული, იმპერიული ზრახვების მქონე და ამასთანავე მშვიდობისმოყვარე – სასიცოცხლო ძალას პოულობდა საკუთარ წყობაში; სიცოცხლეს პოეტურად აღიქვამდნენ, საამისოდ ერთმანეთისგან გაუთიშავი ორი წყარო ჰქონდათ: ზეციურ მნათობთა თაყვანება და არისტოკრატიზმის სწორი გაგება, ანუ იერარქიულობის მიჩნევა იმპერიის აყვავებისა და საერთო კეთილდღეობის საფუძველთა საფუძველად. ზეცას აღმერთებდნენ და შეძლეს ასტრალურ და ატმოსფერულ ღვთაებათა მწყობრი იერარქიული ჯაჭვის შექმნა. ამ დროს მათი მეზობელი ტომები თაყვანს სცემდნენ ცხოველებს და მშვიდად შეექცეოდნენ ადამიანის ხორცს. ინკები მმართველი არისტოკრატიაა: ღვთისმსახურები და ქურუმები. ისინი მზის შვილებად მიიჩნევდნენ თავს და მთელი მათი პანთეონი – მამად შერაცხილი ვარსკვ-

ლავიდან დანყებული და ცისარტყელითა თუ ელვით დამთავრებული – ზეციურისა და მიწიერის ღრმა გააზრებაზე მეტყველებს.

ბავშვივით გულუბრყვილონი კი იყვნენ, მაგრამ კეჩუას რელიგია აზიელ ხალხთა რწმენაზე უფრო მთლიანი და ჰარმონიული იყო. ოღონდ ეს არ ეხება ინდოელებს, რომელთაც ბუდიზმი შექმნეს.

ინკების იმპერია გადაჭიმული იყო დღევანდელი კოლუმბიიდან ჩილემდე, წყნარი ოკეანიდან ბოლივიის აღმოსავლეთ კიდემდე, ლამის არგენტინამდე. ამ უზარმაზარ სივრცეს იმპერია უომრად დაეპატრონა. ინკები მეზობელ ინდიელთა ტომებს იპყრობდნენ გასაოცარი ხერხით: მამაშვილური კეთილმოსურნეობით. დამპყრობელნი ფლობდნენ რალაც უჩვეულო მაგიას, რომელიც ერთგულ სამსახურს უწევდა მათ; როცა უზენაესი ინკა თავისი ამალიანად სამეგობრო-საზეიმო ვიზიტით ეწვეოდა მომიჯნავე მიწების მფლობელთ, სტუმრები საუბარს იწყებდნენ თავიანთ აღმატებულებაზე, იმპერიაში დამკვიდრებულ სიქველესა და ძალმოსილებაზე. ინკები მეზობელ ჩამორჩენილ ტომთა მიმხრობას ცდილობდნენ და დამხვდურები ყოველთვის თავიანთი ნებით მიუერთდებოდნენ ხოლმე მათ.

ჩვეულებისამებრ, ველურებს ჯერ შეაგონებდნენ, მერე იმორჩილებდნენ ასეთი მშვიდობიანი ლაშქრობებით. სიტყვით უფრო იმარჯვებდნენ, ვიდრე – იარაღით, ზუსტად გათვლილი პოლიტიკით უფრო, ვიდრე – ძალით.

კეჩუას ხალხი დღევანდელ ყველანაირ ხელობას იყო დაუფლებული. მიწას ისე ამუშავებდნენ, ისეთი მოსავალი მოჰყავდათ, რომ საზრდო უხვად ჰქონდათ. სახნავ-სათესი მიწა ორჯერ მეტი იყო, ვიდრე ესპანეთის ბატონობის ჟამს.

კეჩუა აზიელს ჩამოჰგავდა, საოცარი მოთმინებითა და შრომისუნარიანობით გამოირჩეოდა. მათ შემოიღეს მიწის დამუშავება მიწაყრილსა და ოროკოზე; ანდებში,

თავიანთ სამფლობელოში, კლდეებსა და უღალაო, ალქატი მინაზე ინევედნენ უხვ მოსავალს. ეს ადგილები თვითონ აირჩიეს, ტროპიკულ პოხიერ მინებს ამჯობინეს. სუფთა ჰაერი და თავიანთ სათაყვანებელ ზეცასთან სიახლოვე სურდათ. ამიტომ განერიდნენ დახაშმულ დაბლობს.

კეჩუამ – თავისი ისარივით მოუდრეკელმა, ხმელ-ხმელმა და მთის კაქტუსივით მკვრივმა, ვულკანურ ქვა-სავით გამძლემ და ამტანმა – მთის სერები გადააქცია ტერასებად განლაგებულ თვალუნვდენელ სიმინდის ყანებად და კარტოფილის ნათესებად, ბოსტნეულისა და ხილის ბელად. ჩვენ რომ უბირი გვგონია, იმ ადამიანს მიაჩნდა, რომ დაუმუშავებლად მიშვებული მინა – ესაა შეურაცხყოფა მზისა, ინკის უზენაესი ხელისუფლისა, და მისთა ძეთა. 3488 მეტრის სიმაღლეზე მინის სარწყავად მდინარეები რაკი არ იყო, მიუდგომელ ადგილებში მოსავლის მოსაწევად კეჩუას უნდა მოეფიქრებინა, უნდა აეგო და სანიმუშო წესრიგში ჰქონოდა სარწყავი სისტემა; უნდა გაეყვანა სარწყავი არხები, მთის ნაკადების გადასაგდები ღარები და კანალიზაციისთვის კლდეებში გაჭრილი თხრილები. ეს ყველაფერი მოისაზრა და შექმნა კეჩუამ.

როცა რაიმე შემოაკლდებოდათ, მთებში როცა აცივდებოდა, ბარიდან ეზიდებოდნენ საქონელს, ბამბასაც კი. როცა საჭირო შეიქნა ანდების\* სამეფოს გაფართოება, ვრცელი ვაკეები და სუბტროპიკული ველები მიიერთეს.

თავისი დედაქალაქის, კუსკოს\*, მაღალ ქარაფზე ავიდოდა უზენაესი ინკა, მზერას მიმოავლებდა იმ მინებს, რომელთაც ანდები გადაჰყურებდა, და ახალ დაპყრობათა გეგმებს სახავდა, უკვე თავის ხელქვეითებად ეგულებოდა მეზობელი ტომები.

იმპერიას, რომლის სახელწოდება იყო ტაუანტინსუიუ, ანუ „ქვეყნის ოთხივე კიდე“, მჭიდრო ურთიერთობა ჰმართებდა ახალშემოერთებულ მინებთან. აუცილებელი შეიქნა ახალი გზების გაკვალვა. ქვეყნის

ნმიდათანმიდა გულიდან, ქალაქ კუსკოდან, გამოსული გზების ქსელს რომ მოეცვა მთელი იმპერია, – უნდა დაეღრღნათ, გამოეხრათ, გაეპოთ ანდების გოროზი ქედი. და ეს შეძლეს ინკებმა.

იმპერიის კიდით კიდემდე ვეებერთელა მახრჩობელა გველივით მიიგრანებოდა შარაგზა, მიიკლანებოდნენ და მიიხლართებოდნენ გზანვრილები და ბანარა ბილიკები; თეთრად ბლანდავდნენ, ერთი მეორეს აკერებდნენ ტერიტორიებს, ჯიბეში უძვრებოდნენ კორდილიერებს\*, უფსკრულებზე გადებული და ჰაერში გამოკიდული ბონდებით იმპერიის მაცოცხლებელ გულს, ღვთაებრივ კუსკოს, უკავშირებდნენ კიტოსს, ჩიბჩას, ჩანგოს და სხვა ხალხებს. სწორედ კუსკოში იყო აღმართული მზის მთავარი ტაძარი და მზიური ინკის სასახლე. მოკლედ, კეჩუას ხალხმა შექმნა რომაელთა მსგავსი ცოცხალი ორგანიზმი სისხლის მიმოქცევის ისეთი სისტემით, რომ ეს ყველაფერი ჯადოსნურ ზღაპარს უფრო წააგავს, ვიდრე სინამდვილეს. და მაინც... ეს სინამდვილეა.

შემოერთებული ტომები რომ მორჩილნი ყოფილიყვნენ, ინკებს უნდა აღმოეფხვრათ მათი ველური ზნეჩვეულებანი და საკუთარი ცხოვრების წესი თავს უნდა მოეხვიათ მათთვის. იმათი ღმერთები დათრგუნეს, რათა თავიანთი რელიგიის თესლი ჩაეთესათ ქვეყნის ოთხივე კიდეში. გზები ცოცხალი არსებებებით გამოადგათ, გზებმა კარგად აღჭურვილ არმიასზე დიდი სამსახური გაუნია ინკებს.

იდუმალებით მოცულმა ინკების კასტამ უფრო მეტის მიღწევა მოინდომა. საქმისთვის თავის გართმევის საოცარი ნიჭით დაჯილდოებულმა ხალხმა, რომელსაც რელიგია მატრიარქალური ჰქონდა, ყოფა კი პატრიარქალური, – გაბედა და შეუძლებელი შეიძლო: ბოლო მოუღო სილატაკეს, რომელიც ადამიანს პირუტყვად აქცევს. ინკებმა მოინადინეს, და კიდევ აღასრულეს თავიანთი გაბედული განზრახვა, წარმოუდგენელ შედეგს მიაღწიეს. ტაუანტინსუიუში უსაქმურს არ დაედგომებოდა: ყოველი ადამიანი

შრომობდა, ორ ხელობაში თუ არა, ერთში მაინც უნდა განაფულიყო. საყოველთაო შრომა იყო გაჩაღებული. საგანგებო განვართულობასა და დაოსტატებას მოითხოვდნენ კაცისგანაც და ქალისგანაც. მოხუცები თავისუფლდებოდნენ ჯაფისგან. ისლით გადახურული ქერი ყოველ ოჯახს იცავდა ანდების სუსხისაგან; ტანთ ეცვათ ბამბის თბილი და ფაფუკი სამოსი; საღი და გემრიელი საკვები – სიმინდი, კარტოფილი, ხილი – მზის ყოველ შვილს მაძღრისად ჰქონდა მოსავლიან ნლებშიც და მოუსავლიანშიც. ცხადია, ამ თვითმპყრობელურ სახელმწიფოში არც უმფოთველობა იყო და არც სამოთხის იდილია. იყო სიმკაცრე რელიგიურ სფეროშიც და სახელმწიფოებრივშიც. უზარმაზარ ტერიტორიაზე, რომელსაც ვეება კონტინენტის მეოთხედი, მთელი ამერიკის ცალი მხარე ეკავა, ინკებს ადამიანები უზრუნველყოფილი ჰყავდათ ქერით, საზრდოთი, სამოსით. მაგრამ ამას სულაც არ მიიჩნევდნენ თავიანთ დიდ დამსახურებად.

სწორედ ამიტომ ტაუანტინსუიუს სახელმწიფოში მაგარი ხელი, კაჟივით მაგარი წესრიგი იყო საჭირო.

ადამიანების შეუსვენებელი ჯაფა მიუწვდომელი ანდების მთელ გაყოლებაზე საღვთო საქმიანობად მიიჩნეოდა. მუხლჩაუხრელად შრომობდნენ: მაღაროებში ქვას ტეხდნენ, ისე რომ არც ხვენი ჰქონდათ, არც სახვრეტელა, არც ბურღი. მწირ და უყ მიწას საგულდაგულოდ ამუშავებდნენ, ისე რომ გუთანის და სახნის-საკვეთი არ იცოდნენ რა იყო.

და მაინც, ეს მკაცრი იმპერია ჰუმანური და სამართლიანი იყო ორი თვალსაზრისით: მისი რწმენა ვარსკვლავთმრიცხველობას ეფუძნებოდა და მისთვის უცხო იყო ადამიანის მსხვერპლად შეწირვა, შემზარავი რიტუალები. შრომა და გარჯა სულ ხუთიოდ ძირითად საქმიანობას მოიცავდა და ადამიანები შრომას მიიჩნევდნენ სახალისო, საზეიმო საქმედ.

კეჩუას ჰქონდა თავისი თეატრი: ეპიკური, სახალხო, ამავე დროს რელიგიურიც. მშვენიერ ფერად ქსოვი-

ლებს ქსოვდნენ და ამ ხელობაში ძველ ეგვიპტელებსაც კი ნააჭარბეს. კეჩუამ, ამერიკის ჩინელებმა, მგრძობიარე მარჯვე ხელითა და განაფული თვალით მოახერხეს ისეთი კერამიკის შექმნა, ეტრუსკულ და ასირიულ კერამიკას რომ არ ჩამოუვარდებოდა. და კიდევ: წარმართული იდუმალი რწმენის წყალობით სრულყოფილებას მიაღწიეს ცეკვაში: რელიგიურშიც და საეროშიც. დღეს კი ყოველივე ამისაგან შემორჩენილია მოცეკვავის ტანზე ჩამოკონკილი ძონძები და ძველებური საკრავის გულისმომწყვლელი ჰანგი. ინდიელთა რასის სულიც დაითრგუნა და სხეულიც. პირადად მეც ვარ მათი სამარცხვინო და სავალალო ბედით დალდასმული.

ყოველივე იმის გარდა, რისი მოყოლაც მოვასწარი, ინკების ბრძნულმა და რთულმა იმპერიამ შექმნა განსაცვიფრებელი გაერთიანება ღირსებით აღსავსე მოხელებისა. მსგავსი რამ არც ბერძნებს ჰქონიათ, არც რომაელებს. ამ მოხელეთ ამაუტა ენოდებოდათ. მათ მრავალმხრივი მოვალეობა ეკისრებოდა: *ამაუტა* ნერდა ქალაქის ცხოვრების ქრონიკებს, ანუ ჟამთააღმწერლის მისიას ასრულებდა; ინდიელთა თეოკრატიის შესაფერისად, იგი იყო რელიგიური მოძღვარიც. *ამაუტა* მხატვრული კითხვის ოსტატიც იყო, ხშირად თვითონაც თხზავდა ლექსებს.

რა შესანიშნავი საქმიანობაა, რა მშვენიერი ხელობაა! *ამაუტა* იყო შთამაგონებელი და წარმმართველი სახალხო დღესასწაულებისა და ზეიმებისა. დღეს ვიტყვით, რომ იგი სიხარულს საზრდოდ აწვდიდა ხალხს. *ამაუტას* საქმიანობა საპატიოდაც ითვლებოდა და მიმზიდველაც... ყველა შესაძლო ხელობათაგან მხოლოდ *ამაუტას* შემშურებია. ვწუხვარ, რომ იგი აღარ არსებობს.

როგორც ხედავთ, ინკების იმპერიამ იცოდა, როგორ დაეკმაყოფილებინა მოთხოვნილებანი ყველა კასტისა (ანუ დღეს რომ ვხმარობთ უვარგის სიტყვას – „მასებისა“). ამიტომ დაბეჯითებით ვამბობ, რომ რკინისებურ სახელმწიფო წყობას თან ახლდა სიკეთე და სიქველე, ჰქონდა ჟამი შესვენებისა და ჟამი უზენაესი ნეტარებისა.

**ლიბერატურაში ნობელის პრემიის  
ბალსამის ღრუს საგვიმომ ცერემონიაზე  
წარმოთქმული სიტყვა**

პატივი მაქვს მოგესალმოდ, თქვენო სამეფო უდი-  
დებულესობავ, პრინცებო, დიპლომატიური კორპუ-  
სის წარმომადგენლებო, შვედეთის აკადემიისა და  
ნობელის ფონდის წევრებო, სახელმწიფო და საზოგადო  
მოღვაწენო!

დღეს შვედეთმა ყურადღება მიაპყრო შორეულ  
ამერიკის იბერიას, რათა მისი კულტურის მრავალ  
მოღვაწეთაგან ერთ-ერთის სახით განადიდოს იგი.  
კაცობრიობის კეთილდღეობის მოსურნე ალფრედ  
ნობელის სულს ეამებოდა, რომ მისი კეთილი ღვაწლი  
– კულტურული ცხოვრების მფარველობა – გადასწვდა  
ამერიკის კონტინენტის სამხრეთსაც, რომელსაც  
ერთხანს ხეირიანად არც იცნობდნენ აქ.

მე, ჩილის დემოკრატიის შვილი, დიდად ამაღელვა  
შვედეთის დემოკრატიული ტრადიციების ამ გამოვ-  
ლენამ. თავისებურება თქვენი ქვეყნისა – ესაა სოცია-  
ლურ მიღწევათა წყალობით განუწყვეტელი განახლება.  
დრომოჭმულისაგან თავის დაღწევისა და ყველაზე  
ღირებულის შენარჩუნების გზით ტრადიციათა დახ-  
ვენას, ანმყოს გულგახსნილად მიღებას და მომავლის  
შეგებებას – ამას ყველაფერს ჰქვია შვედეთი, ეს  
ყველაფერი ევროპის სიამაყეა და მისაბაძ მაგალითად  
გამოადგება ამერიკის კონტინენტს.

ახალგაზრდა ხალხის შვილი მივესალმები შვედეთს,  
მივესალმები ამ ქვეყნის სულიერი გზის გამკვალავთ,  
რომელთაგან არაერთხელ მიგრძენია მხარდაჭერა. მინ-  
და პატივი მივაგო ამ ქვეყნის სწავლულთ, სულიერი და  
მატერიალური საგანძურით რომ ამდიდრებენ ქვეყანას.  
მინდა მოვიგონო ბევრი მასწავლებელი, ჭეშმარიტად  
სანიმუშო სკოლების შემქმნელნი; გულწრფელი სიყ-



ვარულით მივმართავ სხვა პროფესიის ადამიანებს: მშრომელებს, ხელოსნებს, მინათმოქმედთ.

მე წილად მერგო ბედნიერება, რომ ამ წუთებში მოგაწვდინოთ ჩემი ქვეყნის შემოქმედთა ხმა, ხმა სამხრეთ ამერიკის პოეტებისა, ორი დიდებული ენის – ესპანურისა და პორტუგალიურის – მესაიდუმლეთა! ისინი მოხარულნი არიან ჩრდილოეთის მკვიდრთა ზეიმზე მოპატიჟებისათვის. თქვენი ცხოვრება ხომ, აგერ ათასი წელია, წარმოუდგენელია ხალხური სიწყვისა და პოეზიის გარეშე.

უფალი ღმერთი ფარავდეს თქვენი შესანიშნავი ხალხის ნაღვანს, მის შემოქმედებას და განამტკიცებდეს ანმცოსთვის თვალის გასწორების უნარს უძლეველი ზღვაოსანი ხალხისას.

ჩემს სამშობლოს, რომლის წარმომადგენლად აქ ბრძანდება დიდად პატივცემული ჩვენი მინისტრი *გახარდო*, შვედეთთან აკავშირებს მონივნება და სიყვარული.

აქ გახლავართ, რათა მაღლობა მოგახსენოთ ჩვენი ქვეყნის მიმართ გამოვლენილი განსაკუთრებული კეთილმოსურნეობისათვის. ჩილე არ დაივიწყებს თქვენს დიდსულოვნებას და მუდამ ექნება ყველაზე ნათელ მოსაგონრად.



## შენიშვნები

### გვ. 3

*გაბრიელე დ'ანუნციო* (1863-1938) იტალიელი პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი. ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი.

*ფრედერიკ მისტრალი* (1830-1914) პროვანსელი პოეტი, ნობელის პრემიის ლაურეატი (1904).

### გვ. 39

*დავითი* ისრაელის პირველი ცხებული მეფე, *ფსალმუნთა* ავტორი, წინასწარმეტყველი, ბეთლემელი იუდეველის, იესეს, უმცროსი ვაჟი.

### გვ. 43

*ველასკესი დიეგო დე სილვა* (1599-1660) ესპანელი მხატვარი, ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო კოლორისტად მიჩნეული. „ველასკესის ტილო“ – იგულისხმება მისი ცნობილი *ჯვარცმა*.

*ლონგინოზ ასისტავი* ტრადიციულად მიჩნეულია, რომ ლონგინოზი ერქვა რომაელ ასისტავს, რომელმაც „ლაზურითა უგმირა გუერდსა“ ჯვარცმულ მაცხოვარს. იოანეს სახარებაში, სადაც ეს ამბავია აღწერილი, მისი სახელი ნახსენები არ არის. სახელი ლონგინოზი გვხვდება *პილატეს აქტებში*. საქართველოში უძველეს დროშივე იყო თარგმნილი *ნამებაჲ ლონგინოზ ასისტავისაჲ*, რომელშიც აღწერილია ლონგინოზის სინანული და ქრისტეს რწმენისთვის მონამებრივი სიკვდილი.

### გვ. 55

**„შროშანი, რომელსაც ქრისტეს მოძმედ მიიჩნევენ“** – გამოძახილია სახარების მუხლისა (მათე 6, 28; ლუკა 12, 27), სადაც ქრისტე მოძღვრავს მონაფეებს, რომ მიბაძონ შროშანს ველისას.

### გვ. 63

**არაუკა** მდინარე კოლუმბიაში, ვენესუელას საზღვართან, მდ. ორინოკოს შენაკადი. არაუკა ეწოდება პატარა ქალაქსაც კოლუმბიის აღმოსავლეთ მხარეს.

### გვ. 69

**სოლომონი** ისრაელის მეფე, დავით წინასწარმეტყველის – ისრაელთა ცხებული მეფის, *ფსალმუნთა* ავტორის, ძე. მის დროს აყვავდა ისრაელის სამეფო. ტრადიციულად სოლომონი მიიჩნევა ბიბლიის რამდენიმე წიგნის ავტორად („ქებაჲ ქებათაჲ“, *იგავნი სოლომონისნი* და „ეკლესიასტე“).

**თომა კემპიელი** (1380-1471) ასკეტიკოსი და მისტიკოსი, ავტორი ცნობილი თხზულებისა – *ბაძვა ქრისტესი*, რომელშიც რჩევებია ადამიანის სულიერი სრულყოფისა და ამაღლებისათვის.

**სამი მოგვის სახელი** იგულისხმება აღმოსავლეთიდან ყრმა იესოს თაყვანისსაცემად მოსული სამი მოგვი, რომელთაც ვარსკვლავი მოუძლოდათ. მათეს სახარებაში, სადაც მოგვთა თაყვანისცემა არის გადმოცემული, მათი სახელები არაა ნახსენები. ტექსტი მიგვანიშნებს, რომ ქვიშას ბევრ იდუმალებაში შეუძლია შეღწევა.

ტრადიციის თანახმად, აღმოსავლელ მოგვთა სახელები იყო: მელქიორი, ბალთაზარი და გასპარი.

### გვ. 70, 87

**იაკობის ქვა, იაკობის კიბე**, ბიბლიაში მოთხრობილია, რომ ებრაელთა პატრიარქმა იაკობმა, მამამისის, ისაკის, დავალებით თავისი დედის ძმასთან გზად მიმავალმა ლოდი დაიდო სასთუმლად და დაიძინა. სიზმრად იხილა ჩვენება: კიბე, რომელიც მიწიდან ზეცას სწვდებოდა და ზედ ანგელოზნი აღვიდოდეს და გარდამოვიდოდეს“.

### გვ. 70

**მათუსალა** ებრაელთა ერთ-ერთი პატრიარქი, რომელმაც 167 წლის ასაკში შვა ვაჟი სახელად ლამეკი, ამის შემდეგ იცოცხლა კიდევ 782 წელი. მისი სახელი ხანგრძლივი სიცოცხლის სინონიმად იქცა.

**ლოთის გაქვავებული ცოლი** ბიბლიის თანახმად (დაბადება, 19, 25-26) უფალმა ღმერთმა გააფრთხილა სოდომის მკვიდრი, ლოთი, რომ ქალაქს რისხვას დაატეხდა და ურჩია ცოლშვილით უნდა გარიდებოდა იქაურობას, თანაც უბრძანა, უკან არ მოეხედათ. როდესაც სოდომს ზეცით დაატყდა ცეცხლი, ლოთის ცოლმა უკან მოიხედა და გაქვავდა, „იქმნა იგი ძეგლი მარილისა“.

### გვ. 72

**ბოოსი და აბრაამი** ებრაელთა პატრიარქები.

### გვ. 75

**გვადალახარა** მნიშვნელოვანი ქალაქი მექსიკის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში.

### გვ. 77

**ბლეზ პასკალი** (1623-1662) ფრანგი მათემატიკოსი, ფიზიკოსი, ფილოსოფოსი და მწერალი. 18 წლისამ გამოიგონა

ართიმეტიკული მანქანა. 1654 წლიდან, მისტიკური ექსტაზის შემდეგ, ქრისტიანული რელიგიის აპოლოგეტად იქცა.

### გვ. 79

**კეცალკოატლი** ცენტრალური ამერიკის ინდიელ ტომთა უზენაესი ღვთაება. ტოლტეკების, ომლექების, აცტეკების მითოლოგიაში კეცალკოატლის მრავალი ასპექტი ვლინდება. მითის თანახმად, მან მიატოვა ტოლტეკთა ქალაქი და აღმოსავლეთით, ოკეანის მიღმა გადაიხვეწა, თან ხალხს აღუთქვა, რომ დაბრუნდებოდა. ატლანტიდის ოკეანიდან შემოქროლილი ქარი კეცალკოატლის სუნთქვად მიაჩნდათ. ეს რწმენა იმდენად ძლიერი იყო, რომ პირველ ხანებში ატლანტიკის სანაპიროზე გადმომსხდარი ესპანელი კონკისტადორები და მათი წინამძღოლი – კორტესი თვით კეცალკოატლი და მისი ამაღა ეგონათ. გაბრიელა მისტრალის ტექსტში—ქარიროგორცკეცალკოატლისსუნთქვა—ინდიელეზის მითოლოგიურ წარმოდგენათა გამოძახილია.

### გვ. 84

**სვედენბორგი ემანუელ** (1688-1772) შვედი მეცნიერი, დამფუძნებელი იყო მეცნიერების არაერთი დარგისა. სამყაროს სულიერი სტრუქტურით ინტერესდებოდა. 56 წლის ასაკში უეცარი ცვლილება მოხდა მის ცხოვრებაში: ზეგრძნობადი ცნობიერება და ნათელხილვა გაეხსნა. ამიერიდან იწყო წმინდა წერილის შესწავლა. მისტიკური ხასიათის არაერთი თხზულება ეკუთვნის.

### გვ. 85

**იოსაფატი** ებრაელთა მეფე, დავით მეფის (წინასწარმეტყველისა და მეფესალმუნის) შთამომავალი, მეხუთე თაობა.

**„მწირთა შემფარებელი წმინდა ჟიულიენის ლეგენდა“**  
გუსტავ ფლობერის მოთხრობა, რომელშიც უფლისწულ

ჟულიენის ზღაპრულ-ლეგენდარული ნადირობაა აღ-  
წერილი. ნადირობაში ხელმოცარული უფლისწული დედ-  
მამას ხოცავს უნებურად. შემდეგ სინანული ეუფლება და  
წმინდანის ღვანლის ღირსი ხდება.

### გვ. 88

*მილტონი ჯონ* (1608-1674) ინგლისური ლიტერატუ-  
რის უდიდესი წარმომადგენელი. 43 წლის ასაკში დაკარგა  
თვალის ჩინი. უსინათლომ დაასრულა თავისი ცნობილი  
ეპიკური პოემა – „დაკარგული სამოთხე“ და დაწერა  
*დაბრუნებული სამოთხე*, სონეტები.

### გვ. 92

*ანდები* ქედი, რომელიც განოლილია სამხრეთ ამერიკის  
დასავლეთ მხარეს მთელ სიგრძეზე კოლუმბიის, ეკვადორის,  
პერუს, ჩილეს ტერიტორიებზე.

### გვ. 92

*კუსკო* ქალაქი პერუში, ანდების სამხრეთ-აღმოსავლეთ  
კალთაზე.

### გვ. 93

*კორდილიერები* ესპანურად ნიშნავს მთაგრეხილს (cor-  
dillera). ამიტომ არსებობს კოლუმბიის, ეკვადორის, პერუს,  
ჩილეს კორდილიერები. ანდების ცალკეულ მონაკვეთებს  
უნოდებენ ასე.

## ს ა რ ჩ ე ვ ი

მთარგმნელისაგან.....	3
<b>ვედრება</b> .....	8
<b>დედის პოემები</b> .....	9
მაკოცა.....	9
ნეტა როგორი იქნება იგი? .....	9
სიბრძნე .....	9
სინაზე .....	10
და .....	10
ვედრება .....	11
უკარება.....	11
მარადიული ტკივილი.....	12
მისი გულისთვის .....	12
სიმშვიდე .....	12
მისი თეთრეული .....	13
დედამინის ნამდვილი ხატი .....	13
ჩემს ქმარს .....	14
დედა .....	14
მითხარი, დედა!.....	15
გამთენიისას .....	15
წმიდათაწმიდა კანონი .....	16
<b>ყველაზე სევდიანი დედის პოემები</b> .....	17
გამოგდებული .....	17
რისთვის მოხვედი?.....	17

<b>აკვნის სიმღერები.....</b>	<b>18</b>
ჩემზე მონდობილი.....	18
აღარ ვარ მარტო.....	18
რწვევა-რწვევაში.....	18
ლამე.....	19
მე გყავარ.....	19
ალტაცება.....	19
სევდიანი დედა.....	20
სინაზე.....	20
ნაღვლიანი ნანინა.....	20
შიში.....	21
კრავი.....	21
ცვარ-ნამი.....	22
პოვნა.....	22
ჩემი სიმღერა.....	23
<b>ბავშვის თმა.....</b>	<b>24</b>
<b>დედის გახსენება.....</b>	<b>25</b>
<b>ნეტარების პოემები.....</b>	<b>27</b>
ავტირდი.....	27
უფალი ღმერთი.....	27
სამყარო.....	28
შენზე მეუბნებიან.....	29
შენს მოლოდინში.....	29
დამმაღე.....	30
ოთხფურცელა ყვავილი.....	30
შებინდებისას.....	31
სიკვდილი თუ მოვა.....	32



<b>ხელოვნება.....</b>	<b>33</b>
მშვენიერება .....	33
სიმღერა .....	33
ოცნება .....	34
ხელოვანის ათი მცნება.....	36
<b>სულისმარგებელი საკითხავები .....</b>	<b>37</b>
სიუშნოვე .....	37
სალბუნ-სახვევი .....	37
მთესველს .....	38
ღვთაებრივი ქნარი .....	39
ილუზია .....	41
<b>მასწავლებლის ლოცვა-ვედრება.....</b>	<b>42</b>
<b>მასწავლებლის ათი მცნება .....</b>	<b>44</b>
<b>სასკოლო მოთხრობები.....</b>	<b>45</b>
რატომ აქვს ლერწამს ღრუ?.....	45
რატომაა ვარდი ეკლიანი?.....	48
ვარდის ფესვი.....	52
ნარშავა .....	53
<b>კერიის პოემები.....</b>	<b>56</b>
ლამპარი .....	56
ბუხარი .....	57
დოქი .....	58
<b>ვნების მოტივები.....</b>	<b>60</b>
ზეთისხილის ხეები .....	60
კოცნა .....	61

ცეცხლი.....	63
ფერფლი.....	65
ქება წყლისა.....	66
ქება ქვიშისა.....	68
ქება ქვისა.....	70
სამეფო პალმა.....	72
მაგუეი – ამერიკული აგავა.....	76
მექსიკური კაქტუსი ორგანო.....	78
ანანასი.....	80
ტირიფი.....	81
ხომალდები.....	82
კაკაუმპილპას მღვიმე.....	84
ცოტა რამ კეჩუას შესახებ.....	90
ლიტერატურაში ნობელის პრემიის გადაცემის დროს საზეიმო ცერემონიაზე წარმოთქმული სიტყვა.....	96
შენიშვნები.....	98